ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

## სპეც გამოშვება

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს. №2(2012) 14 ივლისი 2005 წ.

# განათლების დივერსია საქართველოში

## რისგან შედგება იგი?

### 1. შეკვეთისაგან, რომელიც საქართველოში არ შობილა

მე-2 გვ.

### 2. კანონმდებლობისაგან, რომელიც იურიდიულ პირობებს ქმნის განათლების სისტემის დეგრადაციისათვის

მე-8 გვ.

### სოროსის იდეოლოგია სულისა და გონების ქართველ ლუმპენპროლეტართა ინტელექტუალური საზრდოა

მე-4 გვ.

### 4. დეზინფორმაციული ომისაგან

მე-12 გვ.

### ვინ არის შემკვეთის შემკვეთი ????????????????

### 3. პრაქტიკული მოქმედებისაგან – სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ნგრევისაგან



მე-14 გვ.

### 5. პროფესორებისა და სტუდენტობის მეტისმეტად დიდი პროცენტის პასიურობისაგან

# წიგნასიტყვა

***სოროსი მხილებადია, მისი და მისი ძართველი დამძაფშეგის ტალახიანი ნაფეხურეგი საძართველოში წაფლადია***

წინამდებარე შენიშვნის ამოცანაა მკითხველისთვის იმ ამოსავალი მიზნის ჩვენება, რომელსაც ისახავს საქართველოში დღეს მიმდინარე დივერსია განათლებისა და მეცნიერების წინააღმდეგ. ამიტომ ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ დივერსიის ერთერთი ხილული შემკვეთის, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკურად აქტიური მილიარდერის, ბირჟისა და საფინანსო ბაზრების თამაშზე პროფილირებული ფინანსისტის, წარმოშობით უნგრელი ებრაელის და ამჟამად, თუ არ ვცდები, აშშ მოქალაქის, საქართველოში (და აუარებელ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში) ფონდ „ღია საზოგადოების" დამაარსებლისა და დამფინანსებლის და საქართველოს სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფი მოხელეებისთვის, მათ შორის მინისტრებისთვის, ხელფასების გადამხდელის— სოროსის ნიუ-იორკში, ჰარვარდის კლუბში გამოსვლის ტექსტს (1992), რომლითაც იგი ცდილობს, ამერიკის საზოგადოებრივი აზრი დაიყოლიოს პოსტკომუნისტურ სივრცეში (სხვას იგი ამ გამოსვლაში ვერ ეხება) ეროვნულ სახელმწიფოთა განვითარების არდაშვებისათვის ბრძოლაზე. მისი მსჯელობის ლოგიკა ძირითად ხაზებში ასეთია:

● **პირველი და, ავტორის სიტყვით, ცენტრალური თეზისი:** მიაჩნიათ, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევა გამარჯვება იყო თავისუფალი მსოფლიოსთვის. მე ვამტკიცებ, რომ ეს დებულება ყალბია და არსებობს იმის საშიშროება, რომ ჭეშმარიტი შეიძლება აღმოჩნდეს მისი საპირისპირო დებულება. არის საშიშროება, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევა თავისუფალი მსოფლიოს დამარცხებად იქცევა, რადგან ჩვენ ვერ ვახდენთ ამ რეგიონის ინტეგრაციას თავისუფალ მსოფლიოში და იგი (ეს რეგიონი. ნ.ნ.), ნაცვლად იმისა, რომ ინტეგრირებულ იქნას, პირიქით, დეზინტეგრაციას (დაშლას.ნ.ნ.) განიცდის.ის, რაც საბჭოთა კავშირი იყო, შეიძლება იქცეს შავ ხვრელად, რომელიც მომავალში ჩანთქამს ცივილიზაციას. ეს შავი ხვრელი,სოროსის აზრით, არის სსრკ-ს მემკვიდრე ეროვნული სახელმწიფოები.

● **მეორე თეზისი.** რატომ (თავისი რა და რა თვისებების გამო) არის ეროვნული სახელმწიფო ცივილიზაციის ჩამნთქმელი შავი ხვრელის ელემენტი? ამ კითხვის პასუხად სოროსს საკუთარი ფილოსოფიურად და სოციოლოგიურად გულუბრყვილო თეორია (ასე უწოდებს იგი თვითონ თავის ნააზრევს) აქვს: თურმე, ისტორიულ პროცესთა აღქმა მონაწილეთა მიერ ყოველთვის განსხვავდება საქმის ნამდვილი მდგომარეობასაგან. რაში მდგომარეობს ეს მონაწილეთა მიერ ვერგაგებული სინამდვილე,თეორიის ავტორი ვერ აკონკრეტებს, თუმცა შემდგომი მსჯელობიდან საკმაოდ ნათელია, რა აქვს მას მხედველობაში რეალურად: ამ გულუბრყვილოებს ვერ გაუგიათ, რომ ეროვნული სახელმწიფოების დრო წავიდა! (ის, რომ პროცესთა მონაწილეებს მთლად ზუსტი წარმოდგენა არა აქვთ ხოლმე პროცესთა ისტორიულ არსზე, მართალია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: ისტორიულ პროცესთა მონაწილეებმა, როგორც წესი, იციან, რა უნდათ, და მათი მოქმედების შედეგი თუმცა არც ერთი მათგანის განზრახვას არ ემთხვევა სავსებით, მათ ნებათა ლოგიკური ტოლქმედი მაინც არის ხოლმე. ეს ცნობილია, სულ ცოტა, ჰეგელის აქეთ მაინც). თუ მონაწილეთა აღქმა და საქმის ნამდვილი მდგომარეობა ერთი მიმართულებით მიდის (ერთიმეორესთან კონვერგენციაშია), თუმცა შესაბამისობაში ვერასოდეს მოვა, მაშინ,თეორეტიკოსი მებრძოლის აზრით, საქმე გვქონია ღია სზოგადოებასთან ანუ კარგ საზოგადოებასთან. ასეთ საზოგადოებაში ადამიანები მზად არიან, გაკვეთილი მიიღონ გამოცდილებისაგან და სოციალური სტრუქტურები ცვლილებას ექვემდებარება. თუ, პირიქით,სოციალური სტრუქტურები მყარად დადგენილია და ცვლილებას წინააღმდეგობას უწევს და თუ ამავე დროს მონაწილეთა შეხედულებებიც ამდენადვე მყარია (ფიქსირებულია), მაშინ საქმე გვაქვს ჩაკეტილ საზოგადოებასთან ანუ ცუდ საზოგადოებასთან. ასეთი საზოგადოებია პრიმიტიული ტომობრივი საზოგადოებები თავისი ანიმისტური რწმენებით, აგრეთვე საზოგადოებები, სადაც გაბატონებულია რომელიმე დოგმა, თუნდ კომუნიზმი იყოს ეს და თუნდ ამა თუ იმ სახის რელიგიური ან ეთნიკური ფუნდამენტალიზმი. ეროვნული სახელმწიფო, სოროსის აზრით, ჩაკეტილ საზოგადოებათა ანუ ცუდ საზოგადოებათა რიცხვს ეკუთვნის,თუმცა რატომ, ანუ რომელი თავისი თვისების ძალით, ამას იგი ვერ აკონკრეტებს. (მაგალითად, იგი ვერ გვიხსნის, რით არიან თანამედროვე დიდ ეროვნულ სახელმწიფოთა, ვთქვათ, გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის პოლიტიკურ პროცესთა მონაწილენი, მათ მთავრობათა ჩათვლით, ნაკლებ ინფორმირებულნი ამ პროცესთა რეალური არსის შესახებ, ვიდრე ვინმე სხვა, თვით თეორეტიკოსი სოროსის ჩათვლით). ამგვარად, ჩაკეტილი და ღია საზოგადოებების ეს განსაზღვრება, — ჩაკეტილი საზოგადოება ისაა, რომელშიც დოგმა ბატონობს და რომლის წევრებმა რეალური მდგომარეობის შესახებ თითქმის არაფერი იციანო, — ვერ მუშაობს (რაკიღა ძირითადი თვალსაჩინო ფაქტები, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისური და ფრანგული ეროვნული სახელმწიფოების არსებობა, მხედველობის გარეთ რჩება). ამიტომ იგი სხვა ადგილას და სხვა კონტექსტში ამავე გამოთქმის სხვა შინაარსს გვთავაზობს: ადამიანებს უნდა სწამდეთ ღია საზოგადოება — დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, პატივისცემა უმცირესობებისა და ურთიერთგანსხვავებული შეხედულებებისადმი (გვ.17). მაგრამ თუ ასეა, —ანუ თუ თავისუფალი საზოგადოება ამას ნიშნავს, — მაშინ როგორღა, — ანუ რა არგუმენტით და რა ლოგიკური სვინდისით — გვიმტკიცებს ავტორი, რომ ეროვნული სახელმწიფო და ღია საზოგადოება ურთიერთგამომრიცხველი მოვლენებია?

● ამ აშკარა ულოგიკობას თავისი არც თუ პატიოსნური და ძალიან ადვილად ამოსაცნობი მექანიზმი აქვს. სახელდობრ, თეორიის მოყვარული მილიარდერი ლამაზ გამოთქმას „ღია საზოგადოება" იმისთვის იყენებს,რომ აუდიტორიის თვალში შეაცუროს იმთავითვე ყალბი ორი წარმოდგენა. პირველი: ღია საზოგადოება ანუ კარგი საზოგადოება (იხ. ზემოთ) ისაა, რომელსაც გარედან ღობე არა აქვს და რომელშიც, მაშასადამე, ყველა მსურველს შეუძლია შესვლა და რისაც უნდა, იმის წაღება. მეორე: კარგი საზოგადოების, ანუ ღია საზოგადოების წევრმა იცის (ცუდისამ კი არ იცის თავისი ჩამორჩენილობის გამო), რომ (როგორც უკვე ვთქვით) საზოგადოებებზე შემოვლებული დამცველი ღობეების დრო (ანუ ეროვნული სახელმწიფოების დრო) წავიდა: დღეს არსებობს, ერთი მხრივ, დიდი ფული უტერიტორიო ან მცირე და სახიფათო ტერიტორიების მქონე ადამიანების ხელში, მეორე მხრივ კი ღვთისგან კურთხეული ბარაქიანი ტერიტორიის მქონე ხალხები, რომლებსაც ფული არა აქვთ, რის გამოც ისინი იძულებულნი იქნებიან — და იძულებულნი უნდა იყონ (გაუმარჯოს საბაზრო ეკონომიკას!) — გაასხვისონ ყველაფერი, რაც კი გააჩნიათ საშვილიშვილოდ, და თავისი ღობემორღვეული ქვეყნიდან იმ უცხოელებს გაატანონ. მიზანი,როგორც ვხედავთ, ნათელია. მართალია, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ სოროსს იმდენი ინტელექტი აქვს, რომ მილიარდების გაკეთება შეძლო, როგორ უშვებს იგი ისეთ გულუბრყვილო ლოგიკურ შეცდომებს, როგორიცაა ერთი და იმავე სიტყვის ერთსა და იმავე დასაბუთების პროცესში გამოყენება ორი სხვადასხვა შინაარსით (სახელდობრ, ღია საზოგადოებას ერთ შემთხვევაში რეალური მდგომარეობის მცოდნე ადამიანთა საზოგადოებად თვლის, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის და უმცირესობების პატივისმცემელ საზოგადოებად). მაგრამ ნუ დაგვავიწყდება: სოროსი მოაზროვნე და თეორეტიკოსი არ არის. (ასეთად მას მსოფლიოში არავინ თვლის). მისი ლოგიკის სიმწირე მას პროფესიულ ნაკლად არ ჩაეთვლება, თუმც იგი მიუტევებელია იმათთვის, ვინც ამ გულუბრყვილო ნაცოდვილარს თავისი სახელმწიფოს მართვის იდეოლოგიურ ქვაკუთხედდ იხდის.

● (მინდა მკითხველი კურსში იყოს: სოროსის მიერ „ღია საზოგადოების" ცნების გამოყენება მომდინარეობს XX საუკუნის ერთერთი ყველაზე პოპულარული გარმანელი ფილოსოფოსის კარლ პოპერის დაკვირვებიდან, რომ დღეს არსებობს საზოგადოებები, რომელთაც თავისი თავი არ მოსწონთ, რადგან იციან, რომ მსოფლიოში უკეთ მოწყობილი საზოგადოებებიც არსებობს. (მაგალითად, საბჭოთა რიგითმა მოქალაქემ იცოდა, რომ „ამერიკაში ცხოვრება ჯობია"). ასეთი საზოგადოებები, ბუნებრივია, ფსიქოლოგიურად ღიაა საკუთარი თავის რეფორმირებისათვის იმ უკეთ მოწყობილ საზოგადოებათა თარგზეამ დაკვირვებიდან ბევრი რამ გამომდინარეობს, მაგრამ არა ის, რომ ეროვნული სახელმწიფოს საზოგადოება ამგვარ, საკუთარი თავის მოწუნარ საზოგადოებათა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს.).

● **მესამე თეზისი.** ჩაკეტილი საზოგადოებები, რომლებიც არის, ჩნდება და განვითარებას იწყებს (სოროსის ეს იდეოლოგიური ოპუსი 1992 წელს ეკუთვნის), უნდა გარდაქმნილ იქნას ღია საზოგადოებებად (რაკიღა, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის აღდგენა შეუძლებელია. ის, რომ სსრკ-ც ჩაკეტილი საზოგადოება იყო, კომუნისტური დოგმის მიერ დომინირებული, სოროსს ამ კონტექსტში აღარ აგონდება). მაგრამ ვინაიდან ჩაკეტილ საზოგადოებებს სტაბილობა ახასიათებს (ახასიათებს, სახელდობრ, ეროვნული გრძნობების მდგრადობის გამო.ეს, სოროსის აზრით, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ფაქტია), რის შედეგადაც ამ საზოგადოებათა გარდაქმნა ღია საზოგადოებებად შიგნიდან შეუძლებელია, პოსტსაბჭოთა სივრცეს ამ კეთილ საქმეში უნდა დაეხმაროს თავისუფალი მსოფლიო. ანუ: თავისუფალ მსოფლიოს სპეციალური ძალისხმევა ჰმართებს პოსტკომუნისტურ სივრცეში ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისა და განვითარების აღსაკვეთად. ეს არის სოროსის ამ ოპუსის ძირითადი და გამჭოლი მიზანი. ავტორი აუწყებს მკითხველებს, რომ თვით იგი, რაკიღა სსრკ-ს აღდგენის იმედი დაკარგა, თავისი ფონდების საშუალებით სწორედ ამას იქმს, და მოუწოდებს მათაც, ასევე მოიქცნენ.

● **მეოთხე თეზისი:** ეს დახმარება უნდა მდგომარეობდეს დახურულ საზოგადოებებში მაცხოვრებელი იმ ადამიანების ხელშეწყობაში, რომელთაც თავის ქვეყნებში ამ საზოგადოებათა ღია საზოგადოებებად გარდაქმნა ჰსურთ. ანუ (მე ამ შემთხვევაში განათლების ამოცანები მაინტერესებს): ეროვნულ სახელმწიფოებში უნდა მოიძებნონ გონებისა და სულის — ანუ ინტელექტისა და მორალის — ლუმპენპროლეტარები, როგორნიც არიან, მაგალითად, აწ განათლების მინისტრი ლომაია და აწ პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გრიგალაშვილი და მრავალნი სხვანი, და მათი საშუალებით უნდა განხორციელდეს ის დივერსიული პროგრამები საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ნაბიჯთა სახით, რასაც ზემოხსენებული არდაშვების ამოცანა მოიცავს.

● როგორც დავინახეთ, სოროსის მოყვანილი მსჯელობა დეფექტურია როგორც ფაქტებთან მიმართების მხრივ, ისე ფაქტებიდან და წინა დებულებებიდან ახალი დებულებების გამოყვანის წესებთან მიმართების მხრივ,ანუ ლოგიკის მხრივ. ამ მსჯელობის მიღება, როგორც საკუთარ ქვეყანაში რეფორმების ჩატარების იდეოლოგიისა, ცუდად მეტყველებს მათი ჩამტარებლების ინტელექტუალურ შესაძლებლობებზეც და მორალზეც.

● სოროსის ციტირებულ მსჯელობას სხვა არსებითი დეფექტიც აქვს, რომელიც მისი ხსენებული თხზულების ნაკლებ ჩახედულ მკითხველს შეიძლება თვალში არ ეცეს და ამიტომ კომენტარს საჭიროებს.

ეს გახლავთ მისი ჰორიზონტის უკმარისობა, ანუ ის, რომ მან არ იცის სიტუაციის არსებითი პარამეტრები, რომელიც ვალდებულია იცოდეს, როცა ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა ცხოვრების ფორმის, რაობასა და ღირებულებაზე მსჯელობს. სახელდობრ:

● ეროვნული სახელმწიფო არ არის არც შავი ხვრელი და არც, საერთოდ, ბოროტება. იგი არის ერის მიერ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფო, რომელსაც ერთერთ (მაგრამ არა ერთადერთ)მიზნად ჰქონდა თავისი ქმნადობის პროცესში და დღესაც აქვს ამ ერის მარადიულყოფა, მისი თავისუფლების, კეთილდღეობის, ღირსების დაცვა და ა.შ., აგრეთვე თვით ამ სახელმწიფოს მარადიულყოფა, როგორც ამა და ამ საზღვრებში მოქცეული სახელმწიფოსი, თავისუფალი (დამოუკიდებელი) სახელმწიფოსი, სახელმწიფო ენად ა მ ენის მქონე სახელმწიფოსი და ა.შ. გარდა ამისა, ეროვნულ სახელმწიფოს, ისევე როგორც ყველა სახელმწიფოს საერთოდ (თუკი იგი ნორმალური ადამიანებისაგან შედგება), მიზნად აქვს ადამიანის მარადიული ეთიკური და სოციალური იდეალების განხორციელება თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში, მაგრამ, სხვა ეროვნულ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, განხორციელება ისე, როგორც ეს ბუნებრივია მ ი ს ი ტრადიციისათვის, მ ი ს ი გენეტიკისათვის, ტემპერამენტის ჩათვლით, და ა.შ. ამგვარად, ეროვნულ სახელმწიფოთა ს ი მ რ ა ვ ლ ე (რა თქმა უნდა, ერთიმეორესთან ინტენსიური თანასწორი ურთიერთობების მქონისა და არა იზოლირებულებისა) კაცობრიობის, როგორც მთელის, ს ი მ დ ი დ რ ე ა და არა მისი დეფექტი.

● რატომ წარმოადგენს ს ი კ ე თ ე ს არა მხოლოდ ადამიანთა ცხოვრება სახელმწიფოებრივი ფორმით (და არა, ვთქვათ, ანარქიის პირობებში), არამედ ამავე დროს მათი ცხოვრებაც სწორედ ე რ ო ვ ნ უ ლ ი სახელმწიფოს ფორმით? იმიტომ, რომ ერი არ არის არც ადამიანთა შემთხვევითი გროვა, არც მათი მარტოოდენ ბიოლოგიური ჯგუფი, როგორიცაა რასა. ერი არის ადამიანთა ისეთი მაკროჯგუფი (დიდი ერთობა), რომლის წევრები, ჯერ ერთი, ბუნებით (სისხლით) არიან (ძირითადად) ერთნი, რის გამოც მათ მიერ საკუთარი თავის გაიგივება ამ ჯგუფთან („მე ვარ ქართველი", „მე ვარ სომეხი" და ა.შ.) გენუინურია (ნამდვილია, ბოლომდე გულწრფელია). მეორეც, ერი, როგორც ადამიანთა ერთობის ფორმა, საუკუნეებსა და ათასწლეულებზე გამწვდომია, რის გამოც ადამიანს, როგორც თავისი ერის წევრს, ფსიქოლოგიურად, თავისი ფესვები ჩაჰყავს უხსოვარ წარსულში და თავისი სიკვდილის შემდეგ, ისევ ფსიქოლოგიურად, სიცოცხლეს აგრძელებს მარადიულ მომავალში („მართალია, მოკვდავი ვარ, მაგრამ ჩემს შთამომავლობაში უნდა ვიცოცხლო, ჩემს ერში უნდა ვიცოცხლო". პირიქით, „ჩვენს ფირმაში უნდა ვიცოცხლოო", არავინ იტყვის). მესამეც, როგორც თავისი ერის წევრი, ადამიანი მსოფლიო პოლიტიკის და ისტორიის მონაწილეა (სხვა არანაირი საშუალება საამისოდ მას არა აქვს. შემთხვევა, როცა ადამიანი, სტალინსავით, სხვა ერის შემადგენლობაში მონაწილეობს ისტორიულ ხდომილებებში, იშვიათია). ამიტომაც ერი, როგორც ერთობის ფორმა, ყველაზე უფრო ძლიერია ადამიანთა დიდი ერთობის ფორმათა შორის. ერები იარსებებს (ანუ კაცობრიობა დაყოფილი იქნება პირველ ყოვლისა ერებად და არა სხვა რამ ერთეულებად) მანამდე, სანამ იარსებებს ადამიანი.

● ამგვარად, საკუთარი ერის მარადიულყოფა, მისი კეთილდღეობა, თავისუფლება, ღირსება, გამრავლება, მისი საკუთარი შემოქმედებითი გზით სვლა კაცობრიობის სანუკვარი მიზნებისაკენ სწრაფვის საქმეში — ყოველივე ეს ადამიანისთვის უძლიერესი (როგორც იტყვიან, ფუნდამენტური) ინტერესი და მისი ერთერთი უძლიერესი, ე.წ. ფუნდამენტური მოთხოვნილება ყოფილა. მაგრამ ის, რაც ადამიანისთვის ფუნდამენტური ანუ მისი ადამიანური ბუნებისაგან მოუცილებელი მოთხოვნილებაა, მისი უფლებაცაა.ეს გახლავთ ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის საქმის თანამედროვე პრაქტიკისა და იდეოლოგიის ძირითადი პრინციპი. საფინანსო ბაზრების მოღვაწემ (რადაც, ცოტა არ იყოს ევფემისტურად, თავს თვლის სოროსი),ყოველივე ეს, ბუნებრივია, არ იცის ან, თუ იცის, დღეს უცაბედად უგულებელყოფს ხვალ მიზანმიმართული უარყოფის მიზნით. ეროვნული სახელმწიფოს მიჩნევა ბოროტებად, რასაც სოროსი იქმს, არა მხოლოდ კაცობრიობის მიერ დღემდე განვლილი მორალური, სულიერი და მეცნიერული განვითარების წინააღმდეგ სვლაა, არამედ, კონკრეტულად, თანამედროვე ე.წ. უფლებადაცვითი მოძრაობის წინააღმდეგაც. რატომ სჭირდება ან ჰსიამოვნებს მას ეს არც თუ ჭკვიანური სვლა? იმიტომ, რომ მომცრო და მცირე ეროვნულ სახელმწიფოთა მიმართ, კერძოდ და განსაკუთრებით კი — საქართველოს მიმართ დღეს, სამწუხაროდ, არსებობს განსაკუთრებული მიზნები და ამ მიზნებისკენ სვლას, — ჯერჯერობით, შორიდან და სასხვათაშორისოდ (სოროსის ციტირებული გამოსვლა 1992 წელს ეკუთვნის) — იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება. (რომელია ეს მიზნები — ამაზე ცოტა ქვემოთ).

● იმისთვის, რომ ჩვენი ქვემორე პუბლიკაციის მკითხველი არ მოტყუვდეს დღეს, სამწუხაროდ, გავრცელებული დემაგოგიით დემოკრატიული პრინციპებისა და ცნებების თაობაზე, ცოტა უკან უნდა დავბრუნდეთ. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სოროსის მოწოდებაში ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ასეთის, წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებულია უხეში ლოგიკური ხრიკი. ვინ არ იცის, რომ საზოგადოება უნდა იყოს ღია: იგი არ უნდა იყოს გაყოფილი ჩაკეტილ კასტებად ან კლასებად, ყველანი უნდა ვიყოთ თანასწორნი, ყველანი ერთნაირად ჩართულნი სოციალური მობილობის (ანუ სოციალურ კიბეზე შესაძლო ასვლა-ჩამოსვლის) მომჯადოებელსა და ულმობელ პროცესში, და ა.შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მართლაც სასურველია. მაგრამ (როგორც აგრეთვე ვთქვით) იმავე სიტყვაში — „ღია" — შეიძლება ჩადოთ სხვა შინაარსიც და სოროსი სწორედ ასე იქცევა. მისი პრაქტიკული მოღვაწეობიდან საქართველოში ირკვევა, რომ „ღია საზოგადოებაში" იგი, თურმე, თავის შიგნით ანუ თავის წევრებს შორის უთიერთლია საზოგადოებას კი არ გულისხმობს, არამედ გარეთკენ გახსნილს: შემსვლელ-გამსვლელის კონტროლზე ხელაღებულსა და ღობემორღვეულს. ასეთი საზოგადოება დედამიწის არცერთ მეტ-ნაკლებად დაცულ და თავმოყვარე სახელმწიფოში არ არსებობს,. მაგრამ საქართველოში დღეს ხელისფლებაც და ე.წ. გრანტჭამიების უკვე კარგა წამოჩიტული კასტაც სწორედ ასეთის შექმნასა და განვრცობაზე მუშაობენ. სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვის დაკანონების პილიტიკა, რომელმაც საქართველოს ეს ძირითადი სიმდიდრე ისეთ ბაზარზე უნდა გაიტანოს, სადაც არც ერთი კონკურენტუნარიანი ქართველი არ არის, (და, მაშასადამე, იგი გარანტირებულად გადაიყვანოს უცხოელთა საკუთრებაში), ამ — და **მხოლოდ** ამ — გენერალური ხაზის, სახელდობრ, ქართველი ერის მატერიალური ექსპროპრიაციის (საკუთრების გარეშე დატოვების), მისი ყოველმხრივი დაკნინებისა და დაუძლურების ხაზის რეალიზაციაა.

ახლა კი, მე მგონი, გასაგები უნდა იყოს, რას ნიშნავს სოროსის და მის უკან მდგომთა ეს გენერალური ხაზი, კონკრეტულად, **განათლებისა და მეცნიერების დარგისათვის,** რომელიც ჩვენი გაზეთის ამ ნომრის თემაა. იგი ნიშნავს შემდეგს:

— ქართველი მოწაფე არ უნდა ფლობდეს ფუნდამენტური მეცნიერების საფუძვლებს, ანუ იგი არ უნდა იყოს მომზადებული არც ცოდნის გასაღრმავებლად მომავალში (ვთქვათ, საშუალო ხარისხის უნივერიტეტში სასწავლად), არც თანამედროვე ტექნოლოგიით გამართულ წარმოებაში დასასაქმებლად (ვინაიდან, თუ მან დღევანდელი ტექნოლოგიის ფიზიკური, ქიმიური, მათემატიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და, საერთოდ, ფანდამენტურ-მეცნიერული შინაარსი ვერ გაიგო და ეს ტექნოლოგია მხოლოდ თითებით შეითვისა და არა ტვინით, იგი დაკარგავს თავის კვალიფიკაციას ამავე ტექნოლოგიის განვითარების პირველსავე შემდგომ ეტაპზე).

— ქართველი სტუდენტი უნდა იყოს დაბალი მომზადებისა და მცირერიცხოვანი (ამისთვის ხდება ფაკულტეტთა ბარბაროსული გაერთიანება ანუ დახურვა საქართველოს უნივერსიტეტებში დღეს).იგი ვერ უნდა იზრდებოდეს თანამედროვე მეცნიერად.

— საქართველო უნდა დარჩეს მეცნიერების გარეშე, პირველ ყოვლისა — ფუნდამენტური მეცნიერების გარეშე, რათა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლად არ შეეძლოს გარკვევა ცხოვრების მიერ მოტანილ პრაქტიკულსა და თეორიულ საკითხებში, რომლებიც თავისი ბუნებით მეცნიერულ დარგობრივ კომპეტენციას მოითხოვენ.

— (ჯამში) ქართველი ერი — ჯერ თავისი ყოფით და შემდეგ მ ე ნ ტ ა ლ ი ტ ე ტ ი თ ა ც (სულისკვეთით) — უნდა გარდაიქმნას არა შემოქმედ და მწარმოებელ, არამედ მხოლოდ მ ო მ ს ა ხ უ რ ე ერად.

ვინ დგას ამ დაუნდობელი (მსოფლიო პოლიტიკაში დანდობა, მოგეხსენებათ, არ არსებობს), მაგრამ სავსებით ბუნებრივი პოლიტიკის უკან? ერთის მხრივ, ეს არის მსოფლიოს განუხრელი ეკონომიკური, კომუნიკაციური, სტრატეგიული და კულტურული შემჭიდროების, ე.წ. გლობალიზაციის პროცესი, რომლის ყოველი მონაწილე რაც შეიძლება ჯრცელი ადგილის მოპოვებისათვის იბრძვის ცოდნის,ძალისა და გავლენის ასპარეზზე, რათა ჩამორჩენილები ან გააქროს, ან ჰუმანიტარული მოწყალებით მოარსებე მაჩანჩალებად დატოვოს. ეს ამ პროცესის საყოველთაო, ანუ ყველა ქვეყნის ბედსა და ამოცანებთან დაკავშირებული ნაწილია. მაგრამ მას აქვს სხვა ნაწილიც, რომელიც ყველას არ ეხება, საქართველოს კი ეხება. საქართველო დღეს აღმოსავლეთისკენ მიმართულ იმ ძირითად სანდო კარად ჩამოყალიბების გზაზე დგას, რომელიც დასავლეთს დღეს და სამომავლოდ მოეპოვება ენერგიისა და სიცოცხლო გლობალური ინტერესების სამსახურისათვის. დღეს ეს ფუნქცია სხვას (სხვა სახელმწიფოს) აკისრია და თავისთვის ძალიან მომგებიანადაც. იმ სხვას, ბუნებრივია, ხელს არ აძლევს საქართველოს ფეხზე დადგომა, როგორც ერთიანი მყარი სახელმწიფოსი, და ამავე დროს მსოფლიოში დიდი ლობისტური ძალა აქვს. უფრო დიდი საფუძველი ,ვიდრე სოროსის მიჩნევისათვის ამა თუ იმ ამერიკული ბიზნესური წრეების ინტერესთა გამტარებლად (რაც, ალბათ, მხოლოდ თეორიული შესაძლებლობაა), გვაქვს მისი მიჩნევისთვის იმ ლობის ხელად ან თითად, რომელიც წელან ვახსენეთ და რომელსაც განსაკუთრებით დიდი გავლენისუნარიანობა ამერიკისა და რუსეთის სინამდვილეში აქვს.

საქართველოში, სადაც ერისა, ქვეყნისა, საზოგადოებისა და მორალის თვით პრინციპთა მოლალატეების ბაზარი დღეს ისე ფართოა და ისე იაფია, როგორც არსად სხვაგან, სოროსის ფონდს აგენტების შოვნა არ უჭირს. კანონზომიერია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების ნგრევის პროგრამის წამყვანი პირი განათლების მინისტრი ლომაია ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო სოროსის ფონდის აქაური „კანტორის" თავმჯდომარე. ამ არასამავრობო ორგანიზაციას (თუ არ ვცდები, მას სწორედ ეს ოფიციალური სტატუსი აქვს სახურავად) დამახასიათებელი სახელი „ღია საზოგადოება" ჰქვია.პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გრიგალაშვილი სოროსის ამ საზოგადოებაში ნამყოფი არ არის (თუ არ ვცდები), სამაგიეროდ მისგან, როგორც იტყვიან, სასიცოცხლოდ დავალებულ ე.წ. ნაციონალთა პოლიტიკურ გუნდს ეკუთვნის. არც მას, არც ლომაიას (და, რამდენადაც ვიცი, არც მათი სამინისტროსა და კომიტეტის არც ერთ სხვა წევრს )არც განათლებაზე, არც მეცნიერებაზე მეტი წარმოდგენა არა აქვს,ვიდრე, მაპატიეთ, ჯორს ალგებრაზე. ამგვარად, განათლებისა და მეცნიერების დივერსიას, რომლის მოტივებიც ზემოთ მოგახსენეთ, მათს დონეზე დაბრკოლება არ ჰხვდება და, საფიქრებელია, არც შეჰხვდება.

ქვემოთ, გარდა სოროსის ტექსტისა (იგი ზემოთ ვახსენეთ), მკითხველს მივაწოდებთ ორივე ძირითადი კანონის ანალიზს ,რომლებიც ამ დივერსიის საკანონმდებლო ბაზას შეადგენენ (ესაა კანონი ზოგადის განათლების შესახებ და კანონი უმაღლესი განათლების შესახებ) და შესაბამისი პრაქტიკის რამდენიმე შტრიხის დახასიათებას.

*ნოდარ ნათაძე*

# ჯორჯ სოროსი. "ნაციონალისტური დიქტატურები

**გაფართოებული ვერსია 1992 წლის 18 ნოემბერს ნიუ-იორკის ჰარვარდის კლუბში წაკითხული ლექციისა**

**(ადგილის ეკონომიის მიზნით ტექსტი იბეჭდება შემოკლებით, მაგრამ მხოლოდ ისეთით, რომელიც აზრის მიმართულებას და ცალკეულ დებულებებს არ ცვლის)**

...ყოფილი საბჭოთა იმპერია ფრიად რთულ, დამაბნეველ ადგილად იქცა. სსრკ დაიშალა 15 ქვეყნად, იუგოსლავია — სამად, ჩეხოსლოვაკია — ორად. სულ ბოლო დათვლაზე, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში არის 28 ქვეყანა, რომელთაგან მე ფონდები მყავს 18-ში...

## ცენტრალური თეზისი

...ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევა („კოლაფსი". რედ) იყო თავისუფალი მსოფლიოს გამარჯვება. მე ვამტკიცებ, რომ ეს დებულება ტყუილია და არის საშიშროება, რომ მისი საწინააღმდეგო გახდეს მართალი. არსებობს იმის საფრთხე, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევა იქცევა თავისუფალი მსოფლიოს მარცხად, რადგან ჩვენ არ ვახდენთ ამ რეგიონის ინტეგრირებას თავისუფალ მსოფლიოში. იმის ნაცვლად, რომ ინტეგრაცია განიცადოს (გამთლიანდეს. რედ), იგი დეზინტეგრაციას (დანაწევრებას. რედ) განიცდის. ის , რაც საბჭოთა კავშირი იყო, შეიძლება იქცეს შავ ხვრელად, რომელიც მომავალში ჩანთქამს ცივილიზაციას.

ეს მაშოკირებელი განცხადება, ალბათ, უმრავლესობა თქვენგანს გაკვირვებთ. იგი, უდავოდ, ეწინააღმდეგება გავრცელებულ აზრს...

როგორ ხდება, რომ ასე საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება ესოდენ შორსაა სინამდვილისაგან? ეს პირველი კითხვა გახლავთ, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ, თუ გვინდა სიტუაცია გავიგოთ. არა მგონია, საზოგადოდ, უჩვეულო რამ იყოს მოვლენათა გავრცელებული აღქმის დაცილება სინამდვილისაგან. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ეს ნორმალურია. მე შევქმენი თეორია, რომელიც ამ მიხვედრას ემყარება: მოვლენების მონაწილეთა აღქმა ყოველთვის აცდენილია საქმის ნამდვილ ვითარებას. ეს განსხვავებულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მოვლენათა რაგვარობას განსაზღვრავს. მეტიც: იგი ისტორიის გაგების ასპარეზია. იმ „ისტორიაზე" არ მოგახსენებთ, რომელსაც ასომთავრულით ვწერთ. მხედველობაში მაქვს ყველანაირი ისტორია: ჩვენი პირადი, ჩვენი სატრფიალო თავგადასავლებისა, ყველა ჯურის კონფლიქტებისა. საფინანსო ბაზრების ფუნქციონირებასაც ისტორიათა რიცხვს ვაკუთვნებ. ყველა ამ შემთხვევაში ვამტკიცებ, რომ მოვლენის აღქმასა და რეალობას შორის არსებობს ორმხრივი უკუკავშირი, რომელსაც მე რეფლექსიურობას ვუწოდებ.

... შევაჯამებ ამ თეორიის ყველაზე მთავარ ნაწილს: მიმართება მოვლენის მონაწილეთა შეხედულებებსა და საქმის რეალურ მდგომარეობას შორის სამგვარი შეიძლება იყოს. ერთი ისაა, როცა გვაქვს კონვერგენციის (ურთიერთმიახლოების. რედ) ტენდენცია, თუმცა მიზეზთა გამო, რომელთაც აქ ვერ გავყვები, იგი ვერ გადაიქცევა შესაბამისობად, არამედ მხოლოდ უახლოვდება მას. ეს სწორედ ის გახლავთ, რასაც მოველით ნორმალურ პირობებში, როცა ადამიანები მზად არიან, გამოცდილებისაგან ისწავლონ, და სტრუქტურები შეიძლება მიყვანილ იქნან ცვლილებებამდე. ამას მე ვუწოდებ „ღია საზოგადოებას". მისი დამახასიათებელია აზროვნების კრიტიკული წესი.

## წონასწორობას ძალიან დაშორებული პირობები

მაგრამ ზოგჯერ ზემოხსენებული მიახლოების ტენდენცია არ გვაქვს, მოვლენათა აღქმა და რეალობა ძალიან დაშორებულია ერთიმეორეს და არ არსებობს მათი დაახლოების არანაირი მექანიზმი. პირიქით: მუშაობს ძალები, რომლებიც მათ ერთიმეორეს აშორებს.

ასეთი წონასწორობას დაცილებული მდგომარეობები ორგვარია. ერთი უკიდურესობაა, როცა სოციალური სტრუქტურები სავსებით მკაცრად დადგენილია და ცვლილებების მიმართ გამძლეა. ასევე მყარად ფიქსირებულია, ამავე დროს, მონაწილეთა შეხედულებები. სიტუაცია სავსებით სტაბილურია, მაგრამ შეხედულებები და რეალობა — დაცილებული. ასეთი მდგომარეობაა პრომიტიულ ტომობრივ საზოგადოებებში, მათი ანიმისტური რწმენებითურთ, და, აგრეთვე, საზოგადოებებში, სადაც ბატონობს კონკრეტული დოგმა, თუნდ კომუნიზმი იყოს ეს და თუნდ ამა თუ იმ სახის რელიგიური ან ეთნიკური მენტალობა. ასეთ საზოგადოებებს მე „დახურულს" ვუწოდებ.

მეორე უკიდურესობაა, როცა სიტუაცია ტოტალურად არასტაბილურია და მოვლენები ისე სწრაფად მოძრაობენ ისეთი არაპროგნოზირებადი მიმართულებით, რომ მონაწილეთა შეხედულებები მათ ვერ მისდევს. აღქმასა და რეალობას შორის მანძილი დიდია, რადგან მოვლენები კონტროლიდან გადის. ასე ხდება რევოლუციების დროსაც და ასევეა ბუმისა და დეპრესიის (ვარდნის) ურთიერთმიმდევრობაც საფინანსო ბაზრებში.

მოვიყვან ანალოგიას ფიზიკიდან. წყალი ნორმალურ მდგომარეობაში თხევადია, დანარჩენ ორ უკიდურეს შემთხვევაში ან ყინულია, ან ორთქლი. ასევეა საზოგადოებაში. გარკვეულ დიაპაზონში იგი ლიკვიდურია (თხევადია) ანუ ღიაა, სხვაში — გაყინული ანუ „დახურულია", მესამეში — გაზისებრი ანუ ქაოსური. ოღონდ საზოგადოებაში ეს დიაპაზონი ეხება არა ტემპერატურას, არამედ დამოკიდებულებას მონაწილეთა მიერ აღქმასა და რეალობას შორის.

იმ რევოლუციურ გარდაქმნებთან დაკავშირებით, რაც დღეს ყოფილ საბჭოთა იმპერიაში ხდება, ჩვენ საქმე გვაქვს უკიდურესობებთან. ნორმალურ პირობებს შეჩვეულ ადამიანებს უჭირთ გაგება, თუ რა ხდება. მე ბევრჯერ შემხვედრია უკიდურესი ვითარებები ჩემს ცხოვრებაში და, შეიძლება ითქვას, დასპეციალებული ვარ მათზე. თოთხმეტი წლისას მომიხდა მალვა ნაცისტური დევნისაგან და ყალბი საბუთებით ცხოვრება. მამაჩემი რუსული ტყვეობიდან გაქცეული იყო და იქაური რევოლუცია ციმბირში გაატარა. ამ თავგადასავლებმა ძირეულად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა და მე მისი დიდი გავლენა განვიცადე. მოზარდმა ნაციზმიც ვიგემე და კომუნიზმიც. შემდეგ, როგორც ინვესტორი, დავსპეციალდი ბუმისა და დაცემის თანმიმდევრობებზე, ხოლო კიდევ უფრო გვიან, როცა ჩემს მიერ საფინანსო ბაზრებში დაგროვილი ქონება გამოვიყენე ფონდის დასაარსებლად, მე ეს ფონდი მივუძღვენი საბჭოთა სისტემის გარდაქმნის საქმეს. რეფლექსიურობის ზემოხსენებული თეორია განსაკუთრებით გამოსადეგია ბუმისა და დაცემის თანმიმდევრობათა გასაგებად. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა: რევოლუციურ გარდაქმნათა სპეციალისტი ვარ და იდეათა ერთი და იგივე სისტემა საფუძვლად უდევს ჩემ მიერ ფულის კეთებასაც და მის ხარჯვასაც.

ამ შესავლის შემდეგ ვსვამ სამ კითხვას: იყო თუ არა ის შავი ხვრელი პროგნოზირებადი? იყო თუ არა იგი აცილებადი? და რა უნდა ვქნათ ახლა?

იგი არა თუ პროგნოზირებადი იყო, არამედ მე იგი ვიწინასწარმეტყველე კიდეც ჩემს წიგნებში (1990 და 1991 წლები). ეს ორი წიგნი დაიწერა 1990-ში და დამყარებული იყო ჩემ მიერ 1989 წელს ნაფიქრალზე. მკაფიოდ ვიწინასწარმეტყველე ყველაფერი, რაც მოხდებოდა, თუმცა რეალურად ამხდარს სხვა გრძნობა დაჰკრავს, ვიდრე თეორიულად განჭვრეტილს. საინტერესოა შევადაროთ ის პროგნოზი და რეალობა.

## თავდაპირველი პროგნოზი

ჩემი აბსტრაქტული ანალიზი ემყარებოდა ზემოხსენებულ თეორიულ ჩარჩოს, კერძოდ, ღია და დახურული საზოგადოების განსხვავებას. ვამბობდი, რომ პირველი უფრო რთული და განვითარებული ფორმაა სოციალური ორგანიზაციისა, ვიდრე მეორე. მეორეში მხოლოდ ერთი კონცეფციაა და ითვლება, რომ ყოველივე ამ კონცეფციის შესაბამისად ხდება. პირველში კი მონაწილეს არა მხოლოდ ნება აქვს, არამედ ვალდებულიცაა საკუთარი კონცეფცია ჰქონდეს მიმდინარე მოვლენებისა. ამით ღია საზოგადოება უფრო მიმზიდველია, მაგრამ უფრო ძნელი მისაღწევიცაა. იგი მოითხოვს არა მხოლოდ საკუთარი აზრის ქონისუნარიან და საკუთარი ბიზნესის დაგეგმვისუნარიან მონაწილეებს, არამედ იმგვარ ინსტიტუტებსაც, რომელიც ერთობლივი ცხოვრების პირობებს შეუქმნის და საშუალებას მისცემს სხვადასხვა ფენისა და შეხედულებების ადამიანებს, ერთად იმუშაონ და იცხოვრონ. ერთიდან მეორეზე გადასვლა გულისხმობს ევოლუციის გზას, უფრო მარტივი სოციალური ორგანიზაციიდან უფრო რთულისაკენ მოძრაობას. ეს ვერ მოხდება ნახტომის სახით, არამედ მოითხოვს ხანგრძლივ მომზადებას ან დამხმარე ხელს გარედან. თუ ერთი გვაკლია, უფრო ადვილია უკან დაცურება, ვიდრე წინსვლა.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საბჭოთა სისტემის დარღვევა ავტომატურად არ იწვევს ღია საზოგადოების გაჩენას. პირიქით, მოსალოდნელია მან გამოიწვიოს უფრო პრიმიტიული სახის დახურული საზოგადოების გაჩენა. საბჭოთა სისტემა იყო უნივერსალური დახურული სისტემა. რომ ირღვევა, იგი შეიძლება გაიყინოს ცალ-ცალკე დახურულ სისტემებად, რომლებიც დამყარებული იქნება ეროვნული ან ეთნიკური იდენტობის პრინციპზე, თუმცა მე ამ მიმართულებით არ ჩავყოლივარ საკითხს მაშინ. მთავარი მოთხოვნა ნაციონალიზმზე დამყარებული დახურული საზოგადოებისა ისაა, რომ მას ესაჭიროება მტერი, რომლის წინააღმდეგაც საზოგადოება მობილიზებული იქნება. თუ იგი არ არსებობს, იგი უნდა გამოგონილ იქნეს. მე მაშინ ხაზს ვუსვამდი იმ პუნქტს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა და ნაციონალისტური დიქტატურა უკუპროპორციულად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, ანუ ნაციონალიზმი თავის მძაფრ ფორმას იღებს ეკონომიკური კრიზისების, კერძოდ — ჰიპერინფლაციის პირობებში. ყველას გვახსოვს, რომ ვაიმარის რესპუბლიკის დროინდელმა ინფლაციამ მოიტანა ჰიტლერის აღზევება.

ასეთი იყო ჩემი აბსტრაქტული ანალიზი და ამის გამო ვცდილობდი ჩემი ფონდებით მაშველი ხელის გაწოდებას, აგრეთვე დასავლეთის საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ჩემი წიგნებით. ჩემმა ფონდებმა მეტ-ნაკლებად შედეგიანად იმუშავა, მაგრამ ჩემი მცდელობა დასავლეთის პოლიტიკაზე მემოქმედა თვალში საცემად უშედეგო აღმოჩნდა.

## დღევანდელი რეალობა: იუგოსლავია

...ეს გახლავთ იმის მაგალითი, როგორ არ ემთხვევა მოლოდინი რეალობას. რა მოხდა იქ? კომუნისტური აპარატის მეთაურმა მილოშევიჩმა დაინახა, რომ კომუნიზმი მკვდარი ცხენია და სხვაზე გადაჯდომა მოინდომა. მან სერბიული ნაციონალიზმის მობილიზება მოახდინა იმით, რომ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა და გააუქმა კოსოვოს ავტონომია. ეს იყო 1989-ში. 1990-ში, როცა ეკონომიკური რეფორმის წარმატებამ საშიშროება შეუქმნა მის ძალაუფლებას, მან ამ რეფორმის ტორპედირება მოახდინა. იუგოსლავური ეკონომიკური რეფორმა შემოღებულ იქნა პოლონურის თანადროულად 1990 წლის იანვარში. მაისში იგი უკეთ მიდიოდა, ვიდრე პოლონეთში. ინფლაცია უკვე კონტროლდებოდა და სტაბილიზაციის პროგრამის გამტარებელნი უფრო კვალიფიციურნი იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ მილოშევიჩმა დაარბია სერბიის ეროვნული ბანკი და უზარმაზარი ფული დაახარჯა თავის საარჩევნო კამპანიას. ამან მოაგებინა და ამანვე დაანგრია რეფორმა. ამ პერიოდში დაადგა იგი დიდი სერბიის შექმნის კურსს. ცოტამ იცის, რომ მას ამისათვის წინასწარ დაბეჭდილი ჰქონდა პროგრამა ჰიტლერის „მაინ კამპფივით", მაგრამ, ჰიტლერისაგან განსხვავებით, ეს პროგრამა დაწერილი იყო სხვათა მიერ და გამოგვიგზავნეს. ... ... ...

# „ლია საზოგადოების წინააღმდეგ"

ბევრი ეთნიკური მაკედონელი წავიდა ემიგრაციაში და ახლა იქიდან აფინანსებს მაკედონელ ექსტრემისტებს, რომლებიც დიდ მაკედონიაზე ოცნებობენ, რომელიც საბერძნეთის „მაკედონიად" წოდებულ ნაწილსაც მოიცავს. ექსტრემისტები უპირისპირდებიან მაკედონიის მთავრობას, რომელიც ხელს იღებს ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, მაგრამ საბერძნეთის ხელისუფლება პასუხს აძლევს ამ ექსტრემისტებს და არა მაკედონიის მთავრობას. საბერძნეთი ახორციელებს სავაჭრო ემბარგოს, რომლის შედეგადაც მაკედონია ზამთარს უსაწვავოდ ელოდება (რაც, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს ეთნიკურ დაძაბულობათა დაცხრომას. მე მგონი, საბერძნეთი საშინელ შეცდომას უშვებს და მსოფლიო მას ამაში არ უნდა აჰყვეს. მაგრამ ბერძნებს მძლავრი ემიგრაცია ჰყავთ აშშ-ში.) და ესეც ართულებს მდგომარეობას.

### რა არის დასავლეთის ამ ხელმოცარვის მიზეზი?

მიზეზი რამდენიმეა. პირველია ვერგაგება იმ რევოლუციური პროცესებისა, რაც იუგოსლავიისთანა და საბჭოთა კავშირისთანა ქვეყნებში ხდება. ამ ვერგაგებასთან ახლო კავშირშია იმის უუნარობაც, რომ ირეაგირონ შინაგანი გარდაქმნის პროცესებზე. საგარეო პოლიტიკა გამიზნულია სახელმწიფოებთან საქმის დასაჭერად. იგი იბნევა, როცა სახელმწიფოები დაშლას იწყებენ. იყო ბუნებრივი ტენდენცია, რომ შეენარჩუნებინათ სტატუს ქვო იუგოსლავიაშიც და სსრკ-შიც (ავტორი უგულებელყოფს იმ უზარმაზარ ძალისხმევას, რომელიც დასავლეთმა და კერძოდ აშშ-მა მოანდომა საბჭოთა კავშირის დაშლას. რედ.). ამ ტენდენციას აძლიერებდა გეოპოლიტიკის დოქტრინა, რომელიც უგულებელყოფს სახელმწიფოთა შინაგან შემადგენლობას და განიხილავს მათ, როგორც მთლიან ფიგურებს საჭადრაკო დაფაზე. მე გეოპოლიტიკა მიმაჩნია მცდარ დოქტრინად, რომლის სისუსტეები გამოჩნდა საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესში.

მეორე მიზეზია ევროპული თანამეგობრობის სისუსტე. მისი წევრები ერთობლივი მოქმედების ნაცვლად თავ-თავისი ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობენ. მაგალითად, საფრანგეთი ყოველთვის მეგობრულად უყურებდა სერბიას, გერმანია კი ხორვატიას. ასე რომ, — პირველად ‖ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ — საგარეო პოლიტიკაში ეროვნული განსხვავებები ბატონობს (ამ დებულების გულუბრყვილობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ მასზე მსჯელობაც არ ღირს. ‖ მსოფლიო ომი, ისევე როგორც ყველა სხვა ომები, მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების დაპირისპირების გამო მოხდა. რედ.). კიდევ უარესია ის, რომ ევროპის ქვეყნების ურთიერთკონფლიქტური ინტერესები გავლენას ახდენს მათს საგარეო პოლიტიკაზე. მაგალითად, მაასტრიხტის ხელშეკრულების ინტერესებმა აიძულა გერმანია ხორვატიის ცნობა ეთხოვა და მიეღწია კიდეც მისთვის...

მესამეა (ევროპის ქვეყნების) თავშეკავება სამხედრო ჩარევისაგან. ეს ერთადერთ პრაქტიკულ არჩევანად გვიტოვებს კონფლიქტის მოწესრიგების (ანუ მშვიდობიანი დამთავრების. რედ.) გზას. ეს კარგად ჟღერს თეორიაში, მაგრამ განუზრახველი შედეგები მოაქვს. თუ კონფლიქტის ასე მოგვარება გინდათ, კარგი და ავი ორსავე მხარეში უნდა დაინახოთ. ვერც ერთ მხარეს სავსებით ვერ მიემხრობით. მაგრამ ამ შემთხვევაში მილოშევიჩი ისეთივე ცოცხალი აგრესორია, როგორიც ჰიტლერი იყო.

...ბალკანეთის კონფლიქტი ევროპამ ასე არ განიხილა. თქვეს, დაუნდობლობა ორსავე მხარეს იყო, როგორც ამ რეგიონის ტრადიციას შეესაბამებაო. აქ სახეზეა მილოშევიჩის უწყალო მცდელობა დიდი სერბეთის შექმნისა ეთნიკური წმენდის გამოყენებით. მაგრამ ამას ვერ ახსენებდნენ, რადგან „მოგვარება" მიუდგომლობას ითხოვდა. სიტუაცია მხოლოდ ეკრანებზე ვიდეომასალის გამოჩენამ შეცვალა. მაგრამ აშშ-მა ამის შემდეგაც თემის ჩაცხრობა არჩია, რადგან არ უნდოდა გზის კეტით გაკაფვა, როგორც ეს ერაყში ქნა.

### ყოფილი საბჭოთა კავშირი

იუგოსლავია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რეპეტიცია იმისათვის, რაც სსრკ-ში მოხდა, მაგრამ ეს საქმის დიდი გაუბრალოება იქნება.

სსრკ-ში საკვანძო ფაქტია ეკონომიკური დეზინტეგრაცია. ყოფილი სსრკ-ს ნაწილები — კავკასია და შუა აზიის ზოგი რესპუბლიკა — შეგვიძლია შევადაროთ იუგოსლავიას და მოვლენები იქ უკვე ასევე ვითარდება. მაგრამ ყოფილი სსრკ-ს გულში — რუსეთსა და უკრაინაში — ეროვნულ ძალებს ვეღარ გაუკეთებთ მობილიზებას ერთიანი ეროვნული ამოცანისათვის. (მკითხველი შენიშნავს, რომ „ეროვნულ ძალებად" და „ეროვნულ ამოცანებად" ავტორი ჯერ კიდევ სსრკ-ს სახელმწიფოს ძალებს და ამოცანებს გულისხმობს, რაც აშკარად მეტყველებს მისი აზროვნების ანაქრონისტულ ხასიათზე. რედ.). კონფლიქტის ელემენტები სახეზეა: 25 მილიონი რუსი რუსეთის საზღვრებს გარეთ, ეკონომიკური დავები რუსეთსა და უკრაინას შორის, პატრიოტული ძალების გამოჩენა რუსეთში და უკრაინაში. ამიტომ შესაძლებელია ეროვნული (იგულისხმება: სსრკ-სთვის „ზოგადსახელმწიფოებრივი". რედ.) ძლიერი მთავრობის შექმნის და საგანგებო სიტუაციის გამოცხადების მცდელობა, მაგრამ ეს, ალბათ, ვეღარ მოხდება უკვე ძალიან შორსწასული ეკონომიკური დეზინტეგრაციის გამო.

რა მოხდება სსრკ-ში? (მივაქციოთ ყურადღება: ავტორი კვლავ ლაპარაკობს სსრკ-ს მომავალზე, თუმცა 1992 წლის ნოემბერია, და არა უკრაინისაზე და რუსეთისაზე. შემდეგ ორი აბზაცი ეთმობა პიროვნებათა შანსების განხილვას, რაც ჩვენთვის საინტერესო არაა. რედ.). კვირეებსა თუ თვეებში შეიქმნა საქონლის ნაკლებობა, რადგან ხალხი არ გაცვლის საგნებს რუბლებზე. ბაზარზე ორიენტირებული მთავრობა დაკარგავს ძალაუფლებას და მტკიცე ხაზის მომხრეებს ხელსაყრელი დრო დაუდგებათ... მაგრამ თუ შეეცდებიან აღადგინონ სახელმწიფოებრივი მბრძანებლური მართვა, ამას ვეღარ შეძლებენ, რადგან ადგილობრივი მაფიები აღარ დაემორჩილებიან მათს ბრძანებებს. როცა ქვეყანაზე ვლაპარაკობ, მოსკოვსაც ვგულისხმობ. ადგილობრივი მაფიები დაიკავებენ თავის პოზიციებს, თუ საჭირო გახდა, ძალითაც. მათ შეეძლებათ ადგილობრივი არმიების ყოლა, რადგან მათთვის გადასახდელი ფული ექნებათ. იქნება, შესაძლოა, შეიარაღებული კონფლიქტებიც, მაგრამ, უფრო, შეიარაღებულთა პირისპირდგომა. დეზინტეგრაცია გაგრძელდება და მას, პოტენციაში, ფსკერი არ ექნება. ეს ყველაზე ალბათი სცენარია, მაგრამ მოაზრებადია სხვებიც: სახელდობრ, შესაძლებელია სამხედრო „პატრიოტული" დიქტატურის შექმნის მცდელობაც (რაც, რა თქმა უნდა, არც თუ მხიარული პერსპექტივაა).

### პროგნოზი რეალობის პირისპირ

თუ აღწერილ სიტუაციას შევადარებთ ჩემს პირველ პროგნოზს, უნდა ვთქვათ, რომ იგი, ძირითადად, სწორი იყო. ეკონომიკური დეზინტეგრაცია მართლაც მოხდა და ხდება. ამ პროგნოზში მე განვასხვავე თვითსსრკ და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ეს გამართლდა. ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა უკვე ფსკერს მიაღწიეს (ანუ ვარდნა შეწყვიტეს), ახალი ეკონომიკური სისტემა მათში ფეხს იკიდებს და დრო მათთვის მუშაობს. ყოფილი სსრკ-ს ეკონომიკა, პირიქით, უძირო შავი ხვრელივითაა.

რაც ვერ შევაფასე ჯეროვნად, ერთადერთია: ესაა ნაციონალიზმის ძალა სსრკ-ში და მის გარეთ... ახლა, მე მგონი, იგი მთავარი საფრთხეა ამ რეგიონებისათვის. ამიტომ მე განვავრცობ ჩემს ანალიზს, რათა გავითვალისწინო ნაციონალიზმის ძალა.

### ნაციონალიზმის ორი სახე

სანამ დავიწყებდე, ტერმინოლოგიის მძიმე პრობლემა უნდა გადავჭრა. მე არ მსურს ნაციონალიზმის დაგმობა, როგორც ასეთისა, რადგან ნაციონალური გრძნობები ყველგან მყოფია და ისინი ძალიან დადებით როლს თამაშობენ სოციალური კავშირის შექმნასა და პლურალიზმის წინ წაწევაში ღია საზოგადოების შიგნით. მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ნაციონალური გრძნობების ექსპლოატაცია დახურული საზოგადოების შესაქმნელად, იქცევა ნაციონალიზმი საშიშროებად. ამიტომ, უნდა განვასხვავო ნაციონალიზმის ორი სახე: მაგრამ როგორ? არსებულ იარლიყთა გამოყენება, როგორიცაა „ფაშიზმი", დამაბნეველია და უსამართლო. ამიტომ შემოვიტან ახალ სახელს — „ნაციონალურ დიქტატურას", შემოკლებით — „ნადი"-ს, რომელიც არ მიუთითებს რომელსამე კონკრეტულ ისტორიულ მაგალითზე, მაგრამ გარკვეულ მსგავსებას გულისხმობს.

(ამ ნაწყვეტში, რომელიც სიტყვა-სიტყვით ვთარგმნეთ, თავმოყრილია ავტორის მსჯელობის ულოგიკობისა და, აქედან გამომდინარე, სიყალბის თვით დედაარსი: თუ ნაციონალურ ანუ ეროვნულ ისტორიულმასშტაბიან ინტერესებზე ორიენტირებული მთავრობა არ არღვევს დემოკრატიის პრინციპებს, ანუ სავსებით სამართლებრივია და უმრავლესობის ნებას ეყრდნობა, მაშინ რატომ ჩაითვლება იგი „დიქტატურად"? ხოლო თუ მთავრობა დიქტატორულია, მაშინ რა უშლის მას ხელს, თავისი შესაძლებლობები ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართოს და იყოს „ანტი-ნადი", რასაც ადგილი ექნება, მაგალითად, მაშინ, თუ იგი უცხოელთა მარionეტია, ან რით არის ეს „ანტი-ნადი" ნაკლებ საშიში, ვიდრე „ნადი"? რედ.).

### „ნადის" ლიდერობა

„ნადი"-ური ტენდენციების ძალა რომ გავითვალისწინოთ, ამისათვის უნდა გავაანალიზოთ ამ მიმართულების ხელმძღვანელობის ბუნებაც და მისი მიმდევრებისაც, ანუ ის პოპულარული გრძნობა, რომლის ექსპლოატაციაც ამ ლიდერებს ძალუძთ. პირველის ორი ძირითადი წყაროა: ძველი კომუნისტური ნომენკლატურა, რომელმაც ნაციონალისტური იდეოლოგია მიიღო (მილოშევიჩი, კრავჩუკი და სხვანი), და ანტიკომუნისტური ოპოზიცია (ამ ჩამონათვალიდან ჩანს ავტორის ჰორიზონტის უნიკალური სივიწროვე: ნაციონალიზმი არსებობს მას აქეთ, რაც კაცობრიობამ თავის განვითარებაში ერის ცნებას მიაღწია. ავტორის ჩამოთვლილი „ნაციონალიზმები" ამ მოვლენის მხოლოდ კერძო სახეები არიან. რედ.). კომუნიზმს, რომელიც უნივერსალური დახურული სისტემა იყო, ზოგნი უპირისპირდებოდნენ მისი უნივერსალურობის („ზეეროვნულობის". რედ.) გამო, ზოგნი მისი დახურულობის გამო (ავტორს არ მოსდის აზრად, რომ სრულფასოვან დაპირისპირებაში კომუნისტური დიქტატურისადმი გაერთიანებული იყო მისი ორივე ხსენებული მოტივი. გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს სახალხო ფრონტის დევიზი: „ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ, პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ". რედ.) პირველნი ყალიბდებიან „ნადი"-ებად, მეორენი — ღია საზოგადოების მომხრეებად. ამას ვხედავთ უნგრეთში და, ნაკლებად, ბალტიის ქვეყნებში.

უკრაინაში და რუმინეთში ანტიკომუნისტი ნაციონალისტები და ნომენკლატურული ნაციონალისტები კოალიციაში არიან და ძლიერი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა ძალუძთ „ნადი"-ური რეჟიმის საგარანტიოდ, თუმცა, — მადლობა ღმერთს! — მათ ეკონომიკურ პრობლემებთან ჭიდაობა არ ეხერხებათ (რატომ „მადლობა ღმართს"? იმიტომ, რომ ნაციონალიზმი, ავტორის აზრით, ჩასაქოლავია მანამდე, სანამ გაიგებდეთ, დემოკრატიულია იგი თუ არა. რედ.). უკრაინაში არსებობს მცირე ჯგუფი „ახალი უკრაინა", რომელიც ფიქრობს, რაკილა ახალი უკრაინა გვაქვს, ბარემ ვიზრუნოთ იმაზე, რა იქნება იგიო. ამ ჯგუფის გარეთაც ვერავინ იქნება პოპულარული, ვისაც უკრაინის კეთილდღეობა არ აინტერესებს. ნაციონალური გრძნობა კონსტრუქციული ძალაა, რომელსაც იოლად ვერ გადააცდენ გზიდან.

### „ნადის" მიმდევრები

(ამ თემაზე ავტორი იმოწმებს ბუდაპეშტელი პროფესორის ი. რევის შემდეგ თეორიას): ბევრნი ნანობენ, რომ აქტიურად არ უპირისპირდებოდნენ კომუნიზმს და თავისი ცხოვრება ამაოდ გაფლანგეს. გამართლებას ეძებენ და თავს ინუგეშებენ იდეით, რომ კომუნიზმი (მათი ქვეყნისათვის) გარედან თავს მოხვეული სისტემა იყო. თვით შიშველი ფაქტი მათი **ამ** ეროვნებისა მათ კომუნიზმის ოპონენტად და მსხვერპლად ხდის. იგი მათ ამართლებს და სულიერ სიმშვიდეს აპოვნინებს თვით მათი ეროვნების ფაქტში. საყურადღებოა, რომ ასეთი აზროვნება მოიცავს თვით მპყრობელი ერების — რუსებისა და სერბების — ცნობიერებასაც კი. რუსები ფიქრობენ, რომ ისინი მსხვერპლად იქნენ მიტანილნი კომუნიზმის საკურთხეველზე, და მართალნიც არიან ამ თავის აზრში, რადგან საბჭოთა კავშირში ყველა ეროვნებას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი გარდა რუსებისა. რუსეთი გაიგივებული იყო საბჭოთა კავშირთან, ასე რომ რუსული იდენტობა მეტად იყო განადგურებული, ვიდრე სხვა ეროვნებებისა. იგივე ითქმის სერბებზეც.

ეს, ჩემის აზრით, ძლიერი თეორიაა, რომელიც მრავალ უცნაურ მოვლენას გვიხსნის. მაგალითად, ისინი, ვინც ამ თვალსაზრისზე დგანან, ადვილად შეიძლება მივიდნენ დემოკრატიის უარყოფამდე, როგორც კიდევ ერთი უნივერსალური (ზეეროვნული. რედ.) იდეისა, რომელიც ხიფათში აყენებს ეროვნულ იდენტობას. აქედან ერთი ნაბიჯიღაა ებრაულ-პლუტოკრატიული ბოლშევიკური შეთქმულების იდეამდე. კომუნიზმი უნივერსალური კაპიტალიზმია, კაპიტალიზმი უნივერსალური სისტემაა („უნივერსალური" ამ მსჯელობაში ყველგან „ზეეროვნულს" ნიშნავს. რედ.). ებრაელები და სხვა კოსმოპოლიტები (ანუ ისინი, ვინც ებრაელები არ არიან, მაგრამ სხვანი არიან, ვიდრე ჩვენ), ეთნიკური ვინაობის გადამწყვეტი მნიშვნელობის მორწმუნენი გადამწყვეტ როლს თამაშობენ ორსავე ამ სისტემაში. ორივე სისტემა ერთია: ისინი მოგონილნი არიან იმისათვის, რომ დაგვჩაგრონ და, აქედან გამომდინარე, წაგვართვან ჩვენი კუთვნილი როლი საზოგადოებაშიო.

აზროვნების ასეთი ხაზი დიდად მიმზიდველია იმათთვის, ვინც დაიჩაგრა კომუნიზმისაგან და ვერც ახალ რეჟიმში მოიპოვა ის ადგილი, რომლისთვისაც მოწოდებულად მიაჩნდა თავისი თავი. მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ იგი ადრეც უკვე გამოყენებული იყო ჰიტლერის მიერ. ვინაიდან ჰიტლერს უმრავლესობა უსიამოვნებით იგონებს, ცოტანი არიან ისეთნი, ვინც ზემოხსენებულ არგუმენტ-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# ჯორჯ სოროსი. "ნაციონალისტური დიქტატურები

აციას ღიად ხელს მოაწერს... მაგრამ აზროვნების ეს წესი შეიძლება ასეთი გაცხადების გარეშეც ყვაოდეს. აქედან — უცნაური ფენომენი ანტისემიტიზმისა ებრაელების გარეშე, რომელიც გამოვლინდა, მაგალითად, ჩურჩულის კამპანიის სახით მაზოვეცკის წინააღმდეგ პოლონეთში. დიდი პაექრობა რესტიტუციის, „ლუსტრაციის" და ძველი კომუნისტებისადმი მოპყრობის თაობაზე, რომელიც ამა თუ იმ სახით მძვინვარებს ყველა ყოფილ კომუნისტურ ქვეყანაში, ამავე თემის გარშემო ტრიალებს. საყურადღებოა, რომ ისინი, ვინც ებრძოდნენ კომუნიზმს, როგორც ჩაკეტილ სისტემას, როგორც მაგალითად ვაცლავ ჰაველი, ლმობიერებისაკენ იხრებიან ყოფილი კომუნისტების მიმართ და პრივატიზაცია ურჩევნიათ რესტიტუციას.

### ღია საზოგადოების ცნების სისუსტე

„ნადი"-ური ტენდენციების ძალას ზრდის ღია საზოგადოების ცნების სისუსტე. ევროპასთან შეერთებისა და თავისუფალი მსოფლიოს ნაწილად გახდომის პერსპექტივა უაღრესად მიმზიდველია ყველასათვის, ვისაც კომუნიზმის ქვეშ უცხოვრია. უბრალო ხალხი შეიძლება უფრო მონდომებულიცაა ამ მხრივ, ვიდრე ინტელექტუალები. ევროპასთან შეერთების პერსპექტივა ადვილად გაუწევდა კონკურენციას „ნადი"-ურ ტენდენციებს, რეალიზებული რომ იყოს. ეს პერსპექტივა მართლაც ერთადერთი ალტერნატივაა, რომელსაც ძალუძს ხელი შეუშალოს ეროვნების პრინციპზე დამყარებული მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი საზოგადოებების გაჩენას. ბოლოს და ბოლოს, ეროვნული ვინაობა (იდენტობა), ეროვნული სიამაყე, ეროვნული ერთგულება-ვალდებულება ხომ მნიშვნელოვანი ელემენტებია იმაში, რომ ღია საზოგადოებები პლურალისტური საზოგადოებები იყოს! ღია და დახურული საზოგადოების განმასხვავებელი ის არის, რომ ეროვნული ვინაობა (იდენტობა) არ არის ვინაობის (იდენტობის) ერთადერთი სახე და ეროვნული ვალდებულება, ეროვნული ერთგულება არ არის ერთადერთი ვალდებულება. ერთგულებები კომპლექსურია და მრავალმხრიანი. მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ელემენტი იწევს წინ დანარჩენების ხარჯზე, ჩნდება ხიფათი ღია საზოგადოებისათვის. ეს მოხდა კომუნიზმის დროს და ეს ხდება დღეს იუგოსლავიაში, სადაც სერბად ან ხორვატად ან ბოსნიელ მუსლიმანად ყოფნა სიკვდილ-სიცოცხლის საქმედ იქცა.

სამწუხაროდ, ევროპასთან შეერთების პერსპექტივა ყველა ამ ქვეყნებს (ვის პრობლემებსაც ვეხებით) დიდი არა აქვთ და დღითიდღე უმცირდებათ. ფაქტორი ორია. პირველი: ევროპა და დანარჩენი თავისუფალი მსოფლიო ვერ დგანან ამ გამოწვევის სიმაღლეზე (ამას ქვემოთ შევეხებით). მეორეა დემოკრატიის სიმწირე ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში. როგორც ზემოთაც ითქვა, ღია საზოგადოება საზოგადოების ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე დახურული. საამისო ტრადიციები, დახელოვნებანი, ინსტიტუტები ამ ნაკომუნისტარ ქვეყნებს, უბრალოდ, არა აქვთ — დემოკრატიულ მოძრაობებს, რომლებიც აქ ხელისუფლებაში მოვიდნენ, სათავეში ედგნენ ინტელექტუალები, დრამატურგები, ფილოსოფოსები, მუსიკის პროფესორები. ყველა ისინი ღია საზოგადოებების ერთგული მოთაყვანენი იყვნენ, მართვის გამოცდილებას პირწმინდად მოკლებულები, და მათ დაკარგეს ხალხის ნდობა.

გარდა ამისა, ღია საზოგადოების ცნება სრულებითაც არაა საკმარისი, რომ პოლიტიკური მოძრაობა ცოცხალი შეინარჩუნოს. სხვა თუ არაფერი, ღია საზოგაოება მოუწოდებს ადამიანებს, რომ ურთიერთგანსხვავებული იდეები ჰქონდეთ. როგორც კი ღია საზოგადოების იდეა გაბატონდება, მისი მხარდამჭერი უმრავლესობა გარდუვალად დაიწყებს გაყოფას განსხვავებულ იდეათა და ინტერესთა მიხედვით. ასე მოხდა პოლონეთში. სოლიდარობის ტოტალურ გამარჯვებას 1989 წელს მოჰყვა მისი ტოტალური დანაწევრება 1991-ში (ასევე სხვაგანაც...). და მაინც, ევროპასთან შეერთების პერსპექტივა ინარჩუნებს მძლავრ გავლენას და ბლოკავს დახურულ საზოგადოებათა გაჩენის პერსპექტივას. ეს გავლენა ყველაზე ძლიერია იქ, სადაც ყველაზე მაღალია ამის შანსები (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი). მაგრამ ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც მცირე დახმარება თუ მიუღიათ გარედან და კიდევ ნაკლებს მოელიან, — რუსეთი და ზოგი სხვა ყოფილი რესპუბლიკა, — კვლავ დასავლეთისაკენ იყურებიან მიმართულების მოცემის მოლოდინში. განსაცვიფრებელია და შთამბეჭდავია, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი დასავლეთის შეხედულებებს. საკითხავია, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს?

### შეიძლებოდა თუ არა ამის (საბჭოთა კავშირის დაშლის) აცილება?

სურათი ყოფილ საბჭოთა იმპერიაში მძიმეა. დგება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა ამ ვითარების (სსრკ-ს დაშლის) თავიდან აცლება? მე მწამდა, რომ შეიძლებოდა (ავტორი ჩამოთვლის თავის მრავალრიცხოვან წინადადებებს ამ მიმართულებით. უკანასკნელი გეგმის ჩავარდნის შემდეგ...). მე სსრკ განწირულად ჩავთვალე და ჩემი ძალისხმევა რესპუბლიკებზე, განსაკუთრებით უკრაინაზე გადავიტანე.

ძალიან კრიტიკულად ვეკიდებოდი ოფიციალურ ძალისხმევას, რომ მათთვის ტექნიკური დახმარება გაეწიათ. ეს ძალისხმევები... წარმოადგენდნენ საკომანდო ეკონომიკის უკანასკნელ ნაშთებს და გათვლილნი იყვნენ დონორთა საჭიროებების მომსახურებისათვის და არა მიმღებებისა. საჭირო იყო არა ეს, არამედ იმ ძალთა გაძლიერება, რომლებიც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად მართლაც ერთგულნი იყვნენ თავისუფალი საზოგადოების იდეალისა. მაგრამ საერთაშორისო დახმარება მხოლოდ შემწეობა იყო და არა შველა.

### მონეტარული რეფორმა

მე იმთავითვე ვასაბუთებდი, რომ უმთავრესი ამოცანა იყო მომუშავე მონეტარული სისტემის შემუშავება და რომ ეს ვერ გაკეთდებოდა დასავლეთის დახმარების გარეშე. დღესაც, თუმცა გვიანაა, ამას ვითხოვ. ამას წინათ გამოვაქვეყნე უოლ სტრიტის ჟურნალში წერილი, სადაც ვამტკიცებ, რომ მოსალოდნელი ჰიპერინფლაციისა და დოლარის ზე-ვალუაციის წყალობით ამ ოპერაციის ჩატარება შეიძლება სასაცილოდ მცირე ხარჯით. მინიმალური თვის ხელფასია 6 დოლარი. ამგვარად, შესაძლებელი იქნებოდა 200 მლნ კაცისათვის უმუშევრობის შემწეობისა და სოციალური დაცვის მიცემა სულ რაღაც 10 მილიარდი დოლარით წელიწადში.

ჩემი წინადადებაა სოციალური დახმარების გაცემა მყარ ვალუტაში. ამით მიიღწევა რამდენიმე მიზანი ერთდროულად. პირველი. ეს შეიყვანს მყარ ვალუტას საერთო მიმოქცევაში. მეორე. ეს მსყიდველობით ძალას მოაქცევს იმათ ხელში, ვისი საჭიროებებიც უნდა დაკმაყოფილდეს. მესამეც. ეს შექმნის სტიმულს არამომგებიან წარმოებათა დახურვისათვის. შედეგი სასწაულებრივი იქნებოდა. ბარტერი შეიცვლებოდა ფულადი ტრანსაქციებით, კაპიტალის გადინება შეწყდებოდა და შეტრიალდებოდა, აღდგებოდა ვაჭრობა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის და ეკონომიკა მიმართულებას აიღებდა ნამდვილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ყველაფერი ეს გაკეთდებოდა სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გარეშე. ამავე დროს სახელმწიფოს სტიმული ექნებოდა საკუთარი სახლის მოწესრიგებისა, რადგან უფრო დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, თუ მოინდომებდა თავისი დეფიციტის შევსებას ფულის ბეჭდვით. იმ შემთხვევაში, თუ ეს სქემა ვერ გამოიწვევდა შებრუნებას ეკონომიკაში, იგი ბერკეტი იქნებოდა არასასურველი მიმართულებით მთავრობის შეცვლის აღსაკვეთად, რადგან 10 მილიარდი დოლარის შეცვლა ადვილი არ არის. ეს იდეა წამოვაყენე სხვა წერილში იმავე ჟურნალში 1990 წელს და ჩემს ამ პროექტს ფასის იარლიყად დავადე 25 მილიარდი დოლარი. მაშინ ეს მეტისმეტად ადრე იყო, ახლა, შესაძლოა, გვიანია.

### გაგების დეფიციტი

მას შემდეგ, რაც უნაყოფოდ ჩაიარა ყველა ჩემმა მცდელობამ (დასავლეთის პოლიტიკოსთა დარწმუნებისა), მე აღარა ვარ ძველებურად დარწმუნებული, რომ (საბჭოთა კავშირის) დეზინტეგრაციის პროცესის აცილება შეიძლებოდა. გორბაჩოვმა უარყო შატალინის გეგმა („500 დღე"), ხოლო დასავლეთმა არ გამოიჩინა რეალური ინტერესი ეკონომიკური და მონეტარული რეფორმისადმი სსრკ-ში და მის მემკვიდრე სახელმწიფოებში. როგორ ავხსნათ ეს? არის ორი შესაძლებლობა. პირველი: ისტორიას თავისი გარდუვალი დენა აქვს. მეორე: გაგების უკმარისობამ ხელი შეუშალა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. რამდენადაც გაგების უკმარისობა ყველა რევოლუციურ პროცესთა მოუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ამ ორ ახსნას დაახლოებით ერთი და იგივე დასკვნები მოსდევს, ყოველ შემთხვევაში, წარსულ ისტორიასთან მიმართებაში მაინც. მაგრამ ამ ორ ახსნას სულ სხვადასხვა იმპლიკაციები აქვს მომავლისათვის, რადგან უკმარისი გაგება მართლაც პასუხისმგებელია ბევრ რამეზე წარსულში და უკეთეს გაგებას ბევრი რამის გაუმჯობესება შეუძლია.

ჩემი ფონდების გამოცდილებაა ძლიერი არგუმენტაციაა მეორე ალტერნატივის სასარგებლოდ. ზოგმა მათგანმა წონადი წვლილი შეიტანა ღია საზოგადოებისაკენ გადასვლაში. დავასახელებ მხოლოდ უნგრეთისას, როგორც ყველაზე ძველს (1984 წლიდან). მის როლს დემოკრატიის საქმეში მტრებიც კი აღიარებენ. საყურადღებოა, რომ უნგრეთში დემოკრატიაზე გადასვლა ევოლუციური პროცესი უფრო იყო, ვიდრე რევოლუციური. იგი, როგორც ჩანს, გაგრძელდება კვლავაც. ამ ქვეყანაში ნაციონალიზმის აღმავლობის მიუხედავად ჩემი ფონდების წარმატება კონტრასტშია ჩემს წარუმატებლობასთან პოლიტიკაზე გავლენის მცდელობაში და იგი მოწმობს, რომ მოვლენათა მიმდინარეობას მასში მონაწილეთა მოქმედება განსაზღვრავს. ჩემმა ფონდებმა ძალა მისცეს ადამიანებს, რომელთაც მოქმედება ეწადათ, იმ დროს, როცა პოლიტიკაში მე ვცდილობდი იმათ დარწმუნებას, ვისაც მოქმედება არ ეწადა.

### რა შეგვიძლია დღეს?

თქმულს მივყავართ ამ ბოლო კითხვასთან. პირველ ყოვლისა, საჭიროა უკეთესი გაგება და უფრო ნათელი ჩახედვა საკითხებში. ფართოდაა გავრცელებული ვერგაგება იმისა, თუ რა თამაშდება, — დღესაც კი, როცა უკვე თამაშის გვიანდელ სტადიაზე ვართ. თუ გაიკითხავთ, რა იყო საბჭოთა სისტემის დამხობა, უმრავლესობა გეტყვით, ეს იყო კაპიტალიზმის გამარჯვება კომუნიზმზეო. სინამდვილეში ეს იყო ღია საზოგადოების გამარჯვება დახურულზე.

### ღია საზოგადოების ცნება

სამწუხაროდ, ეს ცნება საყოველთაოდ აღიარებული არაა. კიდევ უარესია, რომ იგი ადვილი გასაგები და პოლიტიკაში ადვილად გამოსაყენებელი არ არის. იგი დამყარებულია ფილოსოფიურ შთახედვაზე, რომ სიტუაციის მონაწილეებისეული გაგება ჩანასახშივე ნაკლოვანია. თუ მოინდომებთ ამ შემთხვევის გამოყენებას შეხედულებათა სისტემის საფუძვლად, მიადგებით პარადოქსს; თქვენ მოგიხდებათ ირწმუნოთ თქვენივე გაგების არასრულყოფილება.

ეს შეხედულება საფუძვლიანია. მას მხარს უჭერს ისტორიის ჩვენებაც და მეცნიერული მეთოდისაც, მაგრამ მისი შეცნობა და აღიარება დიდ ხერხს მოითხოვს. აბა, აუხსენით ეს თოფიან სერბ პატრიოტს და ნახავთ შედეგს! ამიტომაც ძნელია დახურული საზოგადოებიდან გადასვლა ღიაზე. ღია საზოგადოება ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმაა, რომელიც მოითხოვს განათლების უფრო მაღალ დონეს, ლეგალურსა და ინსტიტუციონალურ დაცვით მექანიზმებს და შემწყნარებლობის ტრადიციას. იგი მეტია, ვიდრე მხოლოდ დემოკრატია ამ სიტყვის მოარული აზრით (აქ ავტორი ცდება: დემოკრატია, ამ სიტყვის რაგინდარა ვიწრო აზრით, მეტია, ვიდრე ყოველივე ის, რაც მან ჩამოთვალა. ის მახასიათებლები, რასაც იგი მოითხოვს „ღია საზოგადოებისაგან", მხოლოდ დემოკრატიის რეალიზაციის სხვადასხვა მხარეებია. დემოკრატიის პრინციპს, — რომ ყველა ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ეროვნულიც, მაგრამ იმ საზღვრებში, რომ სხვა ადამიანის ასეთივე მოთხოვნილებები უსამართლოდ არ შეილახოს, — იგი, როგორც ჩანს, არც იცნობს. რედ.). დემოკრატიის მნიშვნელობის გაგებაში ადვილად შეიძლება შევცდეთ, თუ მას გავიგებთ, უბრალოდ, როგორც უმრავლესობის ბატონობას. ეს ადვილად მიგვიყვანს (უმცირესობის) დამდაბლებამდე და ეთნიკურ წმენდამდეც კი. (ესეც დიდი ხნის ცნობილი ჭეშმარიტებაა. რედ.). უმცირესობათა დაცვა, აზრისა და მისი გამოთქმის თავისუფლება ღია საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტებია (ეს სულ დემოკრატიის საყოველთაოდ ცნობილი ელემენტებია. რედ.) და ასევეა მისი ელემენტი სამოქალაქო საზოგადოებაც, რომელიც არაა დომინირებული სახელმწიფოს მიერ (აქ ავტორი კიდევ ერთხელ ცდება და თავის წინააღმდეგობას პოლიტიკური აზრის ცნობილ ანბანურ ჭეშმარიტებასთან ნიღბავს სიტყვის „დომინირება", რაც ნიშნავს „გაბატონებას", „ზეობას" მრავალაზროვნებით: სახელმწიფო სამოქალაქო თავისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. სახელმწიფოს არარსებობა ან მისი უძლურება გარკვეული კრიტიკული ნიშნულის ქვემოთ მოქალაქეობასაც, სამოქალაქო საზოგადოებასაც და თავისუფლებასაც შეუძლებელს ხდის. რედ.).

ამ მხრივ ევროპული თანამეგობრობა უფროა ღია საზოგადოების ცნების განსახიერება, ვიდრე შეერთებული შტატებიც კი. მას აქვს თვისება, რომელიც ნაკლებადაა შეფასებული: ყველა მისი შემადგენელი ნაციები უმცირესობანი არიან მის შიგნით. ეს აადვილებს უმცირესობათა უფლებების დაცვას, როგორიცაა სხვადასხვა ენების ხმარების უფლება, და ინდივიდების დაცვას (რა ლოგიკით და რა მექანიზმებით — ავტორი არ აკონკრეტებს. ინდივიდის დამცველი არის კანონი და ამ უკანასკნელის რეალიზატორი არის სახელმწიფო. ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო პრაქტიკა ერთის მხრივ და ამ უფლებათა რეალიზაციის მექანიზმები, მეორეს მხრივ, კანონმდებლობის სრულყოფის ჩარჩოში ტრიალებს. რედ.)...

იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია ღია საზოგადოების პირობები... (ამ საზოგადოების არსებობას ისევე ვერ ამჩნევენ, როგორც ჰაერს), მაგრამ ეს შეცდომაა: ჰაერი ბუნების მოცემულია, ღია საზოგადოებას კი შექმნა და დაცვა სჭირდება.

### რა ვერ გააკეთა თავისუფალმა მსოფლიომ

აქაა უბედურების თესლი. თავისუფალმა მსოფლიომ ვერ

# „ღია საზოგადოების წინააღმდეგ"

გასცა პასუხი იმ ადამიანთა საჭიროებებს, რომლებიც კომუნიზმისაგან გათავისუფლებას ესწრაფოდნენ, რადგან მას არ ესმის, რა არის თავისუფლება. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გაბატონებულია აზრი, რომ თავისუფლების ყველაზე კარგი სამსახური ისაა, რომ ადამიანს საშუალებას მისცემ თავისი პირადი ინტერესებისათვის იზრუნოს. არაა მართალი: საკუთარი ინტერესებისათვის ზრუნვა საკმარისი არაა თავისუფალი და ღია საზოგადოების შექმნისთვის. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რასაც ისტორია გვაძლევს. დახურული საზოგადოების დანგრევა ავტომატურად არ იწვევს ღია საზოგადოების გაჩენას. ამისათვის ადამიანებს უნდა სწამდეთ ღია საზოგადოება — დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, უმცირესობათა და განსხვავებულ აზრთა პატივისცემა და ა.შ. — როგორც სასურველი ფორმა სოციალური ორგანიზაციისა და **ისინი მზად უნდა იყვნენ საკუთარ ინტერესთა დათმობისათვის** (ხაზი ჩვენია. რედ.) ამ მიზნის მისაღწევად (აქ ისევ არსებითი შეცდომაა: წეღან ჩამოთვლილი „დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, უმცირესობათა ანგარიშგაწევა" და სხვა, მთლიანად ეტევა დემოკრატიის ცნებაში და „ღია საზოგადოების" ავტორისეულ

# „ღია საზოგადოების წინააღმდეგ"

განსაზღვრებასთან, საერთო არაფერი აქვს. მაგრამ მთავარი სხვაა: თუ ადამიანისაგან მოითხოვთ „საკუთარი ინტერესების" დათმობას, ვალდებული ხართ განსაზღვროთ, რისთვის, ანუ რომელი უფრო ძლიერი ადამიანურივე ინტერესის სამსახურისათვის სთხოვთ ამას. ასეთი ინტერესები არაერთია ცნობილი: ესენია სამართალიც, ოჯახიც, სამშობლოც, დემოკრატიაც და მრავალი სხვაც. ამ ჩამონათვალში „ღია საზოგადოება" იმ აზრით, როგორითაც მას ავტორი განსაზღვრავს, არ არის, და თუ მისი იქ შეყვანა გინდათ, ამას დასაბუთება სჭირდება. უფრო ვიწროდ — სჭირდება მათი დაცვისა და რეალიზაციის მკაფიოდ გამოთქმული მიზნის მატარებელი ანუ იდეოლოგიის მქონე სახელმწიფო. ეროვნული სახელმწიფო, ანუ მოცემული ერის ისტორიულ ტერიტორიაზე მდებარე საკუთარი სახელმწიფო, ასეთი სახელმწიფოს ძირითადი და სამომავლოდაც, პრაქტიკულად, უალტერნატივო ფორმაა. ახალი სახელმწიფოები, რომლებიც სხვა პრინციპებით შეიქმნა აქამდე ან ამიერიდან შეიქმნება, ასეთ სახელმწიფოთა მსოფლიო სისტემაში შემოდის და ამიტომ მათვე ემსგავსება. ეს სახელმწიფო, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების ოპტიმალური ფორმა, კაცობრიობას უკვე შექმნილი აქვს. ავტორი მის შეძლებისდაგვარად გამოთიშვას მოითხოვს მასში მიმდინარე პროცესთა რეგულირებიდან და მისი ფუნქციის მაქსიმალურად შესუსტებას სიკეთედ თვლის, მაგრამ, ამავე დროს, გვთავაზობს, რომ ადამიანთა „საკუთარი ინტერესები" დავუქვემდებაროთ ახალ იდეოლოგიზირებულ მიზანს — „ღია საზოგადოების" შექმნას, რომელიც, ჯერ ერთი, მას დამაკმაყოფილებელი მკაფიობითა და ერთმნიშვნელოვნებით განსაზღვრული არა აქვს, მეორეც, არა აქვს „გადათარგმნილი" ადამიანთა ბუნებითი ადამიანური მოთხოვნილებების ენაზე. ანუ არა აქვს გარკვეული, ადამიანის რომელი და რომელი ადამიანური საჭიროება მოითხოვს ასეთი საზოგადოების შექმნას მათი „საკუთარი ინტერესების" დათმობის ფასად. რედ.). (ამის შემდეგ კი მოდის ის სტრიქონები, რომლებიც ამ სტატიაში გამოხატული პოზიციისათვის მთავარია): გარდა ამისა, არაა საკმარისი, რომ ადამიანებმა, რომლებიც პირდაპირ არიან მონდომებულნი ღია საზოგადოების შექმნას, მისკენ ისწრაფონ. იმათ, ვინც უკვე სარგებლობს ასეთ საზოგადოებაში ყოფნის ბედნიერებით, დახმარების ხელი უნდა გაუწოდონ მათ. თუ თავისუფალმა მსოფლიომ არ მოინდომა ძალისხმევის მოხდენა, რათა მოახდინოს საბჭოთა იმპერიის ინტეგრირება, იგი განაგრძობს დეზინტეგრაციას.

ნათელია, რომ თავისუფალი მსოფლიო ვერ დადგა ამ გამოწვევის სიმაღლეზე. სსრკ-სა და იუგოსლავიის დეზინტეგრაცია მეტისმეტად შორს წავიდა, ასე რომ დღეს შეუძლებელია მათს ინტეგრაციაზე ლაპარაკი, როგორც რეალისტურ პოლიტიკურ მიზანზე...

თვით ევროპის არსებობაც კი, როგორც ღია საზოგადოებისა, დღეს საფრთხეშია იმის გამოც, რომ მას სჭირდება გარეთკენ საზღვრების ჩაკეტვა, და იმის გამოც, რაც მის შიგნით ხდება. გერმანიის გაერთიანებამ და სავალუტო გაცვლის შეფარდების (exchange rate) მექანიზმის მოშლამ დაარღვია ფაქიზი ბალანსი, რომელიც ყველა წევრს ევროპის თანამეგობრობაში უმცირესობად ამყოფებს, და იშვა გერმანული დომინაციის აჩრდილი. დრო მივხვდეთ, რომ კომუნიზმის კოლაფსი თავისუფალი მსოფლიოსათვის დამარცხებად იქცევა თანდათანობით და არა გამარჯვებად. გერმანია გაერთიანდა, მაგრამ არა ევროპა. შეიძლებოდა, ყოველივე სხვა გზით წასულიყო. საბჭოთა იმპერიის კოლაფსი საშუალებას იძლეოდა მსოფლიოს ახალი წესრიგის შესაქმნელად, მაგრამ იგი გაშვებულ იქნა ხელიდან და ამაზე კამათი უსარგებლოა. ეს გახლავთ ამ ლექციის ძირითადი თეზისი.

რა მდგომარეობაში დატოვა ამ პროცესებმა თავისუფალი მსოფლიო? დიდი ხიფათის მდგომარეობაში. არასტაბილურობა ამ რეგიონში გამოხმაურებას პოვებს მის გარეთ. ბოსნიის ამბებმა ისლამური გამოხმაურება ჰპოვა თვით ინდონეზიაშიც კი. იარაღი ყოფილი სსრკ-დან თვისუფალ ნაკადად მოედინება. გენიოსობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ მსოფლიოს დიდი მოუსვენრობა ელის. მაგრამ არის ფუნდამენტალური კითხვაც: რაღას ნიშნავს „თავისუფალი მსოფლიო", როცა მისი მოპირისპირე „ბოროტების იმპერია" აღარ არსებობს?

## პოლიტიკის გადააზრება

ამ კითხვის პასუხს ღრმა დაფიქრება სჭირდება. გავრცელებულ იდეებს, რომლებიც ხმარებაში ცარიელ სიტყვებად გაცვდნენ, — თავიდან შეფასება. რა კავშირია დემოკრატიასა და საგარეო პოლიტიკას შორის? მეორე მსოფლიო ომი იდეოლოგიის საფუძველზე მიმდინარეობდა: დემოკრატია დიქტატურების წინააღმდეგ. იგივე ტრადიცია გაგრძელდა ცივ ომში. მაგრამ მაშინაც კი, როცა მიმდინარეობდა ბრძოლა ადამიანთა იდეური მიმხრობისათვის, იყო ამბოხება იმის წინააღმდეგ, რომ იდეოლოგიას საგარეო პოლიტიკაზე გაბატონება შესძლებოდა. ახალი დოქტრინა ამბობდა, სახელმწიფოებმა თავის ინტერესებს უნდა მისდიონ და არა იდეოლოგიასო. ეს ორი თავალსაზრისი ასევე მოურიგებელი რჩება. საგარეო პოლიტიკა „რეალპოლიტიკის" საუფლოდ დარჩა, დემოკრატია და ადამიანთა უფლებები კი პროპაგანდაში გადავიდა.

დემოკრატია არაა გამოსადეგი საგარეო პოლიტიკის მიზნად, იგი განსაზღვრებითვე, საშინაო ამოცანაა. დემოკრატიის სხვათათვის თავს მოხვევის ცდა არის წინააღმდეგობა ტერმინებში, რამაც ამერიკული პოლიტიკა მრავალ მახეში გააბა. მაგრამ არის შინაურ საქმეებში ყოფაქცევის გარკვეული სტანდარტები, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოს დაინტერესების კანონიერ საგნად ითვლება. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ საჭიროა რაღაცა სახის მსოფლიო წესრიგი, თუ არ გვინდა უწესრიგობა სუფევდეს. მე მგონი, რომ ასეთი წესრიგის ყველაზე კარგი საფუძველია ღია საზოგადოების ცნება.

## ღია საზოგადოება, როგორც პოლიტიკის მიზანი

ღია საზოგადოება არ იძლევა კონკრეტული ორგანიზაციული ფორმის რეცეპტს, მაგრამ იგი ითხოვს, რომ იყოს მისი რაღაცა ფორმა. ორგანიზაციის პრინციპი ის არის, რომ არავინ ფლობს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებას ან უფლებას (არ ვფლობთ „უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებებს", რომ დანაშაულს დასჯა უნდა, ეპიდემიას — ორგანიზებული ბრძოლა, ბავშვებს — განათლება? რედ.). აქედანვე — სახელმწიფოს ან სხვა რამ ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობა, რომ ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლე განკარგონ. აქედან — აზრისა და გამოთქმის თავისუფლების საჭიროება და უმცირესობათა დაცვის საჭიროება. ეს ცნება — ღია საზოგადოება — ახლოა დემოკრატობასთან, მაგრამ უფრო უნივერსალურია. დემოკრატია შინაური საქმეა, ღია საზოგადოების ცნება კი (არ დაგვავიწყდეს, რომ ავტორს მისი მეტნაკლებად მკაცრი განსაზღვრება ჯერ მოცემული არ აქვს. რედ.) სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება. ეს ნიშნავს, რომ **არსებობს კონფლიქტი ღია საზოგადოების ცნებასა და ეროვნული სუვერენიტეტის ცნებას შორის** (ხაზი ჩვენია. რედ.), რომელსაც გადაჭრა (მოგვარება) სჭირდება. ეს არის კონფლიქტი, რომელსაც ჩვენ უკვე პრაქტიკულად ვხედავთ ისეთ ადგილებში, როგორიცაა სომალი და ბოსნია (ავტორს, როგორც ჩანს, აზრად არ მოსდის კითხვა: თუ ბოსნია, მისი მოსახლეობის ნებისა და სამართლიანობის შესაბამისად, იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშინაც კონფლიქტი იქნება მის ეროვნულ სუვერენიტეტსა და მასში ღია საზოგადოების არსებობას შორის? რედ.).

კონცეპტუალურად, ამ კონფლიქტის გადაჭრა (მორიგება) ძნელი არაა: ღია საზოგადოების ცნება გულისხმობს, რომ ეროვნულ სუვერენიტეტს პატივი უნდა მიეგოს ყველგან, სადაც არ ილახება ადამიანის საყოველთაო უფლებები (მაშინ სადაა წინააღმდეგობა? რა გვიშლის ხელს, რომ რაგინდარა „დახურულ საზოგადოებაში" სახელმწიფოს ამ უფლებათა დაცვა კონვენციების საშუალებით ვაიძულოთ? რედ.). მაგრამ რეალური პრობლემაა ამ პრინციპთა გადატანა პრაქტიკაში, რაკი უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება არავის ხელთ არა აქვს (თუ არა აქვს, მაშინ რა უფლებით ვუსჯით კაცს ჯარიმას ტრამვაიდან ჩამოხტომისათვის ან თავის მოკვეთას — მძიმე დანაშაულისათვის? რედ). ღია საზოგადოების შენახვისათვის ჩვენ გვჭირდება წესები, პროცედურები და სტრუქტურები (გაერო, ეუთო და სხვანი ამისათვის უკმარისნი არიან, რადგან სხვა მიზნებისათვის შეიქმნენ).

მაგრამ პრობლემა საშურია და პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მიღებას გვაიძულებს. „ბოროტების იმპერიის" დანგრევა თავისუფალი მსოფლიოს უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის (ავტორი კვლავ ეშმაკობს: არც ერთი „უსაფრთხოების" პრობლემა, რომელიც „თავისუფალ მსოფლიოს" სსრკ-ს დაშლით შექმნოდეს, ჯერ არსად დასახელებულა. პირიქით: მსოფლიოს დიდი ხნით მოეხსნა III მსოფლიო ომის საშიშროება და „შეიარაღებათა დოღისაგან" განიტვირთა. რედ.). ეს საშიშროებები მოითხოვს კოლექტიურ პასუხს. (ბოსნიის ამბებს) გარე მსოფლიო თავზარდაცემული უყურებს და იგი ვერ დარჩება პასიურ მაყურებლად. რა საფუძვლები არსებობს ინტერვენციისათვის (ჩარევისათვის)? აი, აქ გამოგვადგება ღია საზოგადოების ცნება.

## მალე ჩარევის საჭიროება

პირველი, რასაც ეს ცნება გვასწავლის, ისაა, რომ დახურული საზოგადოებიდან ღიაზე გადასვლა გარედან აქტიურ დახმარებას საჭიროებს. კომუნიზმის დახურული საზოგადოება დაიშალა და ეს პროცესი, როგორც ჩანს, გაგრძელდება უსასრულოდ, თუ — ან სანამ, — მობილიზებული არ იქნება საკმარისი ძალები, რათა მოხდეს სოციალური ორგანიზაციის სხვა პრინციპის დამკვიდრება. თუ „ნადი"-ური პრინციპი გაბატონებული იქნება, მაშინ კონფლიქტები გარდუვალი იქნება, რადგან ნაციონალიზმზე დამყარებულ დახურულ საზოგადოებას მტერი სჭირდება. მაგრამ ღია საზოგადოების პრინციპი ფესვს ვერ გაიდგამს, თუ საქმეში აქტიურად არ ჩაერევა. თავიდან ბოლო ფალი მსოფლიოს ღია საზოგადოება. ამიტომ დაგვიანებულია ჩარევა მას შემდეგ, რაც კონფლიქტმა იფეთქა. ჩარევას უნდა ჰქონდეს იმ ძალთა პოზიტიური გამაგრების ფორმა, რომლებიც ღია საზოგადოებას ესწრაფვიან. ასეთი ძალები სახეზეა: კომუნიზმის ხსოვნა ჯერ კიდევ ძალიან ცხოველია, თუმცა იგი სწრაფად იფიტება. რაც უფრო გვიან მოვა დახმარება, მით უფრო დიდი ხანი დასჭირდება მას, რათა ქმედითი იყოს.

ამ აზრისა ვარ მე მას აქეთ, რაც სსრკ-ს დეზინტეგრაციამ მიაღწია თავის რევოლუციურ ზენიტს 1989 წელს. მე იგი გამოვთქვი წიგნებში და მისით ვხელმძღვანელობ მოქმედებაში. ბოლო დრომდე ვფიქრობდი, რომ რევოლუციურ გზნებას შეგვიძლია ლაგამი ამოვდოთ და შემოვაბრუნოთ დღესდღეობით დეზინტეგრაციისაკენ მიმართული ტენდენცია. ვაცნობიერებდი რა გარედან დახმარების საჭიროებას, მონდომებით ვცდილობდი ასეთი დახმარების მობილიზებას. 1992 წლის აპრილში დავინახე, რომ ეს შესაძლებლობა დაკარგული იყო: არეულობის პერიოდს ვერ ავცდებოდით. მას შემდეგ უფრო წყნარად ვარ, მაგრამ ჩემი ჩარევის ხარისხი გაიზარდა.

იუგოსლავიის მაგალითმა მასწავლა, რომ შავ ხვრელში ჩასვლა საქმის დასასრული არაა. პირიქით, იგი მხოლოდ დასაწყისია იმ მაიძულებელი აუცილებლობისა, რომ საქმეში ჩაბმა მოხდეს. მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს უჩნდება განცდა, რომ ეს ასეა, და მხოლოდ დროის საკითხია, როდის მოხდება მისი მხრიდან ამ სიტუაციაზე პასუხის გაცემა. მე მხოლოდ იმედის გამოთქმა შემიძლია, რომ იგი ისწავლის გამოცდილებიდან და მანამდე ჩაებმება საქმეში, სანამ კონფლიქტები იფეთქებდნენ.

დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელია „ნადი"-ური ტენდენციის შემოტრიალება დღესაც კი, დაგვიანების მიუხდავად, თუკი პოლიტიკური ნების საკმარისი მობილიზება მოხდება. უბედურება ისაა, რომ ნაციონალიზმი ბევრად უფრო ქმედითი პრინციპია პოლიტიკური ნების მობილიზებისათვის, ვიდრე ღია საზოგადოების რწმენა.

# II. საქართველოს განათლების კანონი, როგორც განათლების სისტემის თანმიმდევრული დეგრადაციის და რადიკალური დეზაბილიტაციის (დაუძლურების) ფაქტორი

*საქართველოს საზოგადოებრიობის ფართო წრეებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს ახალი კანონმდებლობა განათლების სფეროში არადამაკმაყოფილებელია. სახელდობრ, იგი ქმნის იურიდიულ პირობებს საშუალო და უმაღლესი განათლების განუხრელი დეგრადაციისათვის, ერთის მხრივ, და არ ქმნის არც სტიმულს, არც პირობებს შემოქმედებითი ძალისხმევისათვის მის აღსაორძინებლად და განსავითარებლად, მეორეს მხრივ. მაგრამ ამ ზოგადი ცნობის გარდა ჩვენს მოქალაქეებს არ მოუპოვებათ კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ახალი საგანმანათლებლო კანონმდებლობის ეს ნაკლი და მანკიერი მიმართულება (ფართო წრეებმა მხოლოდ ზოგადად იციან, რომ დაქვეითებულია მომთხოვნელობა ცოდნის ხარისხისადმი, დაქვეითებულია პედაგოგის როლი, მოზარდები არ არიან დაცულნი ანტიპედაგოგიური გავლენისაგან, და ზოგი სხვა რამ). წინამდებარე განმარტების მიზანია მკითხველს მივცეთ სისტემური და შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია ამ კანონმდებლობასა და მასთან დაკავშირებული სოციალური და ფსიქოლოგიური საშიშროებების შესახებ. ამ სფეროს იურიდიული რეგულირება დღეს ორ კანონს ემყარება: „ზოგადი განათლების შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“. განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე.*

### „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“

#### I. მიზნის ფორმულირება და მისი რეალური არსი

ზოგადი განათლების არსი კანონში განსაზღვრულია შემდეგნაირად:

*„1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:*

*ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;*

*ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა“.*

ეს ფორმულირება შეიცავს საშუალო განათლების („ზოგადი განათლების“) არა ყველა იმ ფუნდამენტური (ძირითადი) მიზნების ჩამონათვალს, რომლებიც დღეს საქართველოში აუცილებლობით (და არა შემთხვევით ან ვისიმე იდეალისტური მოჩრიანებით) დგას ახალი თაობის იდეური, მორალური, ფიზიკური და ინტელექტუალური ფორმირების ამოცანის კონტექსტში, არამედ მხოლოდ ზოგიერთს. გამოტოვებულია, პირველ ყოვლისა, იმ „აუცილებელი ცოდნის“ განსაზღვრება, რომელიც საქართველოს 18 წლის მოქალაქეს — ვაჟს თუ ქალს — უნდა ჰქონდეს, რათა ცხოვრებისა და მოქალაქეობისათვის მზად იყოს. ეს განსაზღვრება, როგორც მინიმუმი, ასეთი უნდა იყოს: **„(ზოგადი განათლების სისტემამ ახალგაზრდას უნდა მისცეს) ფუნდამენტური ცოდნის მინიმუმი, რომელიც საკმარისია, რათა მან ა) შეძლოს სრულფასოვანი მონაწილეობა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული წარმოების პროცესში, ამ ტექნოლოგიათა განვითარების უწყვეტი პროცესის შემდგომი მიყოლის პერსპექტივით, და ბ) შეძლოს თავისი მომზადება ფუნდამენტური ცოდნის დარგში შემდგომში სრულყოს, შეავსოს და განავითაროს, თავის მიერ არჩეულ სპეციალურ დარგში, იმ პერსპექტივით, რომ წარმატებული მუშაობის (სწავლის) შემთხვევაში დაეუფლოს მეცნიერების განუხრელად მზარდ თანამედროვე დონეს“.** ეს განსაზღვრება არაფერს შეიცავს იმ მიზნის ზემოთ, რასაც ისახავს საშუალო განათლება უკლებლივ ყველა თანამდროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში. ახალგაზრდა, რომელიც ამ დონეზე დაბლა იმყოფება თავისი ცოდნით, გამორიცხულია როგორც თანამედროვე წარმოებიდან (დაზგასთან მდგარი მუშის როლშიც კი), ისე მეცნიერებიდან და ინტელექტუალური დასაქმების სხვა სფეროებიდან (ამაზე ლაპარაკი გვქონდა ზემოთ, „საქართველოს“ ამ ნომერში). იმას, რაც კანონში არ წერია, როგორც მიზანი, ვერავინ მოითხოვს ვეღარც რომელიმე კანონქვემდებარე აქტისაგან, ვეღარც აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაკისაგან, ვეღარც დირექტორისაგან და ვეღარც მასწავლებლისაგან. გამოთქმა „აუცილებელი ცოდნა“ არ შეიცავს იმას, რაც წელან ვახსენეთ, როგორც ქვეყნის სამსახურისა და საკუთარი თავის დღევანდელობის შესაფერისი სამსახურის პირობა ქართველი ახალგაზრდისათვის: „აუცილებელი“ ანუ არსებობისათვის საკმარისი ცოდნაა ისიც, თუ ამ ახალგაზრდამ თეფშების რეცხვა ან პარკში გაზონების კრეჭა იცის. ამგვარად, „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ქართველ ახალგაზრდობას პროფესიული უძლურებისათვის, სოციალურად — მომსახურე პერსონალის როლისათვის („ჰენდი-მენი“ რაა, ვიცით, ხომ?) წირავს.

განვაგრძოთ განხილვა. რას ნიშნავს „ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება“? (აქვე, ამავე ციტატში). „ლიბერალობა“ ნიშნავს მოქალაქის დაცულობისა და უფლებამოსილების მაღალ ხარისხს ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში, „დემოკრატია“ — მისი მონაწილეობის მაღალ ხარისხს საზოგადოების მართვაში, სახელმწიფოს მართვის ჩათვლით (მისი ფუნქციები, როგორც ამომრჩევლისა). კმარა ეს სამოქალაქო ცნობიერებისათვის? არ კმარა. მოქალაქეობაში შედის სახელმწიფოსა და საზოგადოების ბედზე პასუხისმგებლობის, ჩვენს დღევანდელ პირობებში — საქართველოს დღევანდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მის სამომავლო ისტორიულმასშტაბიან ინტერესებზე პასუხისმგებლობის შეგნება. თუ კანონში ეს არ წერია, მაშინ განათლების მუშაკი — მინისტრიდან დაწყებული და ქვემოთ, — ამ მიზანს არ დაისახავს. მას არ დაისახავს არც კანონქვემდებარე აქტი, არც მინისტრი და არც დირექტორი. საშუალო სკოლის მოსწავლე თავისი პიროვნების ეროვნულ პარამეტრში (ეს კი პიროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტური პარამეტრი გახლავთ) ცვდენად და მანქურთად გაიზრდება. ის, რომ ქვემოთ წერია, მოსწავლეს „ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობათა გაცნობიერებაში ხელი უნდა შეეწყოსო“ საქმეს არ შველის. სამშობლოს წინაშე მოვალეობის ცნობიერება პიროვნებისა და მოქალაქის რაობის ელემენტია და არა მის მიერ „გაცნობიერებული“ საჭიროებისა. ისიც, რომ ზემოთ წერია (ამავე ციტატში), მოსწავლე „ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა მქონე“ პიროვნებად უნდა გაიზარდოსო, აქ ვერაფერს ცვლის. ჩვენთვის „ეროვნული ღირებულებებია“ (და „საკაცობრიო ღირებულებებია“ ამავე დროს) სამხმოვანი სიმღერაც, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაც და, როგორც პრეზიდენტ ბუშის დროს გამოირკვა, ხინკალიც. მაგრამ მათი სიყვარული და პატივისცემა პიროვნების სრულფასოვანი ჩამოყალიბებისათვის, ისევ და ისევ, არ კმარა: ამ ღირებულებებთან მიმართებაში ჩვენ, ტიპიურ შემთხვევაში, მხოლოდ მომხმარებლის როლში ვართ. პიროვნება კი იქ იზრდება და ყალიბდება, სადაც იგი მოვალეობებს იყენებს თვალწინ და არა მოხმარების პერსპექტივას.

როგორც ვხედავთ, კანონში რადიკალურად დაქვეითებულია როგორც მოსწავლის ინტელექტუალური მომზადების თამასა, ისე ზნეობრივი (სახელდობრ, ეროვნული) ცნობიერებისა. ამ კანონით წარმართული ზოგადი განათლება ამით უკვე განწირულია მესამეხარისხოვნებისა და, მაშასადამე, არაკონკურენტუნარიანობისათვის საერთაშორისო ასპარეზზე.

კანონის შემდგომი დეფექტი, შეიძლება ითქვას, სიმპტომის ხასიათისა უფრაა, ვიდრე პრაქტიკული შედეგის განმსაზღვრელი, მაგრამ ეს ფრიად მძიმე სიმპტომი გახლავთ. საქმე ისაა, რომ კანონმდებელი თავის ნორმებს იმუშავებს არა იმის მიხედვით, რა არის პრინციპულად არსებითი ან პრაქტიკულად წონადი საქართველოს განათლების სისტემის წინაშე დღეს მდგარ ამოცანათა შორის, არამედ იმის მიხედვით, რომელი მისი არჩევანი, როგორც კანონმდებლისა, შეადგენს მოწვეული თუ თვითმარქვია უცხოელი კონსულტანტისა თუ „კონსულტანტისათვის“ (ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სოროსისათვის) საინტერესო თემას. აი, კანონის იმავე მე-3 მუხლის მომდევნო, მე-2 პუნქტის პირველი დებულებები:

*„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:*

*ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;*

*ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;*

*გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან“;*

აქ პუნქტი „ა)“ კარგია და უდავოა. პუნქტი „ბ)“ კარგია, უფრო ზუსტად — იმედის მომცემია (ძალიან სასიხარულო იქნება, თუ საქართველო შეძლებს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩაბმას), მაგრამ გაკვირვებას იწვევს, რატომ არის ეს ფრაზა კანონში და არა განათლების სამინისტროს გეგმებში ან მის განზრახვათა ჩამონათვალში, რამდენადაც იგი მხოლოდ ერთჯერად განზრახვაზე მეტყველებს და არა ნორმაზე. პასუხი მარტივია: საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი სისტემის ჩართვა ზემოხსენებულ მრჩეველთა და სპონსორთა დამსახურებად გამოიყურება და ამ გარემოების ხსენება კანონში მათთვის მოსაწონია. მაგრამ იქვე, პუნქტი „გ)“ ლაპარაკობს ძალიან მწვავე საკითხზე, რომელიც კონკრეტულ პოზიტიურ გადაწყვეტას ელის, კანონი კი მხოლოდ კანონმდებლის პოზიციის ნეგატიური ნაწილის გადმოცემით კმაყოფლდება, ანუ ამბობს იმას, როგორი არ არის — და არ უნდა იყოს — სკოლა, მაგრამ არ ამბობს იმას, რა არის — და უნდა იყოს, — იგი. სახელდობრ, კანონი დუმს რელიგიური განათლებისდმი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიერ ასარჩევი კურსის შესახებ, თუმცა დღეს საქართველოში ამ თემაზე რამდენიმე სხვადასხვა კვალიფიციური აზრი არსებობს და დისკუსია წარმოებს. ერთი აზრი ისაა, რომ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს საღვთო სჯული (ისწავლებოდეს სამღვდელო პირის მიერ), როგორც ეს მიღებულია იქ, სადაც სახელწიფო ეკლესიისაგან გაყოფილი არ არის. მეორე აზრია ის, რომ ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი, ანუ მოსწავლეს უნდა ეძლეოდეს ცოდნა იმის შესახებ, რაში მდგომარეობს ქრისტიანული რელიგიური მოძღვრება (კონკრეტულად — მართლმადიდებლური აღმსარებლობისა, რომელიც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლობაა და ქართველი ხალხის ეროვნული რელიგიაა). მესამე აზრია ის, რომ სახელმწიფო სკოლაში ეს ცოდნა უნდა მიეწოდებოდეს როგორც სასწავლო საგანი (ანუ ცოდნა რელიგიის, როგორც ფაქტის, შესახებ), ხოლო კერძო სკოლაში ისე, როგორც დირექციას, მოსწავლეებს და მათ მშობლებს უნდათ. ის რაც კანონში წერია (იხ. ციტატი), არც ერთი ამ აზრის მიმართ არანაირ დამოკიდებულებაზე არ მეტყველებს (იგი შეთავსებადია ყველასთან), მაგრამ ის, რომ საქართველოში სარწმუნოების როლი ძლიერდება, რომ ქვეყნის პოლიტიკურსა და მენტალურ ცხოვრებაში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აქტიური მონაწილეობის მასშტაბი იზრდება და ხალხის უფრო და უფრო დიდი ნაწილი თავის რეალურ ცხოვრებაში თავს აღწევს სავალდებულო საბჭოურ „ულმერთობის“ არტახებს, ყველასათვის უდავო ფაქტია. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლის ცხოვრებაში და პროგრამაში რელიგიის სწავლების თაობაზე კანონს თავისი ფორმულირების შემუშავება უახლოეს დროში გარდუვალად მოუწევს. რატომ შეაქვს კანონმდებელს თავის ტექსტში ის თემა, რომელზედაც კონკრეტული პოზიციის დაჭერისათვის იგი მზად არ არის? პასუხი აქაც ნათელია: იმიტომ, რომ ამ თემის ხსენება კანონში უნდა შემკვეთს (სპონსორია ეს თუ „კონსულტანტი“ და „ექსპერტი“). კანონმდებელი აკმაყოფილებს მის სურვილს: წერს მისდა სასიამოვნოდ, რომ სკოლა „დამოუკიდებელია რელიგიური გაერთიანებებისაგან“, თუმცა, თუ სკოლამ სამღვდელო პირი მოიწვია თავის მოსწავლეებთან გაკვეთილების ჩასატარებლად, ეს არ ნიშნავს, რომ ამით სკოლა „რელიგიურ გაერთიანებაზე დამოკიდებული“ ხდება. სხვათა შორის, ამ ფორმულირებაში, რომელიც მოვიყვანეთ, არც თუ გონებაგახსნილ კანონმდებლებს ცოტა უხერხული შეცდომაც მოსდით: ციტირებული სიტყვები პასუხია კითხვისა, რით „უზრუნველყოფს“ სახელმწიფო „ზემოხსენებული მიზნების“ მიღწევას, ეს მიზნები კი ისაა, რაც ზემოთ მოყვანილ პირველ ციტატშია ჩამოთვლილი. გამოდის, რომ „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალი“ პიროვნების ჩამოყალიბებას და ა.შ. (იხ. ზემოთ) ხელს შეუშლიდა სკოლის დამოკიდებულება „პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებებზე“ (ხელს შეუშლიდა რით? იმით, რომ მოსწავლე ცალმხრივ ინფორმაციას მიიღებდა) და ხელს უწყობს მისი იზოლაციაში ყოლა იმ პოლიტიკური და რელიგიური აზრის მოძრაობისაგან, რომელიც მისი სკოლის გარეთ ხდება (ანუ ის, რომ იგი არანაირ ინფორმაციას არ იღებს). სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მოზარდის გონებრივი და სულიერი ჩამოყალიბებისათვის ნოყიერი საზრდოა სხვადასხვა აზრებისა და განწყობილებების პაექრობის მაყურებლად ყოფნა და არა მათგან შოზღუდვა, როგორც კანონის ავტორები არაერთხელ გვთავაზობენ სხვა მუხლებში.

#### II. სკოლის რეალური პერსპექტივა კანონის მიხედვით

კანონის მესამე და ყველაზე მომაკვდინებელი დეფექტი, რომელიც მას წითელ ხაზად გასდევს, შეგვიძლია ასე დავახასიათოთ: დივერსანტი შემკვეთის ამოცანაა საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების სუბვერსია (ძირის გამოთხრა), სხვადასხვა პარამეტრთა რიცხვში — განათლების სისტემისაც. სახელმწიფოს როლის და ფუნქციის დაკნინებადასუსტება, როგორც ერის მიერ საკუთარი თავისა და ცხოვრების მართვის ძირითადი იარაღისა, ზემოხსენებული დივერსიის ძირითადი მიმართულებაა. განათლების სისტემაში გადატანილი, ეს კურსი იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა ეცხადება პედაგოგიკას, როგორც ჩამოუყალიბებელი ბავშვისაგან ჩამოყალიბებული მოზარდის წინასწარგანზრახული მიმართულებით გაზრდის ხელოვნებას. თვითდინების, ანუ ყოველგვარ პედაგოგიურ მიზანსახვაზე შეგნებულად და რადიკალურად ხელის აღების კულტი ამ ძალიან მწირ გონებათა მიერ შედგენილი კანონის ყველაზე თვალში საცემი და მომავალი შედეგების თვალსაზრისით ყველაზე კატასტროფული მახასიათებელია. სპონსორისა და „კონსულტანტისათვის“ ქართული სკოლის დანგრევა ტრაგედია არ არის: მისთვის საკმარისია, რომ მის საკურატორო სივრცეში მაგიდაზე იდება „კანონი“, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში „შემწყნარებლობის“, „ღიაობის“, „პლურალიზმის“, აღმზრდელისა და აღსაზრდელის „თანასწორობის“ ილუზიას ქმნის. (ტრაგედია ეს მხოლოდ ჩვენთვის

არის, ვის ქვეყანასაც ეს კანონი ეხება, რადგან მის შედეგად ჩვენი სკოლა არის მომავალი ბედლამი, მანიაკალურ „უფლებათა“ მისაკუთრების ასპარეზი, უმეცართა და თავხედთა სამჭედლო). მოვიყვან ამ კანონის მიხედვით აგებული მომავალი („ევენტუალური“) სკოლის რაობისა და რაგვარობის რამდენსამე მოსალოდნელ შრტიხს, როგორც მაგალითს.

***„მუხლი 6. „ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნის სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური და პლურალისტური“.***

სწავლა რომ „აკადემიური“ უნდა იყოს და „ობიექტური“, ანუ არ უნდა ამახინჯებდეს ფაქტებს — ვთქვათ, ისტორიის მოქმედ პირთა მოქმედების ცნობილ მოტივებს, — ეს ტავტოლოგიაა და ტრუიზმია. მაგრამ რას ნიშნავს „ნეიტრალური“ და „პლურალისტური“? ვთქვათ, როცა VI ან VII კლასში ვასწავლით საქართველოში მონღოლთა შემოსევის ისტორიას, ბავშვს თანასწორი მონდომებით უნდა გადმოვუალაგოთ მონღოლთა შემოსევის მოტივები და ქართველთა თავდაცვის მოტივებიც (ეს სავსებით დასაშვებია) და არ ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენი სახელმძღვანელოს ავტორი, მთხრობელი (მასწავლებელი) და მსმენელი (მოსწავლეები), ასე თუ ისე, ქართველების მხარეზე ვართ (ეს ფსიქოლოგიურად ძნელია)? ან როცა „ბაშიაჩუკს“ ვასწავლით, ავუხსნათ ბავშვებს, პლურალისტური სულისკვეთებით, რომ მაყაშვილს თავისი ლოგიკა აქვს თავისი მოქმედების საფუძვლად, ბიძინა ჩოლოყაშვილს კი — თავისი, რომ ორივე ადამიანურია და, ამდენად, თანასწორი? (ეს უკვე ჩვენი მხრიდან ამორალობა და ბავშვების სულის დესტრუქცია იქნება). თუ, ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის თანამედროვე მოძრაობის სწავლებისას, ბავშვებს შევაგნებინოთ, რომ უფლებადამცველსაც, რომელსაც უნდა მონათვაჭარს მისი საქონელი დააყრევინოს, და იმ მონათვაჭარსაც, რომელიც იმ უფლებადამცველს ყაჩაღად თვლის, ორივეს თავ-თავისი თანმიმდევრული პოზიცია აქვთ და ამ პოზიციათა შორის არჩევანი გემოვნების საქმეა? კანონმდებლის ეს მიდგომა, სხვა ყოველივესთან ერთად, მის უმეცრებას მოწმობს. ადამიანთა ზნეობა, თავისი აღნაგობით, პოსტულატებზე დამყარებული სტრუქტურაა (და არა თეორემებზე) და ამ პოსტულატთა შეწოვა მოზარდის მიერ აღზრდის ძირითადი ამოცანაა.

კიდევ მაგალითი:

***„მუხლი 8.2. სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ამ სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და თავისუფლებები“.***

გამოდის, რომ სკოლას, რაკილა თავის ტერიტორიაზე შეუშვა მოხეტიალე მუსიკოსი, რომელიც ნიჭიერი და გულითადი შესრულებით მოსწავლეთა ესთეტიკურსა და სულიერ აღზრდას უწყობს ხელს, მას აღარა აქვს უფლება არ შეუშვას საღეჭი რეზინითა და ყიყლიყოებით მოვაჭრე მეწვრილმანე?

ან კიდევ მაგალითი:

***„მუხლი 9.9. სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე“.***

ამ კანონის ტექსტში გასაკვირი არაა — თუმცა ყველა სხვა კანონში და ყველა სხვა ავტორის ნახელავ ნებისმიერ ტექსტში გასაოცარიც და აღმაშფოთებელიც იქნებოდა — ის, რომ ამ ციტატში ლაპარაკია ბავშვის დაცვაზე მისი საკუთრების ხელყოფისაგან (სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან ერთად), მაგრამ არაა ლაპარაკი მისი თავმოყვარეობის დაცვაზე ფიზიკური ან ზნეობრივი ხელყოფისაგან, რომელსაც იგი მაშინ განიცდის, როცა, მაგალითად, მისი დასწრებით ამ მის თვალსაწიერში დაუსჯელი უსამართლობა ხდება, თუნდაც დირექციისაგან თავისი თანამშრომლის მიმართ.

დაუფიქრებლობის ან დაფიქრების უუნარობის მაჩვენებელია კანონის შემდეგი ფორმულირება:

***„მუხლი 14.2. მოსწავლეს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა“.***

რას ნიშნავს აზრის „პატივისცემა“ და რას ნიშნავს „მოთხოვნა?“ აზრს მსმენელის თვალში პრესტიჟი აქვს იმ შემთხვევაში, თუ იგი ჭკვიანურია, შთამბეჭდავია, დროულია და ა.შ. სხვა შემთხვევაში მისი მოწონების, გაზიარების ან გათვალისწინების მოთხოვნა უსამართლობაცაა და არარეალისტურიცაა. კანონის ეს პუნქტი უარყოფს თავისუფალ კონკურენციას გამოთქმულ აზრთა შორის და, ამდენად, ზარალს აყენებს მოწაფის, როგორც მოქალაქისა და საზოგადოების წევრის, ფსიქიკურ სტრუქტურას.

ძალიან საეჭვოა — ყოველ შემთხვევაში, პრობლემის ძალიან გამაუბრალოებელია კანონის პუნქტი:

***„მუხლი 13.1. დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზირება“.***

ეს ფორმულირება, როგორც ჩანს, ხარკია ადამიანთა ცნობიერების დეპოლიტიზაციის იმ ზოგადი ტენდენციისადმი, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ფორმის, დისკრედიტაციასა და დემონტაჟს ესწრაფვის.

რას ვგულისხმობთ „სწავლის პროცესის პოლიტიზირებაში“? თუ იმას ვკრძალავთ, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნებოდეს, „მე სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობათა ისტორიას გასწავლით, მაგრამ იცოდეთ: ერთადერთი სწორი მოძღვრება ჩემი პარტიის, ანტარქტიდის მწვანეთა პარტიის მოძღვრებაა“, მაშინ სწორნი ვართ. მაგრამ რატომ უნდა ავუკრძალოთ მასწავლებელს ასეთი კომენტარი: „პლატონს და მის თანამედროვეთ არ წარმოედგინათ კომუნისტური დიქტატურის საშინელება. ჩვენ დღეს ამ თემაზე მეტი ვიცით. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, უტოპიებს აღარ უნდა ავყვეთ არასდროს“? რატომ უნდა ავუკრძალოთ მასწავლებელს, ზოგადად, მოსწავლეებს თავისი პოლიტიკური კონცეფცია გადაუშალოს, როგორც ერთ-ერთი არსებულთა შორის, და ამით მათ თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ადამიანური საქმიანობისაკენ — პოლიტიკური აზროვნებისაკენ — მოუწოდოს? ალბათ, არაა სადავო, რომ გონიერსა და თავისუფალ ორფეხა არსებას, რომელიც მოქალაქედ იზრდება, საშუალო სკოლის ასაკიდანვე უნდა გაჰყვეს პოლიტიზაციის, ანუ პოლიტიკურ პროცესებში ჩახედვისა და მონაწილეობის, რაღაც ჩვევა და კულტურა. ყველაზე რაციონალური გზა ამის მიღწევისა არის სკოლაში არა პოლიტიკური დიქტატის, მაგრამ პოლიტიკური თემის შეტანა. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ამას უფრთხის, როგორც ცეცხლს. რატომ? ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ პრინციპებსა და პრობლემებში ჩაუხედავი და გაუწაფავი, — მაშასადამე, არასრულფასოვანი — ადამიანების გაზრდა, სახელდობრ, ეროვნულ სახელმწიფოებში მათი გაზრდა, ლოგიკურად, სოროსის იდეოლოგიისა და პრაქტიკის შესატყვისი მიზანი უნდა იყოს. ამ განზრახვის აყოლა საქართველოს კანონმდებლობაში, რისი მოწმენიც ამჯერად ვართ, მხოლოდ კანონმდებლის უპასუხისმგებლობასა და პრომიტიულობაზე მეტყველებს.

კიდევ ერთი მაგალითი მყვირალად ბარბაროსული ანტიპედაგოგიურობისა კანონში:

***„მუხლი 19.10. დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის ან მასწავლებლის დისციპლინარული დევნა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი“.***

გამოდის, რომ სკოლას არ აინტერესებს, რას აკეთებს მისი მოსწავლე, იგივე აღსაზრდელი, მაშინ, როცა იგი სკოლასთან კონტაქტში არ არის, როგორც მისი მუშტარი (თუ სკოლა ფასიანია) ან პარტნერი! ანუ: სკოლას არა აქვს ურთიერთობა მოწაფესთან, როგორც ქმნადობის პროცესში მყოფ პიროვნებასთან, რომლის ფორმირების მიმართულებაშიც იგი დაინტერესებულია და რომელზეც იგი პასუხისმგებელია. ეს პოზიცია სკოლის, როგორც ადამიანთა და მოქალაქეთა შემქმნელი დაწესებულების, ტრადიციული წარმოდგენის რადიკალური ანუ ძირფესვიანი უარყოფაა. არ არის გამორიცხული, პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა, დიდად ალბათია, — რომ ეს ბარბაროსული მიდგომა ამ დაწესებულებისადმი შეესაბამებოდეს იმ დესტრუქციულ მიზნებს, რომლებიც ზემოთ, სოროსის იდეოლოგიის განხილვისას გამოვყავით. საქართველოს კანონმდებლობის მხრიდან ამ მიზანთა რეალიზაციის ხელშეწყობა დანაშაულია ამ სიტყვის სრული აზრით, ისევე, როგორც დანაშაულია წყალმომარაგების სისტემაში სიბინძურის ჩაყრა ან ეკოლოგიურად მავნე საკვები პროდუქტების იმპორტი ანგარებიანი მიზნით.

სახიფათოა, სკოლაში იდეური ცენზურის შემოღების თვალსაზრისით, კანონის ასეთი ფორმულირება:

***„მუხლი 8.7. დაუშვებელია სკოლის მიერ ისეთი ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს“.***

ამ პუნქტის თანახმად, შესაძლებელია, მაგალითად, სკოლას აეკრძალოს ლექციისათვის ისტორიკოსის მოწვევა, რომელიც არაპლურალისტურად, სახელდობრ, ქართული პოზიციისადმი მეტი სიმპათიის გამოთქმით მოუთხრობს და გაუანალიზებს მოსწავლეებს ძალიან დიდი პოლიტიკოსის შაჰ-აბასის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის დრამატულ ისტორიას.

შემდეგი მაგალითი

***„მუხლი 20.***

***დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ანდა სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით“.***

„კანონით გათვალისწინებული წესი“ არის დაუყოვნებლივ მიმართვა სამართალდამცავი და წესრიგდამცავი ორგანოებისდმი ისე, როგორც ეს განსაზღვრულია საზოგადოებაში ზრდადამთავრებულ პირთა ურთიერთობის დარეგულირების მიზნით. კანონის ამ პუნქტს მხედველობის გარეთ რჩება ის, რომ სკოლა არაა მხოლოდ იგივე, რაც ნებისმიერი სხვა წარმოება ან დაწესებულება. სკოლის მოსწავლეებისათვის ის გარემო, რომელშიც ისინი სკოლაში იმყოფებიან, არის არა საზოგადოების ნაწილი, რომელთანაც ისინი შემთხვევით ერთი სახურავის ქვეშ აღმოჩნდნენ, არამედ საზოგადოება მის მთლიანობაში, უფრო მეტიც — მათთვის საზოგადოება არის არა სკოლა მთლიანად, არამედ ტოლთა კოლექტივი — კლასი ან ამ სკოლის მოსწავლეები საერთოდ. საზოგადოების არსებითი ნიშანია მისი ერთადერთობა (უნიკალობა) — ინდივიდი (ამ შემთხვევაში — ბავშვი) მას ეკუთვნის და ამ ინდივიდის მხრიდან „ცოდვაა“ (დასაგმობი და დაგმობილი ქმედებაა), რომ შიდა პრობლემების მოსაგვარებლად გარე ინსტანციას (ამ შემთხვევაში — კანონს) მიჰმართოს. ასეთი მიმართვის დაკანონებით, როგორც სავალდებულოსი, ფერხდება და მახინჯდება სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი ძირითადი და ყველაზე ღირებული პროცესი — მოზარდთა მიერ საზოგადოების შექმნის ანუ მათი სოციალიზაციის პროცესი (ეს ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ). „დიდი“ საზოგადოებისათვის — ანუ საზოგადიებისათვის მის მთლიანობაში, — კანონი (თავისი პოლიციითა და სასამართლოთი) საკუთარი ორგანული ნაწილია, ბავშვების „პატარა“ საზოგადოებისათვის, რომელშიც ისინი „სოციალიზაციას“ გადიან, კანონი უცხო ელემენტია (მათ თავის შიგნით საკუთარი დაუწერელი „კანონები“ აქვთ, რომლებითაც ისინი, სხვათა შორის, ზნეობას სწავლობენ). „ჩამშვები“ ბავშვი სოციალიზაციის ჯანსაღი პროცესიდან ირიყება ან მასში არასახარბიელო როლისათვის განწირული რჩება. ამიტომ არ გვმართებს ბავშვის სტიმულირება ამ როლისათვის. პედაგოგი, — რაკი იგი პიროვნების აღმზრდელია და არა მხოლოდ საგნის მასწავლებელი, — ბავშვებისათვის ამ მხრივ, უკეთეს შემთხვევაში, კონსულტანტია და მედიატორია (რომელსაც, თუ თავის ამ ფუნქციას კარგად, ანუ გულწრფელად და სწორი აღღოთი ასრულებს, უდიდესი პოზიტიური შესაძლებლობები აქვს). სკოლა, როგორც პედაგოგიური დაწესებულება (და არა მხოლოდ ადმინისტრაცია), დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში მოსწავლესა და კანონს შორის დგას (და უნდა იდგეს). თუ მას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ხელი მოეცარა, — ანუ თუ იგი, ვთქვათ, იძულებული გახდა პოლიციაში დაერეკა, პეტრიაშვილმა პავლიაშვილს გაარტყა და მოდით, დასაჯეთო, — ეს ამ სკოლისათვის კონკრეტულ ერთჯერად კატასტროფას ნიშნავს.

განვაგრძობთ განხილვას. რამდენადაც კანონის ავტორები და კანონმდებელნი, ჩვენს შემთხვევაში, არც კომპეტენტურნი არიან, არც ნამდვილად დემოკრატიულად მოაზროვნენი (რასაც დონე სჭირდება), მათ აქაიქ ხელი უცდებათ არადემოკრატიული ფორმულირებებისაკენ, რომლებიც საქმეს ჰვნებს. მაგალითად, ისინი სასწავლო დაწესებულებას ავალდებულებენ.

***„მუხლი 38. დ) განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ რეკომენდირებული/გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით“.***

(რითაც მასწავლებელსა და მოსწავლეს ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა მდგარი არაერთი „გრიფიანი სახელმძღვანელოს“ არტახებში აქცევენ), იმის ნაცვლად, რომ თქვან, სწავლება უნდა მოიცავდეს ამ „გრიფიან“ სახელმძღვანელოებში მოცემული მასალისა და ანალიზის მიმართულების სრულ ცოდნას, თუმცა სკოლას უფლება აქვს სხვა, ალტერნატიული სახელმძღვანელოები და ინფორმაციის სხვა წყაროებიც გამოიყენოსო. მეორე მხრივ კი ისინი, როგორც სოროსული იდეოლოგიის მიმდევარნი, სასწავლო პროცესის განსაზღვრაში დაინტერესებულ პირთა და მხარეთა ისეთ „თავისუფლებებს“ აკანონებენ, რომლებიც იმთავითვე გამორიცხავენ შეძენილი ცოდნის ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელ ხარისხს (იმაზე, რომ ამ ხარისხს თვით დაკანონებული მიზნებიც გამორიცხავს, ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა). სკოლის „სამეურვეო საბჭო“, რომელიც შედგება არა მხოლოდ მასწავლებლებისაგან, არამედ მშობლებისგანაც და მოწაფეებისგანაც, არა მხოლოდ ირჩევს დირექტორს (რაც ამ უკანასკნელს მშობელთა არაპროფესიულ ნებაზე დამოკიდებულს ხდის) სამინისტროს მიერ მოწოდებული სამი კანდიდატურიდან (რაც მთელ ამ პროცედურის „დემოკრატიულობას“ სასაცილოს ხდის), არამედ

***„დ) გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ რეკომენდირებული/გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე“.***

ანუ: მშობლები, რომლებიც, ჯერ ერთი, არასპეციალისტები და არაპედაგოგები არიან, მეორეც, წარმავალნი არიან (შვილი დაამთავრებს და მშობელიც სკოლას მოსცილდება), აღჭურვილნი არიან უფლებით, რომ ა) განსაზღვრონ, რომელი სახელმძღვანელო რომელს სჯობია, და ბ) აირჩიონ, რა ცოდნა და რა დატვირთვა უნდათ თავიანთი შვილისათვის — ის, რომელიც, ვთქვათ, სახელმწიფოს გამოადგება, მაგრამ მის შვილს შესაძლოა კლასში დარჩენის საფრთხე შეუქმნას, თუ ის, რომელიც შვილს იოლად გაატარებს ცოდნის შეძენის ეკლიან გზაზე, მაგრამ სახელმწიფოს ნაკლები ცოდნის კადრს მისცემს.

ამავე სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით პედაგოგიური საბჭო, ანუ პროფესიული კორპუსი, „ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას“ (მ.46.ა). ყურმოკრული დემოკრატიის სასიმულაციოდ განკუთვნილია, მაგრამ არარეალისტურია (რადგან კარგი დირექტორების „ბაზარი“ ძალიან შეზღუდულია. სკოლის დირექტორობა მოწოდებაა და არა მხოლოდ „თბილი ადგილი“) კანონის ასეთი ნორმა:

***„მუხლი 41.2. დირექტორი შეიძლება იყოს ამ კანონის შესაბამისად არჩეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, 3 წლის მუშაობის სტაჟი და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისათვის. დირექტორი აირჩევა 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირს დირექტორად არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ“.***

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ამ განხილვაში ჩვენ შევეხეთ მის არა ყველა ნაკლოვანებებს, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც მახინჯი იდეოლოგიური წანამძღვრებისაგან — სოროსის ზემოთ გადმოცემული პოზიციიდან — მომდინარეობს. ეს ნაკლოვანებები — როგორც, იმედია, მკითხველმა დაინახა, — კმარა, რათა საქართველოში მოხდეს ზოგადი განათლების

ა) პრინციპული ჩამოქვეითება მომსახურე პერსონალისათვის საკმარისი მომზადების დონემდე და

ბ) მისი რელიაზაციის სისტემის, ანუ სასწავლო დაწესებულებათა სისტემის, პრაქტიკული პარალიზაცია.

## კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

*ამ კანონში, განსხვავებით კანონისაგან „ზოგადი განათლების შესახებ“, დიფერსია მიზნის განსაზღვრიდან არ იწყება. აქ მიზნები განსაზღვრულია ისე, როგორც უნდა იყოს დამოუკიდებელი და ცივილიზებული სახელმწიფოს კანონში, სახელდობრ, დასახელებულია ორივე ძირითადი მიზანი: მიეცეს მოქალაქეს მისი ინტელექტუალური პოტენციალის სრული რეალიზაციის საშუალება და მიეცეს სახელმწიფოს თანამედროვე მოწინავე დონის კადრი მისი განახლების პერსპექტივებითურთ. (ეს სწორი განსაზღვრებები რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, საზოგადოებრიობის პროტესტის წყალობითაა შეტანილი კანონში. მის პირველ პროექტებში ეს განსაზღვრებები არ იყო). აქ დივერსია მდგომარეობს იმაში, რომ კანონი ვერ უზრუნველყოფს იურიდიულ მექანიზმებს, რათა გარანტირებულად ხდებოდეს: ა) უმაღლესი განათლების ფინანსური უზრუნველყოფა; ბ) მისი სისტემის ერთგული, მაშასადამე, რაციონალობაზე ორიენტირებული მართვა და გ) მისი სისტემის მეცნიერულად კვალიფიციური და მეცნიერულად კეთილსინდისიერი მართვა. მივყვეთ ამ კანონს თავიდან.*

მუხლი 3.2 გვეუბნება, რომ კანონით გათვალისწინებულ მიზანთა მისაღწევად „სახელმწიფო უზრუნველყოფს“

*ა) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს: სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;*

*ბ) უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;*

*გ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;*

*დ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) სამსახურის ამოქმედებას;*

*ე) სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას;*

*ვ) უმაღლსი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას;*

*ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;*

*თ) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ანდა შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობის და სხვა ნიშნით;*

*ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას;*

*კ) სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“.*

ამ ჩამონათვალში ათიდან შვიდი პუნქტია ისეთი, რომელთა ხსენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ არის მათი დაფინანსების სახსარი (ა, ბ, გ, დ, ვ, ზ, ი ქვეპუნქტები), ერთი მხოლოდ კეთილი განზრახვის გამომთქმელია, რომლის რეალიზაციისათვის კანონმდებლობის სურვილი არ კმარა („ე“ ქვეპუნქტი), ერთი მხოლოდ ე.წ. „მორიგე ფრაზაა“, რომელიც სავალდებულოა დემოკრატიის პოზაში მდგარი ხელისუფლებისათვის („თ“ ქვეპუნქტი) და ერთი „და სხვა“ კატეგორიას ეკუთვნის („კ“ ქვეპუნქტი).

ამის მომდევნო მუხლი 3.3. ჩამოგვითვლის, რას აკეთებს, რას „ემსახურება“, რას „ხელს უწყობს“ და რაზე „ზრუნავს“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, აგრეთვე გვეუბნება, რომ იგი „უზრუნველყოფს“ იმას, რაც ჩამოთვლილი იყო 3.2 მუხლში. შემდგომი მუხლი 4 განსაზღვრავს, რომ აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა, ანუ კვლევის, სწავლებისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმოების უფლებისა, დასაშვებია მხოლოდ ტექნიკური პრაქტიკული საჭიროებების გამო (რაც არანაირი ინფორმაციის მატარებელი არ არის), ხოლო მუხლი 5 გვეუბნება, რომ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები“.

ამის შემდეგ კანონმდებელი, ასე ვთქვათ, მთავარ საქმეზე გადადის და უმაღლესი განათლების სისტემის მართვის მექანიზმს აყალიბებს. აი, მისი ძირითადი ნიშანსვეტები:

*„მუხლი 5*

*საქართველოს პარლამენტი:*

*ა) განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პოლიტიკასა და მართვის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს;*

*ბ) პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანგარიშს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ.*

*მუხლი 6.*

*1. საქართველოს მთავრობა:*

*ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში;*

*ბ) განსაზღვრავს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობას;*

*გ) სახელმწიფო სასწავლო გრანტების წლიური მოცულობის არა უმეტეს 6%-ის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით განსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ სპეციალიბებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლისა და აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამით დაფინანსების ოდენობასა და პირობებს;*

*დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.*

*2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირების — ეროვნული გამოცდების ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დირექტორებს“.*

ანუ: უმაღლესი განათლების პოლიტიკის განსაზღვრაც, მისი განხორციელებაც, მისი დაფინანსებაც, მასზე ანგარიშის მოსმენაც და, რაც მსოფლიოში ჯერჯერობით უპრეცედენტოა, მისი მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფის განვრცობაც ამ მოსახლეობაზე, უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხი და არაჩასარიცხი ადამიანების გადარჩევის სახით (რაც „ეროვნული გამოცდების ცენტრს“ ავალია), მთლიანად ხელისუფლების ხელშია. ამ უკანასკნელის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული მთელი ამ სისტემის ფინანსური მოგუდვა-არმოგუდვაც, მისი აკადემიური ხარისხიანობა-უხარისხობაც და მისი (მოსახლეობის მიმართ) სამართლიანობა-უსამართლობაც. თუ ხელისუფლებას კეთილი ნება აქვს (და, ნუ დაგავიწყდებათ, აკადემიური დონეც თავისი პირადი შემადგენლობის სახით), მაშინ მოსალოდნელია, ყველაფერი რიგზე იყოს, ანუ უმაღლესი განათლების სისტემამ თავისი სწორად ჩამოთვლილი მიზნების რეალიზაცია მოახდინოს. თუ არა (ანუ თუ ხელისუფლებას ან კეთილი ნება აკლია, ან აკადემიური კვალიფიკაცია, ან ნიჭი და ენერგია), მაშინ მოსალოდნელია, რომ სისტემა ვერ იფუნქციებს და უმაღლესი განათლების საქმეში — როგორც განათლებისაკენ გზის მაძიებელ ინდივიდთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მხრივ, ისე სახელმწიფოსათვის საჭირო კადრების შექმნის მხრივ — ჩავარდნა ჩავარდნას მოჰყვება. შესაძლებელია დღევანდელ მსოფლიოში, რომ არსებობდეს ამგვარი — კეთილ ნებას, აკადემიურ დონეს, ნიჭსა, ენერგიასა და, ეგებ, პატიოსნებასაც მოკლებული — ხელისუფლება? საქართველოს ყველა მოქალაქე, ალბათ, გვეტყვის, რომ შესაძლებელია. ხოლო თუ ასეა, მაშინ უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ესოდენ სრული კონცენტრაცია ერთ ხელში მის დაუცველობას ნიშნავს.

ხელისუფლების ხელი უმაღლესი განათლების ამ ტოტალური მართვის საქმეში არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (მის უფლებამოსილებათა ჩამოთვლას უჭირავს მუხლი 7). იგი წარუდგენს ხელისუფლებას სისტემის და მასში სწავლების უფასო ნაწილის დაფინანსების პროექტს, ეროვნული გამოცდების ცენტრის და სასწავლებლების აკრედიტაციის სამსახურის დირექტორთა კანდიდატურებს, ახორციელებს სასწავლებლების ლიცენზირებას, ამტკიცებს აკრედიტაციის დებულებებს (ანუ ქმნის ნორმატიულ აქტებს), წარმართავს ეროვნულ გამოცდებს, ერთი სიტყვით (დანარჩენ მის ფუნქციებს აღარ ჩამოვთვლით) — იგი სისტემის ერთპიროვნული მმართველია, რაშიც მას, უმნიშვნელო ზომით, გვერდში უდგას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო რამდენსამე სპეციფიკურ უმაღლეს სასწავლებელთან მიმართებაში. არის თუ არა კანონში რაიმე განსაზღვრება იმის თაობაზე, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რათა ამ სამინისტროს სათავეში იქნას დაყენებული? არ არის. ხელისუფლებას შეუძლია ამ თანამდებობაზე ნებისმიერი პირი იყოლიოს და, მაშასადამე, მისი შეუფერებლობის პირობებში უმაღლესი განათლების სისტემა ნებისმიერი კრახისათვის გაწიროს.

კანონის შემდგომ (III-VII) თავებთან, სადაც განსაზღვრულია (დასავლური ნიმუშების მიხედვით) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა ტიპები, სტრუქტურა, მართვის მექანიზმები და ა.შ., სადავო არაფერი გვაქვს (თუმცა ჯერ არ ვიცით, როგორ იმუშავებს ეს წყობა იმ ბარბაროსული დიქტატის პირობებში ხელისუფლების მხრიდან, რომელიც დღეს უკვე თვალსაჩინოა თბილისის უნივერსიტეტში).

VIII თავია **„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა მიღების წესი“**. ამ თავით განსაზღვრული წესი აბიტურიენტთა შორის არჩევანის მოხდენისა ხასიათდება სამი არსებითი გარემოებით.

პირველი. უმაღლეს სასწავლებელში მიიღება, განსაზღვრებითვე, ნაკლები აბიტურიენტები, ვიდრე სკოლა უშვებს. იმას, თუ რა შედეგებით დაამთავრა აბიტურიენტმა სკოლა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რის გამოც სკოლაში სწავლის ხარისხისათვის მოსწავლის მიერ ძალისხმევის დახარჯვა კარგავს ფსიქოლოგიურ სტიმულს (საქართველოში ტრადიციული ფორმით, არსებობდა თეორიული შესაძლებლობა, რომ მიმღებ კომისიას თანაბარი საგამოცდო ქულების შემთხვევაში ანგარიში გაეწია ატესტატის ნიშნებისათვის). უფრო მეტიც: სკოლის გაცემულ დოკუმენტს ეცხადება ოფიციალური უნდობლობა სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით: სკოლის დამთავრება არ კმარა, რომ უმაღლეს სასწავლებელს, — რაც უნდა ულირდეს თქვენი რომელიმე სპეციფიკური ნიჭი — თქვენი ჩარიცხვის უფლება მიეცეს. ამ გარემოებას (აბიტურიენტის ინტერესთა თვალსაზრისით) ამძიმებს ის გარემოება, რომ „ეროვნული გამოცდების ცენტრში“ მას აბარებინებენ „საგანს“, რომელიც მას სკოლაში არ უსწავლია - ე.წ. „უნარ-ჩვევებს“.

მეორე. უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც იღებს აბიტურიენტს, მოკლებულია საშუალებას, რომ ამა თუ იმ სახით გაითვალისწინოს მისაღები პირის რაგინდარა ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება მისი პროფილის მიხედვით ამ პირის პერსპექტივისათვის არსებითი იყოს (მაგალითად, როგორ და რამდენად შემოქმედებითი აზროვნება აქვს ფიზიკის ფაკულტეტზე შემსვლელს ფიზიკაში. ამ მონაცემის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ პირადი გასაუბრებით, მაგრამ არა ერთიანი, მით უმეტეს — წერილობითი გამოცდით). „ეროვნული გამოცდები“, კანონის მიხედვით, უფლებამოსილია დაბლოკოს რაგინდარა ნიჭიერი ახალგაზრდის გზა მისი მიღების რაგინდარა ზომით მოსურნე სასწავლებლისაკენ მისთვის დაბალი ქულის მიცემით ისეთ საგანში (მით უმეტეს, ისეთ უაღრესად პრობლემატური ღირსების „საგანში“, როგორიცაა „უნარ-ჩვევები“), რომელსაც მის მიერ არჩეული დარგისათვის ან მნიშვნელობა არა აქვს, ან არაგადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მესამე. „ეროვნული გამოცდების“ მთელი მექანიზმი — „ეროვნული გამოცდების ცენტრის“ რაგვარობის განსაზღვრებითა და მისი დაკომპლექტებით, აგრეთვე მისი მუშაობის წესითა და პროგრამებით დაწყებული და მისი მუშაობის შედეგად შექმნილი „რანჟირების“ სანდოობაზე პასუხისმგებლობით დამთავრებული, — ერთი ინსტანციის, სამინისტროს ხელშია, რომლის (ამ სამინისტროს) დაკომპლექტებისათვის, მინისტრის ჩათვლით, კანონი არ ადგენს არანაირ აკადემიურ კრიტერიუმებს და არანაირ პროფესიულ მოთხოვნას. ამგვარად, ამ ამოცანასთან (მისაღები გამოცდების ჩატარებასთან) მიმართებითაც, კანონის მიხედვით, გზა გახსნილი აქვს ისეთ ვითარებას, როცა სამინისტროს სათავეში იქნება შეუფერებელი ან ბოროტი ნების მინისტრი და უმაღლესი ცოდნის გზაზე შემთხვევითი ან, სულაც, უარესობის ნიშნით შერჩეული პირები აღმოჩნდებიან. ამ მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ არ არის კანონის მიერ დადგენილი ამ „ეროვნული გამოცდების“ პროცედურა: რით შეუძლია აბიტურიენტს თავისი თავის დაცვა არაობიექტური მიდგომისგან; გასაჩივრებით ვის სახელზე? და ა.შ.

ლოგიკასთან მიახლოებული მაინც იქნებოდა, რომ კანონს ასე ემსჯელა: „სახელმწიფო იძლევა ფულს ამდენი და ამდენი სტუდენტის სწავლებისათვის. მას უფლება აქვს თავისი „ცენტრის“ და თავისი მოხელეების საშუალებით განსაზღვროს, ვის და ვის მისცეს ეს ფული, თუნდაც სკოლის დოკუმენტებისათვის და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სრული უნდობლობის გამოცხადების ფასად“. ეს იქნებოდა სახელმწიფოს მიერ იმის გაცხადება, რომ იგი ხელს იღებს უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე იმ მასშტაბით, როგორითაც ამას თვით დაინტერესებული კონტინგენტი (ახალგაზრდობა) ითხოვს და როგორსაც არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა შესაძლებლობები გასწვდება, და თავის გულუხვობას მხოლოდ ამ კონტინგენტის ნაწილით ზღუდავს. ეს იქნებოდა (და არის კიდეც) ახალგაზრდობისათვის ზურგში დანის კიდევ ერთხელ ჩარტყმა. მაგრამ ეს, ვიმეორებთ, ლოგიკური მაინც იქნებოდა. ამის ნაცვლად სახელმწიფო, „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ სახით, აბიტურიენტს ბარიერს უყენებს არა მხოლოდ თავისი დაფინანსებული განათლებისაკენ, არამედ თავის მიერ არდაფინანსებულისკენაც. „ეროვნული გამოცდები“, როგორც სკოლის მიერ მიღებული შეფასების გადამოწმება და უმაღლეს სასწავლებელთა მიერ (პოტენციაში) მისაცემი შეფასების გადამოწმება, ეხება მთელ უმაღლეს განათლებას, და არა მხოლოდ სახელმწიფოსაგან დაფინანსებულს. კანონში ცალსახად წერია:

*„მუხლი 52.*

***1. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტირებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ ერთიან***

ეროვნული ბიბლიოთეკა

***ეროვნულ გამოცდაგავლილ აბიტურიენტს მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე".***

„ეროვნული გამოცდების" შემოღებას ამართლებენ იმით, რომ არსებული სასწავლებლების მიერ აბიტურიენტთა ჩარიცხვის პრაქტიკა ყოვლისმომცველი კორუფციით იყო გაჟღენთილი დაახლოებით 1960-იანი წლების დამდეგიდან დღემდე. ეს ძლიერი არგუმენტია. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებამ შესაძლებელია (მაგრამ გარანტირებული არაა) აღკვეთოს ისეთი მახინჯი ფორმები საგამოცდო აღებ-მიცემობისა, როგორიცაა „გასაშვები" აბიტურიენტების შეყვანა წერითი გამოცდისათვის ერთ აუდიტორიაში, ჩასაჭრელებისა კი — მეორეში. მაგრამ ამ და სხვა ამგვარ ილეთებთან საბრძოლველად საკმარისია ობიექტურობის პროცედურული გარანტიების ჩაწერა კანონში და იმ სასჯელების განსაზღვრა, რომელიც ამ პროცედურული ნორმების დარღვევას მოჰყვება (მაგალითად, იმის დაკანონება, რომ აბიტურიენტები დარბაზებში ნაწილდებიან მხოლოდ ანბანური წესით და რომ ამ ნორმის დარღვევა 5 წლის პატიმრობით ისჯება). მაგრამ იგივე პრობლემა დგას (და თუ დღეს არ დგას, ზეგ, „თაფლობის" პერიოდის გავლის შემდეგ, დადგება) „ეროვნული გამოცდების" ჩატარების პროცესშიც. წამალი ამ შემთხვევაშიც იგივეა: გამოცდების ჩატარების პროცედურა, თავის არსებით ხაზებში, განსაზღვრული უნდა იყოს კანონის მიერ და ასევე უნდა იყოს განსაზღვრული ამ ნორმათა დარღვევისათვის მისადაგებული სასჯელები. უამისოდ ჩასარიცხი კონტინგენტის შერჩევის ახალ სისტემაზე გადასვლა, განსახილველი „უმაღლესი განათლების კანონის" მიღების ჩათვლით, დანაშაულია სახელმწიფოს წინაშე და აბიტურიენტთა წინაშე.

განსახილველი კანონის დეფექტია ისიც, რომ იგი არ განსაზღვრავს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ნიშნავს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის ხელმძღვანელად. ამ ფუნქციაშიც არაკომპეტენტური ან კეთილი ნების არმქონე პირის ყოფნა საკმარისია, რათა საქართველოში იფუნქციონ უხარისხო უმაღლესმა სასწავლებლებმა და ვერ იფუნქციონ ხარისხიანებმა.

შევაჯამებთ. **კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ"** უმაღლესი განათლების სისტემისათვის დამანგრეველია იმით, რომ

— უმაღლესი განათლების სისტემის მართვას მთლიანად აქცევს ისეთი დანიშვნითი მოხელეების ხელში, რომელთაც აკადემიური დონე არ მოეთხოვებათ.

— არ იძლევა სახელმწიფოს მოვალეობის განსაზღვრას იმის თაობაზე, რომ დააფინანსოს უმაღლესი განათლების სისტემა გარკვეული წინასწარდადგენილი წესით და წინასწარდადგენილი ოდენობით (ვთქვათ, არანაკლებით, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტის ესა და ეს პროცენტია), რითაც სახელმწიფოს, ადმინისტრაციის კეთილი ნების ან უნარის უქონლობის შემთხვევაში, სისტემის ფინანსური მოგუდვის შესაძლებლობა მუდმივად ხელთ აქვთ.

ამ ორ მახასიათებელს, რომლებიც, სათანადო ნების შემთხვევაში, დივერსიის ყოვლისშემძლე იარაღებს წარმოადგენენ, კანონის ტექსტში (თავი „გარდამავალი დებულებები") ემატება განსაზღვრებები, რომლებიც პირდაპირ წინააღმდეგობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის პრინციპთან და ასევე კანონის იმ მუხლებთან, რომლებიც ამ დაწესებულებათა მართვის წესს ადგენს.

ქვემოთ ვბეჭდავთ (მკითხველისათვის ზემოთქმულის ილუსტრირების მიზნით) ნაწილს კანონის VII თავიდან **„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა მიღების წესი"**, რათა მკითხველისათვის ნათელი იყოს, რომ ის, რაც ზემოთ ითქვა უმაღლესი განათლების შესახებ, რეალობაა. ვბეჭდავთ აგრეთვე XV თავის **„გარდამავალი დებულებები" მუხლს 87 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა"**, რომელიც, ფაქტობრივად, საუნივერსიტეტო ავტონომიის გაუქმებაა.

*„მუხლი 51. ეროვნული გამოცდების ცენტრი*

*1. ეროვნული გამოცდების ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიმუშავებს და მართავს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მისაღები ეროვნული გამოცდების სისტემას.*

*2. ეროვნული გამოცდების ცენტრის დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.*

*3. ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.*

*4. ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები საჯაღდებულოა ყველა აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებ,ლო დაწესებულებისათვის და წარმოადგენს უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს მოქალაქეზე ან რეზიდენტზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის საფუძველს. ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელიც წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს.*

*მუხლი 52.აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის მიღების საფუძველი*

*1. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ აბიტურიენტს მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე"...*

*5. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს სურვილი, უფლება ან/და ვალდებულება, ჩაერთოს ერთიან საგამოცდო სისტემაში, აცხადებს საკუთარი ფაკულტეტების მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს. გამოცდილ აბიტურიენტთა ფაკულტეტზე მიღება წარმოებს ფაკულტეტის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში საგამოცდო საგნისათვის მინიჭებული კოეფიციენტის მიხედვით"...*

*9. ეროვნული გამოცდების ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილი აბიტურიენტების რანჟირებას იმ კოეფიციენტების მიხედვით, რომელიც ფაკულტეტებმა წლის დასაწყისში გამოაქვეყნეს. სიები ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტებს.*

*10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტი ვალდებულია აბიტურიენტები მიიღოს მხოლოდ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სიის მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა.*

*საქართველოს 2005 წლის 13 მაისის კანონი №1443 —სსმ, 2005წ.,№25, მუხ.170*

*მუხლი 53. ერთიანი ეროვნული გამოცდები*

*1. ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს ეროვნული გამოცდების ცენტრი.*

*2. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტების განაწილების წესს ეროვნული გამოცდების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.*

*3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის მსურველი პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს გამოცდების ცენტრს, სადაც ასახელებს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ფაკულტეტს (ფაკულტეტებს) და სპეციალობას (სპეციალობებს), რომელზედაც სურს სწავლის გაგრძელება.*

*4.ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის მსურველს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი...*

*6. ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროგრამას ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.*

*7. გამოცდების საფასურს იხდის აბიტურიენტი, გამოცდების საფასურს, ასევე საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესსა და პირობებს ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.*

*საქართველოს 2005 წლის 13 მაისის კანონი №1443-სსმ I, 2005წ., №25, მუხ.170*

*მუხლი 54. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება*

*1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით ეროვნული გამოცდების ცენტრი ადგენს სახელმწიფო სასწავლო გრანტების მინიჭების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს.*

*2. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება ხდება გამოცდების შედეგად მოპოვებული ქულების აბსოლუტური ჯამის მიხედვით.*

*3. გარდა იმ სტუდენტების სიისა, ვინც მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სასწავლო გრანტების მინიჭების პროექტში უნდა იყოს გამოცდებგავლილი აბიტურიენტის რანჟირება მიღებული აბსოლუტური ჯამური ქულების მიხედვით.*

## თავი XV

*მუხლი 87. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა*

*1. დაფუძნებულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ კანონის ძალაში შესვლამდე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.*

*2. ამ კანონის ძალაში შესვლა იწვევს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორისა და ფაკულტეტების დეკანების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ფორმდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია რექტორის მოვალეობის შესრულება დააკისროს გათავისუფლებულ რექტორს, ან რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნოს ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ვადამდე გაათავისუფლოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ფორმდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის აქტით, რომელიც უფლებამოსლია დეკანის მოვალეობის შესრულება დააკისროს გათავისუფლებულ დეკანს ან დეკანის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნოს სხვა კანდიდატურა.*

*3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მართვის ორგანოების პირველ არჩევნებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 2 წლისა.*

*4. საჯარო სამართლის იურიდიული პირები — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ კანონის შესაბამისი მართვის ორგანოების არჩევიდან არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ კანონის შესაბამის ახალ წესდებებს"...*

*7. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ამ კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებაზე სრული გადასვლა და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება უზრუნველყონ არა უგვიანეს 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისისა.*

*8. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ამ კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისამდე უზრუნველყონ ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემაზე გადასვლა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# III. დეზინფორმაციული ომი დივერსიის სასარგებლოდ

*საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული, კულტურული და ფსიქოლოგიური ნგრევის გაშლილ პროგრამას, ამ 13 წლის მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციით, „დასავლურ სისტემებთან ინტეგრაციის“ ყალბი იდეოლოგია აქვს ფარად და ფირნიშად. განათლების სისტემისა და მეცნიერების ნგრევის პროგრამა გამონაკლისს არ წარმოადგენს. მას „ამართლებენ“ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის თითქოსდა ევროპული უნივერსიტეტების ერთობლივი მოძრაობისადმი — ე.წ. „ბოლონიის პროცესისადმი“ — მისადაგების აუცილებლობით. ეს საზოგადოების დეზინფორმაციაა: „ბოლონიის პროცესთან“ მიერთება მოითხოვს არა საქართველოს უმაღლესი განათლების დემონტაჟს (რაც კეთდება), არამედ ნაყოფიერ რეფორმებს, უნივერსიტეტთა ავტონომიის ხარისხობრივ ზრდას მისი დაცვის, მისი დაფინანსების უზრუნველყოფის და სწავლისა და კვლევის პროცესთა ქმედითი შეზრდის მიმართულებით.*

*ქვემოთ ვაქვეყნებთ ქ-ნ დალი ძვირიას ზოგად ცნობას „ბოლონიის პროცესის“ შესახებ და რამდენსამე ნაწყვეტს სათანდო დოკუმენტებიდან, რომლებიც მოწმობენ საქართველოს ხელისუფლების გაცხადებული პოზიციის შეუთავსებლობას რეალურ ფაქტებთან.*

## «ბოლონიის პროცესი» და ქართული რეფორმები

საქართველოში არავინ (და, მით უმეტეს, გონებისა და სულის ელიტა) არ დავობს განათლების სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზე. ამ რეფორმათა მოაზრებისა და განხორციელებისათვის ყოველმხრივ ხელშემწყობი იქნება საქართველოს მონაწილეობა „ბოლონიის პროცესად“ წოდებულ ევროპულ საუნივერსიტეტო მოძრაობაში. (ესეც უდავოა). მაგრამ ახლა არის რეალური საშიშროება (და მისი განხორციელება უკვე დაწყებულია), რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ „გააცურონ“ და მოწინავე ქვეყნებთან დაახლოების ყალბი შეპირებით. საკუთარი ქვეყნის ნგრევის მორიგ ლონისძიებაზე დათანხმონ. საზოგადოებამ ეს იცის. ამიტომ მას აინტერესებს, რას წარმოადგენს „ბოლონიის პროცესი“, როგორია ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მოსახვედრად ქვეყნის განათლების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები, რამდენად ეხმაურება ამ მოთხოვნებს „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ და დღეს განათლების სიტემაში მიმდინარე რეფორმების გამოკვეთილი ტენდენციები, რამდენად გვაახლოებს ეს ცვლილებები ევროსაგანმანათლებლო სივრცესთან.

წინამდებარე პუბლიკაციაში შეძლებისდაგვარად შევეცდები ვუპასუხო ამ კითხვებს.

ევროპის უძველესი უნივერსიტეტის, ბოლონიის (იტალია) 900 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე, 1988 წლის 19 ნოემბერს, ბოლონიაში შეკრებილმა ევროპის 430 უნივერსიტეტის რექტორმა საზოგადოების, მთავრობისა და ეკლესიის წარმომადგენელთა თანდასწრებით ხელი მოაწერა „უნივერსიტეტების დიდ ქარტიას“, რომელშიც გაცხადებულია ის ძირითადი პრინციპები, რაც ამიერიდან უნდა დაედოს საფუძვლად უნივერსიტეტების მუშაობას. დოკუმენტის მიზანია საუნივერსიტეტო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი ფასეულობების წარმოჩენა და ევროპის უნივერსიტეტებს შორის ახალი ურთიერობების დამყარება.

ქარტიაზე ხელისმომწერი ევროპის უნივერსიტეტების რექტორები გამოთქვამენ იმედს, რომ ადამიანები და სახელმწიფოები ღრმად გაიცნობიერებენ უნივერსიტეტების სულ უფრო მზარდ როლს „ინტერნაციონალურ საზოგადოებაში“. ყველა სახელმწიფოსა და ერს უცხადებენ იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც ამიერიდან საფუძვლად დაედება უნივერსიტეტების მუშაობას.

ქარტიაში გაცხადებული პრინციპები შემდეგია:

1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება. იგი ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით. კვლევა და სწავლება დამოუკიდებელი უნდა იყოს მორალურად და ინტელექტუალურად ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან.

2. კვლევა და სწავლება უნივერსიტეტებში განუყოფელი უნდა იყოს.

3. კვლევისა და სწავლების თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია. ამიტომ მთავრობებმა და უნივერსიტეტებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ამ ფუნდამენტური მოთხოვნის პატივისცემა.

4. უნივერსიტეტი არის ევროპული ჰუმანიტარული ტრადიციების მეურვე. მისი მუდმივი ზრუნვის საგანია უნივერსალური ცოდნის მოპოვება.

ევროპელი რექტორები აცხადებენ, რომ „კვლევასა და სწავლებაში თავისუფლების დასაცავად, ამ თავისუფლების სარეალიზაციოდ აუცილებელი საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ერთობის ყველა წევრისათვის“.

1998 წლის 25 მაისს, პარიზის უნივერსიტეტის წლისთავის ზეიმზე, სორბონაში, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მინისტრებმა მიიღეს ერთიანი დეკლარაცია, რომელიც ხაზს უსვამს, რომ „ევროპა არის არა მარტო საერთო ვალუტა, ეკონომიკა, არამედ საერთო ცოდნა, რაც უდიდესწილად განისაზღვრება უნივერსიტეტებით, რომელთა როლი გადამწყვეტია განათლების განვითარებისათვის“.

ბოლონიის პროცესი სახელმწიფო დონეზე დაიწყო 1999 წლის 19 ივნისს ისევ ბოლონიაში განათლების 29 მინისტრის მიერ იმ დოკუმენტზე ხელმოწერით, რომელსაც „ბოლონიის დეკლარაცია“ ეწოდება. ამ აქტით მონაწილეებმა შეათანხმეს უმაღლესი განათლების ნაციონალურ სისტემათა საერთო მოთხოვნები, კრიტერიუმები, სტანდარტები და მოილაპარაკეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის 2010 წლამდე შექმნის შესახებ. ბოლონიის დეკლარაციაში განსაზღვრულია სწავლების 2 ციკლი — პირველი, საბაკალავრო (მინიმუმ 3 წელი) და მეორე, რომელიც მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მინიჭებით უნდა დამთავრდეს, — აგრეთვე უნივერსიტეტთა მუშაობის სხვა ფუძემდებელი პარამეტრები.

ევროპის განათლების მინისტრები ასევე ხაზს უსვამენ ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელობას. „ნებისმიერი ცივილიზაციის სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს იმით, თუ რამდენად მიმზიდველია მისი კულტურა სხვა ქვეყნებისათვის. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ გამორჩეული კულტურული და სამეცნიერო ტრადიციების მქონე ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის მიმზიდველობა მთელი მსოფლიოსათვის“.

დეკლარაციაში ასევე ნათქვამია, რომ ჩვენ ვიმყოფებით ისეთ ეპოქაში, როდესაც აუცილებელი ხდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღება და შევსება. ჩვენ გვმართებს შევუქმნათ სტუდენტებს და მთლიანად საზოგადოებას უმაღლესი განათლების ისეთი სისტემა, რომლის საშუალებით მათ ექნებათ შესაძლებლობა ეძებონ და იპოვონ საკუთარი უპირატესობის არე.

ბოლონიის პროცესის შემდეგი ეტაპი პრაღაში 2001 წლის 19 მაისს შედგა. ამ პროცესს კიდევ 4 ქვეყანა შეუერთდა. შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება თანამშრომლობა ამ პროცესის ჩარჩოში.

ბოლონიის პროცესის შემდგომი ეტაპი შედგა ბერლინში, 2003 წლის 18-19 სექტემბერს.

2005 წლის 19-20 მაისს ნორვეგიის ქ. ბერგენში გამართულ მორიგ სამიტზე ბოლონიის პროცესს საქართველო შეუერთდა.

დიდი ქარტიის ხელმოწერიდან 10 წლისთავზე შეიქმნა დიდი ქარტიის დამკვირვებელთა საბჭო, რომელსაც ქარტიის პრინციპების შესრულებაზე კონტროლი ეკისრება.

თითოეული ევროპული უნივერსიტეტი მრავალფეროვან სამუშაოს ეწევა. მის პარამეტრთა შორის, სხვებთან ერთად, ჩვენი ქვეყნისათვის დღეს საყურადღებოა სამი:

1. ევროპისა და მის გარეთ ქვეყნებში უნივერსიტეტების ავტონომიის შესახებ ინფორმაციის მიღება და გავრცელება;

2. იმ სიტუაციის შეფასება, როცა უნივერსიტეტი თვლის, რომ მისი შესაძლებლობები, იმოქმედოს, განავითაროს და გაავრცელოს ახალი იდეები, იზღუდება პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მიერ;

3. სადისკუსიო თემების წამოყენება სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში უნივერსიტეტების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

არსებობს მაგალითი ხორვატიის სახელმწიფო ხელისუფლებასა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის უმაღლესი განათლების მომავალი სტრუქტურის საკითხში კონფლიქტის თაობაზე დამკვირვებელთა საბჭოს შეხვედრისა ქვეყნის სამთავრობო და აკადემიურ ლიდერებთან.

დამკვირვებელთა საბჭო ქარტიის შესრულების კონტროლს ახორციელებს გამოკითხვებით, გამოკვლევებით, იგი მხარს უჭერს ფორუმს უნივერსიტეტის ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების როლის განსახორციელებლად.

ყოველწლიურად ბოლონიაში სექტემბერში ტარდება კონფერენცია ევროპის უნივერსიტეტების მიერ ქარტიის პრინციპების დაცვის შესახებ. 2003 წლის სექტემბერში ბოლონიაში ჩატარდა კონფერენცია „უნივერსიტეტების ავტონომიის განვითარება სამეცნიერო კვლევათა სფეროში“, ხოლო დამკვირვებელთა საბჭომ შარშან მოაწყო კონფერენცია, სადაც განიხილებოდა „უნივერსიტეტების მიერ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარის საკითხი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რა მოთხოვნები არსებობს ქვეყნის განვითარების სისტემის მიმართ ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში.

ქართული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებიდან ნათლად ჩანს, რომ გამოიკვეთა ისეთი ტენდენციები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოხვედრისათვის განმსაზღვრელ ისეთ ფუნდამენტურ მოთხოვნებს, როგორიცაა უნივერსიტეტის ავტონომიურობა, კვლევისა და სწავლების მორალური და ინტელექტუალური დამოუკიდებლობა ნებისმიერი პოლიტიკური ხელისუფლების და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან, კვლევისა და სწავლების განუყოფლობა, უნივერსიტეტების უზრუნველყოფა სერიოზული ინვესტიციებით, საგანმანათლებლო დაწესებულებათა მრავალფეროვნება და ინდივიდუალობა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური მრავალფეროვნების ანარეკლს და ყოველმხრივ გაფრთხილებას იმსახურებს.

არც იმ საინტერესო და ცნობილი ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნვა იგრძნობა, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართული განათლება და მეცნიერება და რითაც ის შეიძლება მიმზიდველი გახდეს არა მარტო საკუთარი მოქალაქეებისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისა და საერთოდ მსოფლიოსათვის.

გასაცნობიერებელია ის ფაქტიც, რომ 2005 წლის მაისში საქართველოს მიერ ბოლონიის კომუნიკეზე ხელმოწერა ადასტურებს მხოლოდ საქართველოს სურვილს, შეასრულოს ბოლონიის პროცესის მოთხოვნები, და არა ევროსივრცეში საქართველოს შესვლას. თუმცა დრო 2010 წლამდე ამ სივრცეში გასაერთიანებლად ჯერ კიდევ არის, უკვე გამოკვეთილი ტენდენციებით ჩვენ არა მხოლოდ ევროსივრცეს, არამედ უკვე არსებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცესაც დავშორდებით.

**დალი ძვირია**

**ქვემოთ ვბეჭდავთ „ბოლონიის პროცესის“ ამსახველ რამდენიმე დოკუმენტს და დოკუმენტის ნაწყვეტს, რათა მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ნამდვილ ვითარებაზე. ხაზი ყველგან რედაქციისაა.**

## უნივერსიტეტების დიდი ქარტია

*ბოლონია, 1988 წლის 18 სექტემბერი*

### პრეამბულა

ევროპის უნივერსიტეტების ქვემორე ხელისმომწერი რექტორები შეიკრიბნენ ბოლონიაში, ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის საზღვრის გაუქმებამდე 4 წლით ადრე, ევროპის უძველესი უნივერსიტეტის ცხრაასი წლისთავის აღსანიშნავად; ევროპულ ერებს შორის შორსგამიზნული თანამშრომლობის იმედითა და რწმენით, რომ ადამიანები და სახელმწიფოები მუდმივცვალებად და მზარდ ინტენაციონალურ საზოგადოებაში განსაკუთრებით გააცნობიერებენ უნივერსიტეტის როლს. ისინი მიიჩნევენ, რომ

1. ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ კულტურულ, სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე, რომელიც უნივერსიტეტების კულტურულ, სასწავლო და კვლევით ცენტრებში მიმდინარეობს;

2. უნივერსიტეტის დანიშნულება — გააფრთელოს ცოდნა ახალგაზრდა თაობებს შორის — დღეს მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს; საზოგადოების კულტურული, სოციალური და ეკონომიკური მომავალი საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად;

3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობა ისეთი განათლებით, რომელიც მას ბუნებრივი გარემოსა და სიცოცხლის ჰარმონიის პატივისცემას ასწავლის.

ევროპის უნივერსიტეტების ქვემორე ხელისმომწერი რექტორები ყველა სახელმწიფოსა და ერის წინაშე ვაცხადებთ იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც ამიერიდან საფუძვლად დაედება უნივერსიტეტების საქმიანობას.

### ფუნდამენტური პრინციპები

*1. უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებებში, რომელიც ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით.*

*არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან;*

*2. უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი უნდა იყოს, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს;*

3. კვლევისა და სწავლების თავისუფლება საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია. ამიტომ მთავრობებმა და უნივერსიტეტებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ამ ფუნდამენტური მოთხოვნის პატივისცემა.

უნივერსიტეტი გმობს შეუწყნარებლობას და ღიაა დიალოგისათვის; ის იდალური ასპარეზია ისეთი მასწავლებლებისათვის, რომლებიც მზად არიან სხვას გაუზიარონ თავისი ცოდნა, განავითარონ იგი კვლევისა და ინოვაციების საშუალებით და გადასცენ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ამ ცოდნასთან ზიარების უფლება, სურვილი და უნარი;

4. უნივერსიტეტი არის ევროპული ჰუმანისტური ტრადიციების მეურვე. იგი მუდმივად მი**ისწრაფვის უნივერსალური ცოდნისაკენ.** მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას უნივერსიტეტი სცილდება გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს და ადასტურებს სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგავლენის სასიცოცხლო აუცილებლობას.

### განხორციელების საშუალებები

ზემოთ მოყვანილი პრინციპების გათვალისწინებით, ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა თანამედროვე პირობების შესაფერისი ეფექტური საშუალებების გამოყენება:

1. კვლევასა და სწავლებაში თავისუფლების დასაცავად, აღნიშნული თავისუფლების სარეალიზაციოდ აუცილებელი საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ერთობის ყველა წევრისათვის;

2. მასწავლებელთა მოზიდვა და მათი სტატუსის განსაზღვრა უნდა ექვემდებარებოდეს კვლევისა და სწავლების განუყოფლობის პრინციპს;

3. ყველა უნივერსიტეტმა — კერძო გარემოებების სათანადო გათვალისწინებით — უნდა უზრუნველყოს სტუდენტების თავისუფლების დაცვა და მათ მიერ ისეთი გარემოთი სარგებლობა, რომელშიც შესაძლებელია კულტურისა და ცოდნის შეძენა;

4. უნივერსიტეტები — განსაკუთრებით ევროპაში — ინფორმაციისა და მონაცემების ურთიერთგაცვლასა და სწავლის გაუმჯობესებისათვის გახშირებულ ერთობლივ პროექტებს განიხილავენ, როგორც აუცილებელს ცოდნის შემდგომი განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარე, ისევე როგორც თავიანთი არსებობის ადრეულ ეტაპზე, უნივერსიტეტები ხელს უწყობენ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას. ამავდროულად, უნივერსიტეტები ეკვივალენტური სტატუსის, წოდების, გამოცდებისა (ეროვნული დიპლომებისადმი უნდობლობის გარეშე) და სტიპენდიების მინიჭების ზოგად პოლიტიკას მიიჩნევენ მნიშვნელოვან ფაქტორად დღევანდელ პირობებში თავიანთი მისიის განსახორციელებლად.

ქვემორე ხელისმომწერი რექტორები, მოქმედებენ რა თავიანთი უნივერსიტეტების სახელით, გააკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ ყველა სახელმწიფომ და დაინტერესებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თავისი პოლიტიკა ჩამოაყალიბოს ამ დიდი ქარტიის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტების თავისუფალ და ერთსულოვან სურვილს გამოხატავს.

## ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია

**ლისაბონი, 1997 წელი**

მოცემულ კონვენციაში მონაწილე მხარეები ანიჭებენ... დიდ მნიშვნელობას უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიის პრინციპს და აცნობიერებენ... ამ პრინციპის განმტკიცებისა და დაცვის აუცილებლობას.

## უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირება ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სალამანკის შეხვედრის მიმართვა

*2001 წლის 29-30 მარტი*

2001 წლის 29-30 მარტს ევროპის 300-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი შეიკრიბა სალამანკაში, რათა მოემზადებინათ თავიანთი ინიციატივა ბოლონიის პროცესში გაერთიანებული ქვეყნების უმაღლესი განათლების მინისტრების პრაღის შეხვედრისათვის. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ მიზნებზე, პრინციპებსა და პრიორიტეტებზე:

### პრინციპები

#### ავტონომია ანგარიშვალდებულებით

პროგრესი მოითხოვს, რომ ევროპის უნივერსიტეტები აღიჭურვონ უფლებამოსილებით იმოქმედონ ანგარიშვალდებული ავტონომიის პრინციპით. ისინი, როგორც ავტონომიური და პასუხისმგებელი იურიდიული პირები, საგანმანათლებლო და სოციალური ერთეულები, ადასტურებენ თავანთ ერთგულებას 1988 წლის უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (Magna Charta Universitatum) პრინციპებისადმი, განსაკუთრებით კი აკადემიური თავისუფლებისადმი. ამგვარად, უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოთ თავიანთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლებისა და კვლევის პრიორიტეტების შერჩევა, **თავისი რესურსების განაწილება,** კურიკულუმის (საგანმანათლებლო პროგრამის) შემუშავება და **პროფესორებისა და სტუდენტების მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება.** ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ღებულობენ გამოწვევას იმუშაონ კონკურენციის პირობებში როგორც საკუთარი ქვეყანაში, ისე ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ამისათვის კი მათ ესაჭიროებათ თავისუფლება მართვაში, ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოები და **სათანადო დაფინანსება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აღმოჩნდებიან კონკურენციისა და თანამშრომლობისათვის არახელსაყრელ პირობებში. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად საჭირო დინამიკა ვერ იქნება მიღწეული ან მივიღებთ არათანაბარ კონკურენციას, თუ არ შეიცვლება დღევანდელი ზედმეტად მკაცრი ფინანსური და ადმინისტრაციული კონტროლი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

#### შესაბამისობა

ევროპის შრომის ბაზართან შესაბამისობა სხვადასხვა გზით უნდა აისახოს კურიკულუმებში, იმისდა მიხედვით, თუ როდის მიიღწევა დამქირავებლისათვის საჭირო კომპეტენცია პირველი თუ მეორე აკადემიური ხარისხის შემდეგ. დასაქმების შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პერსპექტივით შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ ღირებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხიან განათლებას. იგი, აგრეთვე, მიიღწევა კურსის პროფილებისა და მიდგომის მრავალფეროვნების, მოქნილი პროგრამებისა და მრავალმხრივი დაოსტატებისა და კომპეტენციის განვითარების მეშვეობით, ისეთის, როგორიცაა კომუნიკაცია და ენები, ცოდნის მობილიზაცია, პრობლემის გადაწყვეტა, გუნდური მუშაობა.

ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიარებენ, რომ მათ სტუდენტებს სჭირდებათ და მოითხოვენ ისეთ კვალიფიკაციებს, რომელსაც ისინი ეფექტურად გამოიყენებენ, როგორც სწავლის გასაგრძელებლად, ასევე კარიერისათვის მთელ ევროპაში. ამასთან დაკავშირებით, სასწავლებლები, მათი ქსელები და ორგანიზაციები, აღიარებენ რა თავიანთ როლსა და პასუხისმგებლობას, ადასტურებენ მზადყოფნას ავტონომიის ფარგლებში მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების სათანადო ორგანიზება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოუწოდებენ მთავრობებს, ეროვნულ და ევროპულ კონტექსტში, დააჩქარონ და ხელი შეუწყონ ცვლილებებს და უზრუნველყონ კოორდინაციისა და დაახლოებისათვის აუცილებელი გარემოს ჩამოყალიბება. ისინი ასევე ადასტურებენ თავიანთ შესაძლებლობასა და მზადყოფნას ერთობლივი მცდელობებით განახორციელონ განვითარების ინიციირება და

- განავითარონ სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება;
- შეიმუშაონ ხარისხის შეფასების, უზრუნველყოფისა და სერტიფიცირების ურთიერთმისაღები მექანიზმები;
- განიხილონ უმაღლესი განათლება, როგორც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

## 2003 წლის გრაციის დეკლარაცია
## ბერლინის შემდეგ: უნივერსიტეტების როლი 2010 წლამდე და სამომავლოდ

*გრაცი, 2003 წლის 30 მაისი*

...მჭიდრო კავშირი უმაღლეს განათლებასა და კვლევებს შორის უმნიშვნელოვანესია ევროპული უმაღლესი განათლებისათვის და ევროპული უნივერსიტეტების განმსაზღვრელ მახასიათებელს წარმოადგენს. მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ურთიერთდამოკიდებულება და ხელი შეუწყონ უმაღლესი განათლებისა და კვლევის ევროპულ სივრცეებს შორის კავშირის გაძლიერებას, როგორც ევროპული კვლევების შესაძლებლობების და ევროპული განათლების მიმზიდველობის გაუმჯობესების საშუალებას. შესაბამისად, მათ სრულად უნდა აღიარონ დოქტორანტურის დონე, როგორც სწავლების მესამე საფეხური ბოლონიის პროცესში. უნივერსიტეტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ კვლევაზე ორიენტირებულ სწავლებასა და სწავლაზე მთელ ევროპაში. სტუდენტები ყველა დონეზე უნდა მონაწილეობდნენ კვლევებში და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაში, რათა დაკმაყოფილონ ევროპის, როგორც განათლებული საზოგადოების, მოთხოვნილებანი.

## უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა
## უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე

*ბერლინი, 2003 წლის 19 სექტემბერი*

მინისტრები თანხმდებიან, რომ მიღებული უნდა იქნეს ზომები უმაღლეს განათლებასა და მეცნიერულ კვლევებს შორის მჭიდრო კავშირების უზრუნველსაყოფად. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე დიდ სარგებელს მიიღებს კვლევის ევროპულ სივრცესთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, ამგვარად გაძლიერდება „ცოდნის ევროპის“ საფუძველი; საბოლოო მიზანი ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ენობრივი ნაირფეროვნების დაცვაა, რაც მისი მრავალფეროვანი ტრადიციების მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული და, ასევე, ევროპს ინოვაციური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ხელშეწყობაა, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის მზარდი თანამშრომლობის მეშვეობით.

### დამატებითი ღონისძიებები

#### უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე და კვლევის ევროპული სივრცე — ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ორი საყრდენი

აცნობიერებენ რა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და კვლევის ევროპულ სივრცეს შორის უფრო ახლო კავშირების აუცილებლობას, და მთელ ევროპაში კვლევების როგორც უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობას, მინისტრები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ბოლონიის პროცესში ამჟამად არსებული უმაღლესი განათლების ორი ძირითადი საფეხურის გარდა, მესამე საფეხურად შეიტანონ დოქტორანტურის დონე.

მათ ხაზი გაუსვეს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევების, კვლევის სწავლებისა და ინტერდისციპლინურობის ხელშეწყობა უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპის უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. მინისტრები მიიჩნევენ, რომ უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ დოქტორანტურისა და დოქტორანტურის შემდგომ საფეხურებზე მობილობას და ამ პროცესებში ჩართულ სასწავლებლებს ურჩევენ გააძლიერონ თანამშრომლობა დოქტორანტურაში სწავლისა და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადების სფეროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IV. განათლების სისტემის პრაქტიკული ნგრევა

1. უნიფიცირებული მისაღები გამოცდები, რომლებიც იწყება, უკვე არაადექვატურია (თავის ამოცანასთან შეუსაბამოა) მათი თუნდ წმინდად (უკორუფციოდ) ჩატარების შემთხვევაშიც კი: საგანთა ჩამონათვალი, რომლებშიც აბიტურიენტის ცოდნა მოწმდება, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მის რეალურ პოტენციალზე რეალისტური წარმოდგენა მიიღო. არ ბარდება **არც ერთი საბუნებისმეტყველო საგანი** ანუ გამოტოვებულია ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. ეს ის საგნები გახლავთ, რომლებზედაც უალტერნატივოდ გადის დღევანდელი და სახვალიო ყველა ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლის, ყველა აღმოჩენის, მოკლედ — ადამიანის მიერ სამყაროს დაუფლების საქმეში წინ ნაბიჯის გადადგმის ყველა გზა. მათემატიკა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ადამიანის გონების გზათა და შესაძლებლობათა კვლევის მეცნიერებაა (და ბუნების კვლევაში **გამოიყენება,** მაგრამ თვითონ ბუნებას ვერ იკვლევს), ისევე როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური შიდაწიაღის შემეცნებისა და ემოციური წვდომის იარაღია, რომელთა შედეგადაც ჩვენ — ავტორთა მიერ მიგნებული ფორმის (ამ სიტყვის ფართო აზრით) წყალობით — ესთეტიკურ სიამოვნებას ვიღებთ. ენების ცოდნა კარგია (და პრაქტიკულად აუცილებელია), მაგრამ ნიჭთა აღიარებულ არაოფიციალურ კლასიფიკაციში პოლიგლოტობას „Oberkellnertalent" (უფროსი ოფიციანტის ტალანტი) ჰქვია. უმაღლესი განათლებისათვის ახალგაზრდობის შერჩევის ამოცანის უდიდესი ნაწილი — ბუნების დაუფლებისათვის ვარგისი გონებით დაჯოლდოებული ახალგაზრდობის გამორჩევა და არდაკარგვა — შემოღებული პროცედურის წყალობით პირწმინდად გადაუჭრელი რჩება.

2. „უნარ-ჩვევები", რომელიც სკოლაში არ ისწავლება, საგნად ბარდება ანუ მონაწილეობს აბიტურიენტთა ჩარიცხვა-არჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტაში. ვინ არის ამ „საგნის" კითხვების შემდგენი, რა კვალიფიკაციისაა და რა მიზანსახვისა, საზოგადოებამ არ იცის. მაგრამ, იცის, რომ ეს ტესტები არის **წუნი:** სახელდობრ, ცნობილია, რა ფსიქოლოგიური და ლოგიკური ცოდნა და რა სააზროვნო სიტუაციების გათვალისწინების აუცილებლობა არის **გამორჩენილი** ტესტის შემდგენელთა თვალთახედვის არეალში (ამ თემაზე აქ მსჯელობას აღარ ვაპირებთ. შეკამათების შემთხვევაში მას ვრცლად შევეხებით).

3. თუმცა განათლების სამინისტრო უარყოფს თავის პასუხისმგებლობას ქვემოაღნიშნულზე („ეს ჩვენ არ დაგვიწერია, ვიღაცამ თავის ნებით შეთხზაო".), ფაქტია, რომ დაბეჭდილ ტესტებში არის ფუნდამენტური მეცნიერული შეცდომა: გარჩევას „მოწოდებულთაგან რომელი პასუხია სწორი?" — ტესტები ითხოვს ისეთი კითხვების მიმართ, რომელთაც „სწორის" და „არასწორის" ცნებათა მიყენება არ ეგულისხმებათ. „სწორი" ან „არასწორი" პასუხი შეიძლება ჰქონდეს კითხვებს ფაქტების შესახებ და ამა და ამ წანამძღვრებიდან ამა და ამ დასკვნათა გამოტანის უფლებამოსილება-არაუფლებამოსილების შესახებ (მაგ., ასე: a>b, b>c, მაშასადამე? სწორი პასუხია a>c. „პეტრეს უყვარს მარო, მაროს უყვარს შოთა, მაშასადამე? არასწორია პასუხი: პეტრეს უყვარს შოთა"). მაგრამ „სწორი" და „არასწორი" პასუხი არა აქვს კითხვებს, რომლებიც **არჩევანს** გულისხმობენ, რამდენადაც ამ უკანასკნელს შესაძლო განმსაზღვრელ ფაქტორთა ალტერნატიული ვარიანტები აქვს. (მაგალითად, ასე: „მოგაწოდეს ლეღვის ჩირი და მაჟალოს ჩირი. შენ ტკბილი გიყვარს. რომელს აიღებ? სწორი პასუხია: ლეღვის ჩირს". მოყვანილი პასუხი ვერ დახასიათდება როგორც „სწორი", ან „არასწორი", ვინაიდან მას სხვა არნახსენები ფაქტორებით განსაზღვრული ალტერნატივები აქვს: „მაჟალოს, რადგან მჟავე მიყვარს", „მაჟალოს, რადგან დიაბეტი მაქვს" და სხვა. ამ ფუნდამენტური ტიპის ლოგიკურ შეცდომას ახლავს მორალურიც: „ავტობუსში ზიხარ. შემოვიდა დედაბერი, უნდა დაუთმო თუ არა ადგილი?. სწორი პასუხია: არ უნდა დავუთმო, რადგან ჩემია". ასეთი „ტესტი" ეწინააღმდეგება გამოსაცდელისთვის ტრადიციულ ღირებულებათა სისტემას და მისი დაუშვებლობა **დამტკიცებულია** არგუმენტაციის რამდენიმე სახით. **პირველი:** იმით, რომ აქ „სწორისა" და „არასწორის" განზომილება არ არსებობს (იხ. ზემოთ). **მეორე:** იმით, რომ მორალურ პოსტულატთა ორი და მეტი განსხვავებული სისტემის მიცემა ადამიანისათვის ავითარებს არა შემწყნარებლობას, არამედ, უფრო, მორალურ ამოსავალ საყრდენთა არააუცილებლობის (მათი პირობითობის) ცნობიერებას, რაც არა კონკრეტული მოცემული მორალის, არამედ მორალის, როგორც ასეთის, დისკრედიტაციას იწვევს. (ეს ეფექტი ცივილიზაციათა თანაცხოვრების ისტორიისათვის კარგადაა ცნობილი. იგი ჯერ კიდევ პლატონმა იცოდა). **მესამე:** იმით, რომ ზემოხსენებული რეკომენდირებული ეგოიზმი, მისი განზოგადების შემთხვევაში, სოციალური ურთიერთბმულობის შემასუსტებელია და ამდენად, საზოგადოებისათვის მავნეა. **მეოთხე:** ამ კითხვის მიცემა, როგორც ტესტისა, არის მოპასუხის შანტაჟირება ანუ მისი დაყოლიება მისი თვალსაზრისთ **ამორალურ** პასუხზე მისი სასწავლებლის გარეთ დატოვების მუქარით.

4. ცოდნის ზრდა და დაგროვება კაცობრიობის მიერ გულისხმობს მის განუხრელ **დიფერენცირებას** ანუ მეცნიერთა და მეცნიერულ დისციპლინათა შორის მათი საკვლევი არეალებისა და საკითხების დიფერენცირებას, **შრომის დარგობრივ დანაწილებას** მკვლევართა შორის. ამ დაუძლეველ ბუნებრივ კანონზომიერებას საუნივერსიტეტო პრაქტიკაში თავის ამდენადვე გარდუვალ შედეგად აქვს სპეციალობათა განუხრელი დიფერენციაცია, რომლის გამოვლენის ორგანიზაციული ფორმაა ახალ-ახალ ფაკულტეტთა, სპეციალობათა, კათედრათა, ლაბორატორიათა გაჩენა. თბილისის უნივერსიტეტი პირიქით იქცევა (ფაკულტეტთა რიცხვს ამცირებს) და უეჭველია, რომ სხვებიც პირიქით მოიქცევიან. მიდის უნივერსიტეტის (და, პერსპექტივაში, უნივერსიტეტების) ცალსახა ორგანიზაციული **უკუგანვითარების** ხელოვნური პროცესი.

5. კანონის კიდევ ერთი დეფექტი — იმის განუსაზღვრელობაა, თუ რა და რა დოკუმენტურად დადასტურებული პროფესიული მახასიათებლები მოეთხოვება განათლების სფეროში ძირეულ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს — პრაქტიკულად უკვე მუშაობს იმ თვალსაზრისით, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ზოგი სხვა საგანმანათლებლო კორპუსი დაკომპლექტებულია შემთხვევითი პირებით, რომელთა მოქმედების შედეგი უკვე ჩანს.

6. კანონის ძირეული დეფექტი, — ზოგადი განათლებს **მიზნის** განუსაზღვრელობა — უკვე მუშაობს პრაქტიკულად იმ მხრივ, რომ განათლების სისტემა პრინციპულად თანახმაა, მოზარდი მოსახლეობის განუსაზღვრელად დიდი პროცენტი საშუალო განათლების გარეშე დატოვოს.

7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დაწყებულია (და მოსალოდნელია, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც დაიწყება) სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ლიკვიდაცია, ანუ საუნივესიტეტო სწავლების **დღესდღეობით ყველაზე არსებით ელემენტად მიჩნეული მახასიათებლებისაგან** — სასწავლო და კვლევითი პროცესების შეთავსების კატეგორიული მოთხოვნისაგან — უნივერსიტეტის „გათავისუფლების" პროცესი. ამ ძირისგამომთხრელი ნაბიჯის პრაქტიკული განხორციელების ორგანიზაციულ ფორმად გამოყენებულია ლაბორატორიათა დაფინანსების გადაყვანა **გრანტულ** სისტემაზე, რაც ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს თანამშრომელთა ლოკაუტი მოახდინოს გრანტზე უარის თქმის ფორმით (გადაწყვეტილების მიმღებნი შემთხვევითი პირები არიან და არა უნივერსიტეტისვე აკადემიური საბჭო). ამ პროცესის არა მხოლოდ ფუნდამენტური, არამედ აგრეთვე პრინციპული დეფექტია ის, რომ ლაბორატორიების გაუქმების დასაშვებობა-დაუშვებლობაზე აზრს არ ეკითხებიან იმას, ვისაც ეს ლაბორატორია სჭირდება **სწავლების პროცესის ნაყოფიერად წარმართვისათვის,** ანუ იმისათის, რომ სტუდენტი ჩართული იყოს კვლევის პროცესში, ანუ აზრს არ ეკითხებიან ფაკულტეტს და შესაბამის კათედრებს.

8. უკვე გადადგმულია ნაბიჯი უნივერსიტეტებში (ჯერ თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში) საუნივერსიტეტო **ავტონომიის** გასაუქმებლად (პრეზიდენტის ბრძანებულებით გაუქმებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭო, როგორც უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო). ამით უგულებელყოფილია ის **უალტერნატივო** ფაქტორი საუნივერსიტეტო განვითარებისა, რომელიც ცხოვრების ამ დარგის **კულტურის,** ანუ გამოცდილებისა და ეთიკური მოთხოვნების **აკუმულაციის** და მათი სისტემის როგორც შენახვის (კონსერვაციის), ისე სრულყოფის საშუალებას ქმნის. უნივერსიტეტის (და უნივერსიტეტთა მსოფლიო სისტემის) მეცნიერული და ეთიკური დონე ინახება და ვითარდება (იმის ნაცვლად, რომ ქვეითდებოდეს საზოგადოებაში ენთროპიული შესაძლებლობების არსებობის გამო) მხოლოდ იმის წყალობთ, რომ ყველა არსებითი ნაბიჯის გადადგმის უფლებამოსილება **მხოლოდ პროფესურის,** ანუ უნივერსიტეტთა საუკუნოვანი ტრადიციისა და ინტერესის ცოცხალი მატარებლების ხელშია, სხვა სიტყვით — მხოლოდ იმის წყალობით, რომ უნივერსიტეტი **ავტონომიურია.**

9. განათლების სფეროში დღევანდელი ხელისუფების მიერ აღებული კურსი მის მთლიანობაში **დამანგრეველია** და ეს გარემოება — რომ იგი დამანგრეველია, — **ცალსახად დასაბუთებადია მეცნიერულად.**

### „საეჭვო" ანალოგიები

ამ კურსის რაობას წარმოვადგენთ ციტატით ინტერნეტიდან, ხოლო შემდეგ წარმოვადგენთ დაუშვებლობის ძირითად მეცნიერულ არგუმენტებს.

„ერთ-ერთი ბურჯი სოროსის აქტივობისა (განათლების სფეროში. რედ.) არის მისი დეგიზი „არავის აქვს ჭეშმარიტების მონოპოლია", და ის აზრი, რომ „სამოქალაქო განათლება" უნდა ჩაენაცვლოს ძველ, „ალტერნატიულ" მოდელს. სამოქალაქო განათლება არ უნდა იყოს „უბრალოდ, დიალოგი" მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. გარდა ამისა, (სოროსის სიტყვით) ჩვენ გვაქვს პროექტები, საჯანდაცვო განათლების პროექტების მსგავსი, სადაც ადამიანები ახალ გზებს იყენებენ ისეთ საკითხებზე მსჯელობისათვის, როგორიცაა ჰიგიენა, დიეტა და სექსი". მისი სიტყვით, „თუმცა ეს არ ჟღერს როგორც ტრადიციული სამოქალაქო განათლება, ეს არის ახალი სახე მასწავლებელთა ურთიერთობისა თავის მოწაფეებთან, ისევე როგორც მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ახალი ფორმა ურთიერთობისა თავის მთავრობებთან და არჩეულ ოფიციალურ პირებთან იმ საზოგადოებებში, რომლებიც ცდილობენ უფრო ღიანი და დემოკრატიულნი გახდნენ.

შესაბამისად, მთელს პოსტკომუნისტურ აღმოსალეთ ევროპაში სოროსის ფონდის აღიარებული მიზანია „განათლების" სიტემის დემოკრატიზაცია" „პროგრამათა (კურიკულუმათა) რეფორმების შემოლებით". რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში, გამოჩნდა სერბიის განათლების მინისტრის, სოროსის მეგობრისა და მისი სანდო პირის გაზო კნეზევიჩის მოღვაწეობისას ამ პოსტზე: იგი ითხოვდა, რომ სკოლები გარდაქმნილიყო „ავტორიტარული" დაწესებულებებიდან „სავარჯიშო მოედნებად", სადაც მოხდებოდა „მოსწავლეთა პიროვნების შეუფერხებელი თვითგამოხატვა თანასწორ ურთიერობაში მასწავლებლებთან., რითაც დაიძლეოდა მოძველებული ცნებები ავტორიტეტისა და დისციპლინისა, რომელთა ფესვიც პატრიარქალური წარსულის დამთრგუნველ მემკვიდრეობაში ჩადის". კნეზევიჩმა თავისი რეფორმა დაიწყო დაწყებთი სკოლებით, სადაც მან ხელი მოჰკიდა 7-12 წლის ბავშვებისათვის „სააღმზრდელო სახელოსნოების" მოწყობის საპილოტო (ექსპერიმენტულ) პროგრამას. თანმხლები სახელმძღვანელო, რომელიც დაფინანსებულია „ღია საზოგადოების" მიერ, უარყოფს იმ „უცნაურ" აზრს, რომ განათლების მიზანია „ცოდნის შეძენა" და მოითხოვს, რომ მასწავებელი გადაიქცეს კლასის „დიზაინერად" (მომწყობად) და რომ მისი ურთიერთობა მოსწავლეებთან დამყარებული იყოს „პარტნერობაზე". (Sadja Trifkovic, George Soros, Postmodern Villain).

ციტირებული მიდგომა სწავლების ამოცანისადმი მკითხველს ეცნობა, რადგან იგი მას დღეს საქართველოში ხედავს. ეს მიდგომა **ანტიმეცნიერულია,** ანუ იგი პირდაპირ წინააღმდეგობაშია (თუკი ღიად ნგრევისკენ გამიზნული არ არის) იმასთან, რაც მეცნიერებამ იცის და რისი დასაბუთებაც მეცნიერებას მოეპოვება, სახელდობრ, შემდეგს:

**კულტურა** (ამ სიტყვის ფართო აზრით), ანუ ადამიანის ცხოვრების ერთადერთი დღეს შესაძლებელი წესი, არის ყველა ის ელემენტი ჩვენი არსებობისა, რომელიც არ არის **ნატურა** ანუ ბუნება. სხვა სიტყვით: კულტურაა ჩვენი ცხოვრების ყველა ის პარამეტრები, სადაც შვილი იქვე კი არ იწყებს თავის მოქმედებას, სადაც მამამ დაიწყო, არამედ იქ, სადაც მამამ დაამთავრა (მაგალითად, სახლს ალიზით კი არ აშენებს, როგორც მამამ ააშენა, არამედ გამომწვარი აგურით). ცოდნის თაობიდან თაობაზე გადმოტანის, ანუ მასწავლებლის ინსტიტუტი მარადიულია (სანამ კაცობრიობა არსებობს) და მას თავისი ფსიქოლოგიური კანონები ახლავს, რომლებიც ძალაშია მანამდე, სანამ ადამიანი ისაა, რაც დღეს არის, ანუ ამდენი და ამდენი ქრომოსომა, ასე და ასე მოწყობილი ორგანიზმი და გონება აქვს. ამ კანონებში შედის მასწავლებლის ავტორიტეტიც (მე უნდა ვიცოდე, რომ მასწავლებელმა ამ საგანში ჩემზე მეტი იცის, და მე უნდა მჯეროდეს, რომ მას **უნდა,** მე ეს საგანი ავითვისო). თავისუფლებასაც, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნილებაა, თავისი კანონები აქვს და იგი არ ვრცელდება მოწაფის გარედან ჩაგონებულ „დამოუკიდებლობაზე" მასწავლებლისაგან. პირიქით: მოსწავლეს უნდა, მასწავებელს ცოდნის რაც შეიძლება დიდი მარაგი ჰქონდეს, და რაც შეიძლება გულმოდგინედ ცდილობდეს მოსწავლისათვის ამ ცოდნის გადაცემას. არის სიტუაციები (და მათი რიცხვი მით უფრო იზრდება, რაც უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება კულტურა), რომელშიც ადამიანი თავისუფლებას კი არ ეძებს, როგორც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, არამედ, პირიქით, რჩევას, ხელმძღვანელობას ან პირდაპირ კარნახს სხვის ან სხვების მხრიდან. (ვთქვათ, ბებია გარდაგეცვალათ და არ არსებობს მიღებული წესი, რომ იგი უნდა გაასვენოთ 3-7 დღის მანძილზე. თქვენთვის ტანჯვა იქნება იმის გადაწყვეტა, იგი ისე დაკრძალოთ, რომ არც ნაუცბათევად მიაბაროთ მიწას და არც თქვენი თავი და სხვები უზომოდ შეაწუხოთ ცხედრის თქვენს ბინაში გაჩერებით). სწავლა კულტურის აუცილებელი ელემენტია და ცხოვრების აუცილებელი პირობაა, ხოლო **დისციპლინა,** როგორც ამ პროცესის ელემენტი, ის ჯოხი კი არაა, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს თავში ურტყამს მისი დამორჩილების მიზნით, არამედ ის ჯოხია, რომელსაც მოსწავლე — ალპენშტოკივით — საყრდენად იყენებს, როცა თავის გზაზე რთულ მონაკვეთს ხვდება, მაგალითად, ციცაბო ფერდობზე ჩამოდის და დაცურებისა ეშინია, რადგან ქვემოთ ფლატე ელოდება. არც სოროსს, არც ასობით მისთანა მილიარდერს, არც მილიარდობით მათ გონებადაბნეულ შეგირდს არ შეუძლიათ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება დაავიწყონ ან დაუმალონ მსოფლიოს ან თუნდაც მის განვითარებულ ნაწილს, მაგრამ მათ შეუძლიათ საკუთარი მილიარდებისა და სხვისი ეკონომიკური სიდუხჭირის გამოყენებით ამ ჭეშმარიტების დავიწყებაზე დაიყოლიონ ასი ათასობით და მილიონობით სუსტი ადამიანები, ათასობითა და ათი ათასობით ნაძირალობისათვის მოწოდებული ადამიანები, რომლებიც თანახმანი იქნებიან სუსტებს მათი და მათი ჩამომავლობის გადაჩეხვის გზა მიასწავლონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# V. ვინაა შემკვეთის შემკვეთი?

ინტერნეტში ვებ-საიტი „სოროსი“ ასტრონომიული რაოდენობის ერთეულ მასალას შეიცავს. მისი გაცნობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ზერელე გადაფურცვლით ჩანს, რომ მასალების უმეტესი ნაწილი სოროსის მიმართ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამს. ჩვენ შემთხვევითი შერჩევით ავიღეთ რამდენიმე ათეული სტატია. (ყველა მკვეთრად კრიტიკული აღმოჩნდა) და მათგან ზოგადი სურათის წარმოსადგენად რამდენიმე ცნობას ვბეჭდავთ. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მათი ჭეშმარიტობა ბრმად ვირწმუნოთ, მაგრამ ვერც იმ მარტივი გარემოებების შემჩნევის საშუალებას წავართმევთ მკითხველს, რომ ინტერნეტის მონათხრობი ამ ჩვენი მტერი მილიარდერის პრინციპებისა და პრაქტიკის შესახებ უცნაურად ემთხვევა იმას, რაც მისი ფონდის „ღია საზოგადოება“ და მისი „უმცროსი ქართველი მეგობრების“ საქმიანობის შესახებ ვიცით.

კონ ბრუკი, THE NEW-YORKER, 23I, 1995წ. ჯორჯ სოროსი ყიდულობს უკრაინას.

### უკრაინის დედა ტერეზა

რა თქმა უნდა, ყოველთვის გეუცხოებათ, როცა ხედავთ, რომ ვინმე სოროსისთანა პიროვნება ფილანტროპიას ეწევა და უზარაზარ თანხებს ხარჯავს მსოლოდ იმაში, რომ სიკეთე ქმნას. უკრაინაში ჯორჯ სოროსი გვევლინება თავდადებული დედა ტერეზას სახით, მაგრამ თავდადება ისეთი იშვიათი თვისებაა, რომ, როცა მას ხედავენ, ზოგი მაყურებელი ჩერდება და აკვირდება გაკვირვებით და ზოგჯერ უნდობლობითაც კი.

### თან ფილანტროპად მუშაობს, თან მძარცველად?

როგორ დავხუჭოთ თვალი და ვერ შევნიშნოთ, რომ ამ კონკრეტული ფილანტროპის კარიერა მდგომარეობს გამდიდრებაში სხვებისთვის ფულის წართმევის გზით, ფართო საერთაშორისო პოკერის თამაშის პრინციპით, რომელშიც საგნებითა და მომსახურეობებით ვაჭრობა კი არ მიმდინარეობს, არამედ ერთადერთი მიზანი არსებობს, — ყველას გამათხოვრება მათთვის ჭკუით ჯობნის გზით?.. საქმე რომ ასე იყოს: — სოროსის ჩარევის შემდეგ ქვეყანა აყვავებულიყოს, — მაშინ ვალდებული ვიქნებოდით მისთვის მადლობა გვეთქვა. მაგრამ უკრაინა სინამდვილეში გაიძარცვა. რა მადლობა გვმართებს მისი? ის, რომ, მისი ჩარევა რომ არა, უკრაინა კიდევ უფრო გაძარცვული იქნებოდა?

### თუ მთელი დღე მძარცველად მუშაობს?

შედარებით ცინიკოსი დამკვირვებლები სხვა აზრისკენ იხრებიან — სოროსი თავისი ფონდების ქისას იმისთვის ხსნის, რომ, პირველ ყოვლისა, იყიდოს მთავრობის კონტროლის საშუალების მომცემი ინტერესები იმ ქვეყანაში, რომლის დახმარებაზეც თავს იდებს...

### თუ, იძნებ, სიონისტია?

ყველაზე ცინიკოსი მაყურებლები კი შეიძლება ფიქრობდნენ, რომ სოროსი შეიძლება ეკუთვნოდეს ჯგუფს, რომელმაც დემონსტრატიულად გამოაჩინა, რომ მტრულად ეკიდება უკრაინის სახელმწიფოს. და რომ მას სინამდვილეში აქვს ყოვლის წამლეკავი დაინტერესება, რომ უკრაინის კოლაფსი იხილოს?

### მავნეა ჯორჯ სოროსი?

არის იმის ნივთმტკიცება, რომ სოროსი უკრაინის წინააღმდეგ მუშაობს? უკრაინის არქივს არა აქვს იმისი რესურსი, რომ სისტემური ხასიათი მივცეთ ასეთ მოძიებას, ეს პრესის ამოცანაა... ჩნდება დამარწმუნებელი მამტკიცებელი გარემოებები იმისა, რომ სოროსი უკრაინისათვის ზიანის მისაყენებლად მუშაობს.

### ნუ ჩადებთ ფულს უბერსპექტივო პაციენტში

მაგალითად, სოროსი ინვესტიციას ახდენს რუსეთში, მაგრამ არ ახდენს უკრაინაში — ამ განსხვავებას სხვა ახსნა არ მოეპოვება გარდა იმისა, რომ მან იცის: უკრაინისათვის, — მაგრამ არა რუსეთისათვის — დაგეგმილია ეკონომიკური კოლაფსი.

### უკრაინულ ტვინს იპარავს რუსეთისთვის?

„მოსკაუ ტაიმსის“ ინტერნეტული ვერსია გვაცნობებს, რომ სოროსმა 100 მლნ დოლარი გაიღო რუსეთის უნივერსიტეტებისათვის ინტერნეტში შესვლის სრულყოფისათვის, მაგრამ არაფერ ამის მსგავსს არ ამბობს უკრაინაზე... შედეგი ის იქნება, რომ უკრაინული ტვინი გაიწოვება რუსეთში. ამაზე უფრო გამანადგურებელი ზიანი უკრაინისათვის რალა იქნება?

### ძვეყნის გადარჩენა მეცნიერებისათვის სამოგზაურო გრანტების მიცემით

იმის მოწმობა, როგორია სოროსის გრძელვადიანი პოლიტიკა უკრაინდან ტვინის გადატუმბვისა, შეგიძლიათ იხილოთ IKAR-ის სტატიაში „რას აპირებს სოროსი?“ ეს გრანტები მიზნად ისახავს უკრაინდან ტვინის ემიგრაციის გაადვილებას.

### სრჯა ტრიპკოვიჩი, „ენ-ჯე-ოებო“, უყურეთ თქვენს ღმერთს:

ჯორჯ სოროსი დაიბადა ბუდაპეშტში 1930 წელს, მაგრამ დღეს თავისი დროის უდიდეს ნაწილს ატარებს ნიუ-იორკ სიტიში. მისი ცხოვრების ადრეულ წლებზე ცოტაა ცნობილი. იგი ერთადერთია ჰოლოკოსტს (ებრაელების გენოციდი ॥ მსოფლიო ომის დროს) გადარჩენილ გამოჩენილ პირთა შორის, ვისაც ბრალად დასდებია ნაცისტებთან თანამშრომლობა. 1947 წელს იგი როგორლაც გამოძვრა „რკინის ფარდაში“ და, როგორც ოფიციალური ვერსია გვეუბნება, „ერთი ცენტის უქონელი აღმოჩნდა ლონდონში. მაგრამ გულმოდგინე შრომამ და უდავო ნიჭმა იგი აქცია პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ინვესტორად და უდიდეს კაცად“.

სოროსის თავისებური მორალური ღირებულებები, პოლიტიკური შეხედულებები და იდეოლოგიური სიმპათიები მატერიად ვერ იქცეოდა, თუ არა ფული, რომელსაც იგი ხარჯავს თავის იდეათა ხორცშესხმაში. ამ ფულის — დაახლოებით 7 მლრდ დოლარის — დიდი ნაწილი ნაშოვნია ვალუტის დაკლებაზე აგებულ თამაშებში (minm-sum game of currency) და ბირჟის სპეკულაციაში, რასაც არანაირი წვლილი არ შეაქვს სიმდიდრის შექმნაში და მილიონობით ღარიბ ადამიანს კიდევ უფრო აღარიბებს. მისი ოფშორული ქვანთუმ-ფონდი, რომელიც ლეგალურად განთავსებულია კიურასაოში — აშშ მთავრობის თვალს მიღმა, — დასპეციალებულია სპეკულანტურ ინვესტიციებზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემათა იმ კრიზისების გამოყენების მიზნით, რომლებიც ხელოვნურად ექმნება სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებს. ერთ ინტერვიუში შვეიცარულ „Lihebdo“-ში იგი ამბობს: „მე ვსპეკულანტობ განსხვავებაზე რეალობასა და ამ რეალობის შესახებ ხალხში გავრცელებულ წარმოდგენას შორის, სანამ არ ამუშავდება კორექციის მექანიზმი, რომელიც ამ ორ განსხვავებულს ერთმანეთთან დააახლოვებს“.

მისი მოგება დამარეტიანებელია. 1992 წლის 16 სექტემბერს მან გააკეთა მილიარდი დოლარი ერთ დღეში ინგლისის ბანკთან და ფუნტ სტერლინგთან ბრძოლით...

არაფერი ახალი არ არის არც სოროსის მიდგომაში ფულის კეთების ამოცანისადმი, არც ასეთი პიროვნების უნარში, რომ (მუდამ უარყოფითი) გავლენა მოახდინოს მისი მსპინძელი საზოგადოების მორალსა და კულტურაზე. ახალი ბატონ სოროსში — გარდა მისი დაუჯერებელი პრეტენზიისა, რომ კერძო სპეკულანტს შეეძლო ასეთი წარმატების მიღწევა ეტაბლირებულ (სტრუქტურულად დამკვიდრებული. რედ.) საფინანსო ინტერესთა მხრიდან დახმარების გარეშე, — არის მისი სისტემური, კონცენტრირებული ძალისხმევა თავისი ფულის დიდი ნაწილის გამოყენებისაკენ თავისი სპეციფიკური სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების განხორციელებაზე... 75 წლის ასაკში მისი ფული მისთვის მიზანი კი არ არის, არამედ იარაღია...

სოროსის „თავისუფალი საზოგადოების ინსტიტუტი“ თავისი „ენ-ჯე-ოებითურთ“ დაუპირისპირდა აგრეთვე აბორტის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის გაძლიერებას... სოროსისეული ჯანდაცვის პროგრამები მხარს უჭერს ინიციატივებს, მიმართულს „რამდენიმე მარგინალური საზოგადოების საჭიროებებზე ჯანდაცვის სფეროში: მიზანია იმის მიღწევა, რომ რეპრესიული პოლიტიკა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებაში არ აფერხებდეს ზიანის შემცირებისაკენ მიმართულ ძალისხმევას“ (ანუ „რბილი“ ნარკოტიკების გამოყენებას. რედ.)...

გასული რამდენიმე წლის მანძილზე სოროსის ქსელმა წარმატებული სტარტი მისცა მანამდე არსებულ „ცისფერთა“ აქტივობას თავისი მოქმედების თითქმის ყველა არეალში. კომპანია LGBT-ა (ლესბოსელები, „გეიები“ ანუ ცისფერები, ბისექსუალები, ტრანსსექსუალები) უფლებების“ დასაცავად იმართება ბუდაპეშტიდან...

„რასიზმი“ სოროსისათვის ის თემაა, რომელიც მას აბოდებს, მაგრამ ამ მხრივ იგი იმ სიძნელეს წაწყდა, რომ აღმოსალეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ყველა ერთი რასისაა, ამ მოვლენის პოვნა ძნელია. მაშინ სოროსმა გამოარჩია „მსხვერპლთა ჯგუფად“ ბოშები. „ცოტაა ევროპაში ისეთი უმცირესობა, ვინც მეტ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დისკრიმინაციას განიცდიდეს, ვიდრე ბოშა ხალხი“ — ამბობს „ღია საზოგაოების ინსტიტუტი“. „ბოშათა საქმის აქტივისტად“ ყოფნა მის წრეში მომგებიან საქმედ იქცა...

სოროსის პროგრამები სასაცილო იქნებოდა ან რისხვას გამოიწვევდა მის მიერ მიზანში ამოღებულ ქვეყნებში ათი წლის წინ, მაგრამ დღეს მათზე არავინ იცინის. ათასობით ახალგაზრდა აღმ. ევროპელისათვის „სოროსისტად“ გახდომა იგივეა, რაც პარტიაში შესვლა იყო მათი მამებისათვის: ესაა მიმზიდველი შესაძლებლობა, მიიღო კარგხელფასიანი დასაქმება, იყო პრივილეგირებულ კლასში და იმოგზაურო საზღვარგარეთ. რჩეული მცირედნი მიემგზავრებიან სოროსის ინსტიტუტში ბუდაპეშტში, სადაც მათ ასწავლიან, რომ მეცნიერულად დასაბუთებული ამა თუ იმ ჭეშმარიტების ცნობა „ტოტალიტარიზმია“ და რომ ეროვნული სახელმწიფო ბოროტებაა.

სოროსის სახელფასო უწყისებში არ ირიცხება არც ერთი პატრიოტი... და არც ერთი მოპრაქტიკე (ეკლესიურად მაცხოვრებელი. რედ.) ქრისტიანი, ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში სოროსი ეყრდნობა ძველი კომუნისტური ესტაბლიშმენტის შვილებს, რომლებსაც ნაკლებ ახასიათებთ ატავისტური ბმულობა თავის მშობლიურ მიწაზე, კულტურაზე და ტრადიციებზე. ყველაზე წარმატებულებმა მათ შორის — და ყველაზე ერთგულებმა, — შეიძლება წლები გაატარონ ასე, პროექტიდან პროექტისკენ წანწალში, ზოგი ასე ცხოვრობს უკვე ათი წელია...

ასეთ იანიჩრებს, ისევე როგორც ოსმალური იმპერიისას, თავისი სანდოობის დამტკიცება უხდებათ იმით, რომ თვით პატრონზე უფრო ფანატიკოსნი არიან. როგორც ბალკანური ანდაზა ამბობს: „(ისლამზე) მოქცეული თურქზე უარესია“. არავინ ისე გიჟურად დაურიდებელი არ არის თავის შეურაცხმყოფელ თავდასხმებში სერბ ხალხსა და მის ისტორიაზე, რელიგიაზე, ხელოვნებაზე და მის მიერ გადატანილ ტანჯვაზე, როგორც ერთი მუჭა სერბად დაბადებული ფელეტონისტები, რომლებიც ირიცხებიან სონჯა ლიხტის, სოროსის ბელგრადელი გაულაიტერის სახელფასო უწყისში“.

*www.Chrovicles Magazine.org*

### ნეილ კლარკი. „პროფილი: ჯორჯ სოროსი“ (NEW STATEMENT, 2.VI.2003)

ჯორჯ სოროსი გამწყრალია. მსოფლიოს მოსახლეობის 90%-ის მსგავსად ინგლისის ბანკის დამნგრეველსაც ყელში ამოუვიდა პრეზიდენტი ბუში და მისი საგარეო პოლიტიკა. ამას წინათ „ფაინენშელ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში სოროსმა დაგმო ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა ერაყში, როგორც „ძირფესვიანად მცდარი“, დამყარებული იმ „ყალბ იდეოლოგიაზე, რომ აშშ-ს აქვს უფლება თავის ნებით მართოს მსოფლიო“.

რა ხდება? ნუთუ მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა კაცმა — ამორალური კაპიტალისტის განსახიერებამ, რომელმაც მილიარდები გააკეთა შორეული აღმოსავლეთის ვალუტების 1997 წლის კრიზისზე და რომელიც 2002 წელს საფრანგეთის ერთ-ერთმა სასამართლომ დააჯარიმა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის — ამ სიბერეში სინათლე იხი-

*დასასრული მე-16 გვერდზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# V. ვინაა შემკვეთის შემკვეთი?

*დასაწყისი მე-15 გვერდზე*

ლა? შამპანურებს საცობები ხომ არ გავაგდებინოთ და მისი ჭეშმარიტებაზე მოქცევისა ხომ არ დავლიოთ?

ჯერ არა, სანამ მისი მოქცევის მოტივები არ გაგვირკვევია. სოროსს უყვარს საკუთარი თავის დახატვა გარეშე კაცად, დამოუკიდებელი სულისკვეთების უნგრელ ემიგრანტად და მოფილოსოფოსე ბრძნად, რომელსაც საქმე არა აქვს აშშ-ს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან. მაგრამ აბა, გადაჰხედეთ მის მიერ ორგანიზებული ან დაფინანსებული „ენ-ჯე-ოების" (არასამთავრობო ორგანიზაციების) წევრთა სიებს. მაგალითად „ჰიუმენ რაითს უოტჩში" არის მორტონ აბრამოვიჩი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დაზვერვისა და კვლევის დარგში 1985-89 წლებში, დღეს კი ინტერვენციონისტული „საგარეო ურთიერთობათა საბჭოს" წევრი; ყოფილი ელჩი უორენ ციმერმანი (რომლის ხანმოკლე ვიზიტი იუგოსლავიაში დაემთხვა ამ ქვეყნის დაშლას), პაულ გობლე, დირექტორი კომუნიკაციების დარგში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ შექმნილი „რადიო თავისუფალ ევროპისა" და „რადიო თავისუფლებისა" (რომელსაც სოროსი აფინანსებს). სოროსის „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი" ამაყობს ისეთი „დამოუკიდებელი" მნათობების ყოლით, როგორიცაა ყოფილი მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში ზბიგნევ ბუჟინსკი და რიჩარდ ალენი, ისევე როგორც გენერალი უესლი კლარკი, ნატოს გაერთიანებული ძალების ყოფილი უმაღლესი სარდალი ევროპაში. ჯგუფის ვიცეთავმჯდომარეა ყოფილი კონგრესმენი სტივენ სოლარტი, რომელსაც ერთ დროს იხსენიებდნენ როგორც იზრაელური ლობის მთავარ კანონმდებელ ტაქტიკოსს კაპიტოლიუმის ბორცვზე და რომელიც ხელს აწერს რიჩარდ ჰერკესა და ჰოლ ვოლფოვიცის მსგავსებთან ერთად განთქმულ წერილს კლინტონის სახელზე 1998 წელს, რომელშიც ავტორები ითხოვენ „ყოვლისმომცველი პოლიტიკის და სამხედრო სტრატეგიის გატარებას სადამის რეჟიმის დასამხობად".

გადაჰხედეთ სოროსის ბიზნესპარტნერებს კარლაილის ჯგუფში, სადაც სოროსმა 100 მლნ ჩადო. მათ რიცხვში შედიან ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და ყოფილი თავდაცვის მდივანი ფრენკ კარლუჩი, ჯორჯ ბუში უფროსი და ბოლო დრომდე ოსამა ბინ ლადენის ნათესავები. კარლაილი არის მსოფლიოს ერთერთი უდიდესი სააქციო ფონდი, რომელიც თავისი ფულის უდიდეს ნაწილს სავალუტო კონტრაქტორობით აკეთებს.

შესაძლებელია, სოროსი არც არის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ხელფასიანი აგენტი, მაგრამ შეუძლებელია სერიოზული შეეჭვება იმაში, რომ მისი კომპანიები და „ენ-ჯე-ოები" მჭიდროდ არიან ჩაბმულნი აშშ-ს ექსპანსიონიზმში.

მაგრამ თუ ასეა, მაშინ რას ერჩის ბუშს? პასუხი მარტივია. სოროსს აჯავრებს არა ბუშის მიზნები, სახელდრბრ, პაქს ამერიკანას („ამერიკული წესრიგის") გავრცელება და მსოფლიოს გარდაქმნა თავისუფალი გლობალური კაპიტალისათვის უსაფრთხო ადგილად, არამედ ბუშის მოქმედების მკვეთრი და დაურიდებელი მანერა. ამერიკული სურვილების ესოდენ მკაფიო გამოფენით ბუშის გუნდმა ჩაიდინა კარდინალური ცოდვა — თამაში წააგო. წლების მანძილზე ბუში და მისი „ენ-ჯი-ოები" მოთმინებით და დახელოვნებულად მუშაობდნენ „თავისუფალი მსოფლიოს" საზღვრების გაფართოებაზე, ისე, რომ მათ ვერავინ ამჩნევდა. ახლა ტექასელმა „კისერწითელამ" (პროვინციელმა) და მისი ნეოკონსერვატორების ზედმეტად მონდომებულმა გუნდმა ეს წამოწყება ააფეთქეს.

როგორც კულტურულმა და განათლებლმა კაცმა (მას აქვს ფილოსოფიური ხარისხი ლონდონის ეკონომიკის სკოლისაგან — და საპატიო წოდებები, ოქსფორდის, იეილის, ბოლონიის და ბუდაპეშტის უნივერსიტეტებიდან), სოროსმა კარგად იცის, რომ იმპერიები ილუპება, როცა ზღვარს გადააბიჯებენ და ამით თავის საწინააღმდეგო ალიანსთა შეკვრის სტიმულირებას იწყებენ. მას ესმის, რომ კლინტონისეული მულტილატერალისტური მიდგომა (მიდგომა, როცა ღონისძიება ხორციელდება მრავალთა ძალისხმევით და არა მხოლოდ აშშ-სი. რედ.), როცა ხდება მოფერება და მოქრთამვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დაშინება, — ერთადერთი მიდგომაა, რომელსაც იმპერიის შენახვა ძალუძს. ბუშის პოლიტიკის შედეგია ევროპის დაყოფა, არეულობა ნატოში, ფრანგულ-გერმანულ-რუსული ალიანსის გაჩენა და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები არაბთა ერთიანობისაკენ ნასერის აქეთ.

სოროსმა ამაზე უკეთესი გზა იცის: რამდენიმე მილიარდით შეიარაღებულს, თავისი „ენ-ჯე-ოების" გროვასთან ერთად, მას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თვალისჩაკვრისთანავე ძალუძს ჩამოაგდოს რომელიმე ქვეყნის მთავრობა, რომელიც არახელსაყრელია ბიზნესისათვის, ჩალის ფასად დაეპატრონოს ქვეყნის უძრავ-მოძრავ ქონებას და შემდეგ მადლობაც კი მიიღოს თავისი კეთილმოსურნობისათვის. მას ეს არაერთხელ უქნია.

...სოროსის როლი (სოციალიზმის დანგრევაში) მნიშვნელოვანი იყო. 1979 წლიდან იგი წელიწადში 3 მლნ დოლარს აძლევდა დისიდენტებს პოლონეთის „სოლიდარობის", ჩეხეთში „ქარტია 77-ის" და სსრკ-ში სახაროვის ჩათვლით. 1984 წელს მან დააარსა თავისი პირველი „ღია საზოგადოების ინსტიტუტი" უნგრეთში და მილიონობით დოლარი ჩატუმბა ოპოზიციურ მოძრაობასა და დამოუკიდებელ მედიაში. შესახედავად თითქოს „სამოქალაქო საზოგადოების" შესაქმნელად გამიზნული ეს ინიციატივები დაგეგმილი იყო არსებული პოლიტიკური სტრუქტურების დასასუსტებლად და გზის გასაკაფად აღმ. ევროპის მომავალი კოლონიზაციისათვის მსოფლიო კაპიტალის მიერ. დღეს სოროსი მისთვის დამახასიათებელი მოურიდებლობით ტრაბახობს, აღმ. ევროპის „ამერიკანიზაცია" ჩემი საქმეაო.

იუგოსლავები ჯიუტად აბრუნებდნენ და აბრუნებდნენ ხელისუფლებაში მილოშევიჩის გაურეფორმებელ სოციალისტურ პარტიას. სოროსმა მიიღო ეს გამოწვევა. 1991 წლიდან მისმა „ღია საზოგადოების" ინსტიტუტმა 100 მლნ დოლარი ჩადო ანტიმილოშევიჩური ოპოზიციის ქისაში პარტიების, გამოცემებისა და „დამოუკიდებელი მედიის" დაფინანსების სახით, მათ შორის — მამაცი სტუდენტური რადიოსიც... „სლობო" რომ ბოლოს ჩამოაგდეს (2000 წელს), გადატრიალება დაფინანსებული, დაგეგმილი და შესრულებული იყო ვაშინგტონის მიერ. ჰააგის ტრიბუნალის დაფინანსებაშიც, სადაც მილოშევიჩი მიიყვანეს, სოროსი ერთ-ერთი მონაწილეა... მილოშევიჩს წაუყენეს ბრალდებები ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულის და გენოციდის ჩადენის გამო, რისთვისაც დიდწილად ანეკდოტურ მტკიცებულებათა მთავარი ნაწილი ემყარება (ალბათ გამოიცანით, ვის), — „ჰიუმენ რაით უოჩის" მასალებს.

სოროსი ხაზს უსვამს, რომ მას სწამს „ღია საზოგადოება", რომლის ცნება ფილოსოფოს კარლ პოპერს ეკუთვნის (იგი სოროსს უკითხავდა „ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში"). „ღია საზოგადოების" განსაზღვრება, რომელსაც სოროსი ხმარობს, — „არასრულყოფილი საზოგადოება, რომელსაც სურს რომ გაუმჯობესდეს" — გონივრულად ჟღერს. თავისუფლების ჭეშმარიტ მოტრფიალეთა შორის ცოტანი თუ გახდიან სადავოდ ძირითად დებულებას, რომ „ღია საზოგადოება უფრო რთული და განვითარებული ფორმაა სოციალური ორგანიზაციისა, ვიდრე დახურული", მაგრამ სოროსის „ღია საზოგადოებებს" არა აქვთ ტენდენცია, რომ ღიანი იყონ პრაქტიკაში.

მილოშევიჩის დაცემის შემდეგ სერბია სოროსის მიერ ზურგგამაგრებულ „რეფორმატორთა" ხელში ნაკლებ თავისუფალი გახდა. ცოტა ხნის წინ გაუქმებულმა საგანგებო მდგომარეობამ 4 ათასი კაცის დაპატიმრება მოიტანა, ზოგისა — უბრალდებოდაც. პოლიტპარტიებს აკრძალვა ემუქრებათ, კრიტიკულ გაზეთებს — დახურვა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ და ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფმა ეს ვითარება დაგმეს, მაგრამ სოროსს ან მის ღია საზოგაოების ინსტიტუტს კრინტი არ დაუძრავთ... ზოგადად მივდივართ ნაღვლიან დასკვნამდე, რომ სოროსს, პოპერის ლიბერალური ციტატების მიუხედავად, ღია საზოგადოებად ის კი არ მიაჩნია, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, არამედ ის, რომელიც ღიაა მისთვის და მისი ამფსონებისთვის ფულის საკეთებლად. მართლაც, სოროსმა ფული გააკეთა ყველა ქვეყანაში, რომლის „გაღებასაც" მან წვლილი დასდო. კოსოვოში, მაგალითად, მან ფული ჩადო და კონტროლი მოიპოვა ტრეჩას მადნების კომპლექსზე... რომლის სომდიდრე 5 მლრდ დოლარად ფასდება. ამით მან კიდევ ერთხელ შეასრულა ის მოდელი, რომელიც მას დიდის წარმატებით განხორციელებული აქვს აღმოსავლეთ ევროპაში: „შოკური თერაპიისა" და „ეკონომიკური რეფორმის" დახმარება, შემდეგ — შევარდნა ამ ქვეყანაში თავის ამფსონებთან ერთად და იქ ღირებული სახელმწიფო ქონების ყიდვა ნოკდაუნურ ფასებად.

ბერლინის კედლის დაცემიდან 10 თუ ცოტა მეტი წლის შემდეგ სოროსი აღმ. ევროპის უგვირგვინო მეფეა. მისი „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი", რომელსაც ფილიალები აქვს ბუდაპეშტში, ვარშავაში და პრაღაში, დაუფარავად ავრცელებს ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ეთოსს და კლონირებას უკეთებს უახლოეს პრაამერიკულ თაობას რეგიონის პოლიტიკურ ლიდერთა შორის. ვინაიდან ფინანსურად ყელით ჰყავს დაჭერილი პოლიტპარტიები, ბიზნესი, სასწავლო დაწესებულებები და ხელოვნებანი, მის კრიტიკას ცენტრალური ევროპის მთავარ მედიაში იშვიათად თუ შეჰხვდებით. მისი დღის წესრიგის მთავარი გეგმებია პრივატიზაცია და ეკონომიკური ლიბერალიზაცია, რომელიც აფართოებს მანძილს მდიდართა და ღარიბთა შორის. მემარცხენე ლიბერალები, რომელნიც აღტაცებით შესცქერიან სოროსის მიერ მათი საყვარელი თემების მხარდაჭერას, როგორიცაა ცისფერთა უფლებების დაცვა და კანონმდებლობის შერბილება „რბილი ნარკოტიკების" მიმართ, ადვილად პატიობენ მას ამ შეცოდებებს.

როცა შეეკითხნენ იმ მძიმე შედეგების შესახებ, რომლებიც მოჰყვა მის ფინანსურ საქმიანობას შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში 1997 წელს, სოროსმა უპასუხა: „როგორც ბაზრის მონაწილე, მე პასუხს არ ვაგებ ჩემი მოქმედების შედეგებზე"...

*www.mindfully.org/WTO/2003/George-Soros-Statesman-2jun03.htm*

***P.S.** სოროსის „მოღვაწეობას" საქართველოში და მის განსაკუთრებულ მეგობრობას დღევანდელ პოპულარობაშელახულ ხელისუფლებასთან მრავალნი არგუმენტად იყენებენ საქართველოს დასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ. ეს საკმაოდ გავრცელებული შეხედულება, ჩემის აზრით, უსაფუძვლოა მრავალი მიზეზით. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ, როგორც მკითხველმა, ალბათ, შენიშნა აქ გამოქვეყნებული მასალებით, სოროსი დიდი პრორუსული სიმპათიის მატარებელი პროვენებაა. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ მისი ნოსტალგია საბჭოთა კავშირის — ამ „ხალხთა საპყრობილისა" და „ბოროტების იმპერიის" დაშლის გამო, არამედ ორიოდე სხვა დეტალიც წარმოდგენილ პუბლიკაციებში, რომელსაც დაკვირვებული თვალი უსათუოდ შენიშნავს. ამიტომ მკითხველს ვთხოვთ: იმ კითხვაზე პასუხის ძებნაში, თუ ვინ გაურიგა ეს გულუხვი დივერსანტი საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას წლების წინ, როგორც სტრატეგიული მოკავშირე, არ გამორჩეს განხილვიდან შემდეგი ჰიპოთეზაც: იგი ე.წ. „ნაციონალებს" გაურიგეს რუსებმა, რომელთათვისაც საქართველოს სტრატეგიული ნგრევა, როგორც ეროვნული სახელმწიფოსი, საკუთარი სტრატეგიული ინტერესის საგანია.*

*ნ. ნათაძე*


| | | | |
|---|---|---|---|
| სარედაქციო კოლეგია | რედაქციის მისამართი: თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447 | შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-15-89 | გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს. |